Очень часто из малых рек производят необоснованный большой водоотбор на нужды орошения и водопотребление сельских хозяйств, которое приводит к истощению реки и деградации биоценоза (сообщества растений и животных). Поэтому для сохранения речных экосис-

тем, в реке необходимо сохранить экологические попуски. Экологические попуски включают санитарные расходы реки и расходы для сохранения водных организмов, а также восстановительные попуски для очистки русла от донных отложений.

ЗАКЛЮЧЕНИЕ

Для рационального использования водных и земельных ресурсов необходима паспортизация малых речных экосистем. Основными элементами при паспортизации малой реки являются как естественные объекты (русло реки вода, почва, грунты, пойменные земли, основные виды флоры и фауны и пр.), так и технические объекты (пру-

ды, водозаборы, дамбы, мосты и переходы и другие сооружения). Паспорт малой речной экосистемы разрабатывается в целом по всему водосборному бассейну и должен создать единый заверченный комплекс речной водохозяйственной системы.

Л и т е р а т у р а

1. Алмунин С.Т. Регилирование русел. М., сельхозиздат, 1962, 352 с.
2. Восстановление и охрана малых рек. М., ВО «Агропромиздат» 1989, 317 с.
3. И.С.Румянцев и др. Гидротехнические сооружения. М., 1988, 432 с.

მეცნიერებათა აკადემიის ბრუნტულანკვირებიანი საყრდენი კედლის კონსტრუქციული გადაწყვეტა

შახი ბაქანიძე, ნინო მსხილაძე

E-mail: *bakanidze45@mail.ru*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, ქ. თბილისი, საქართველო

შეჯამება

მეცნიერული მოვლენების პრევენციის ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია საყრდენ კედლებს, რომლებიც შესაძლოა მუშაობდნენ დამოუკიდებლად ან მეცნიერებათა აკადემიის სხვა ღონისძიებებთან ერთად კომპლექტში (ცხადია, ყველა შემთხვევაში, გრუნტიდან წყლის დრენირება აუცილებელია). ცნობილია, რომ საყრდენი კედლების კონსტრუქციული გადაწყვეტა მრავალგვარია [1] და მათ მუშაობა უწევთ როგორც კედელზე გრუნტის დაწნვისაგან გამომწვეულ გადამბრუნებულ მომენტზე, ასევე მოცურების ძალებზე. მონოლითური რკინაბეტონის (ე.წ. დრეკადი) საყრდენი კედლების კონსოლური კონსტრუქციული გადაწყვეტისას, გრუნტული ანკერების გარეშე, კედელზე გრუნტის დაწნვისაგან გამომწვეული ზემოაღნიშნული ზემოქმედების გამო, ადგილი აქვს მასალების გადახარჯვას. ერთ იარუსად განთავსებული (კედლის ზემო ნაწილში) გრუნტული ანკერები, მართალია, თავის თავზე იღებენ გადამბრუნებულ მომენტს, მაგრამ ვერ ეწინააღმდეგებიან დაცურების ძალას, რის გამოც მაინც მაღალია მასალების ხარჯი.

ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით ჩვენ მიერ შემოთავაზებულია მონოლითური რკინაბეტონის საყრდენი კედლის სხვაგვარი კონსტრუქციული გადაწყვეტა, კერძოდ: გრუნტული ანკერების განთავსება საყრდენი კედლის არამარტო ზედა, არამედ ქვემო ნაწილშიც, საძირკველში მისი ჩამაგრების დონეზე, რომლებიც თავის თავზე იღებენ კედლის მოცურების ძალებს. ასეთ შემთხვევაში, საძირკველში საყრდენი კედლის ჩამაგრების კვანძში ღუნვა გამოირიცხება და საძირკველის ფილის ნაცვლად საჭირო იქნება მცირე გაბარიტული ზომების ლენტური საძირკველის მოწყობა, რომელიც იმუშავებს მხოლოდ საყრდენი კედლის საკუთარ მასაზე.

ამჯერად, საუბარია შემოთავაზებული კონსტრუქციული გადაწყვეტის ორ შესაძლო ვარიანტზე: ვარიანტი I – ლენტური საყრდენი კედელი პილიასტრების (სვეტების) გარეშე და ვარიანტი II – იგივე, სვეტებით. მიზანი: აღნიშნული 2 ვარიანტიდან ხელსაყრელი კონსტრუქციული გადაწყვეტის გამოვლენა.

ძირითადი ნაწილი

1. საწყისი მონაცემები

გაანგარიშება შესრულებულია კონკრეტული მაგალითის სახით, როგორც წესი, საყრდენი კედლის ერთი გრძივი მეტრისათვის [3,4,5].

რადგან მეცნიერული მოვლენების ერთ-ერთ

ძირითად მიზეზს წარმოადგენს ზედაპირული წყლებით გრუნტების გაჯირჯევა, გაანგარიშებებში მიღებული გვაქვს შედარებით რთული გრუნტული პირობები, კერძოდ: წყალნაჯერი თიხნარი, რომლითაც ხასიათდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რეგიონები.

გაანგარიშებისას მიღებულია შემდეგი საწყისი მონაცემები:


- საყრდენი კედლის სიმაღლე – 6 მ; საყრდენი კედლის უკან, გრუნტის ზედაპირის დახრის კუთხე – 15°; დატვირთვა მასზე – 0,5 ტ/მ²; საყრდენი კედლის სვეტებს (პილიასტრებს) შორის მანძილი – 3,0 მ; გრუნტის დაწინევა საყრდენ კედელზე (მისი გაანგარიშება ნაშრომში არ მოგვაქვს) – $E = 28.0$ ტ; ბეტონის კლასი – B20; მუშა არმატურა - AIII.

შედარების მიზნით, მოტანილია ერთ იარუსად განთავსებულ გრუნტულკედლებიან საყრდენზე მასალების ხარჯიც [2]. გრუნტულანკერებიანი საყრდენი კედლები გაანგარი-


შებულია ორ ვარიანტად: ვარიანტი I – პილიასტრების გარეშე და ვარიანტი II – პილიასტრებით, ბიჯით – 3,0 მ. ორივე ვარიანტში გრუნტული ანკერები განთავსებულია ორ იარუსად. პირველ ვარიანტში – კედელში, ბიჯით – 1,0 მ, მეორე ვარიანტში – მხოლოდ პილიასტრებში, ე.ი. ბიჯით – 3,0 მ.

2. ვარიანტი I – ლენტური საყრდენი კედლის გაანგარიშება სვეტების (პილიასტრების) გარეშე

საყრდენი კედლის კონსტრუქციული სქემა მოცემულია ნახაზზე 1, ხოლო საანგარიშო სქემა – ნახაზზე 2.




ნახ. 1. საყრდენი კედლის კონსტრუქციული სქემა



ნახ. 2. საყრდენი კედლის საანგარიშო სქემა

კედლის კონსტრუქციული გაანგარიშების შედეგად (ნაშრომში არ მოგვაქვს) მიღებულია მისი დაარმატურება (ნახ. 3).

**მეწყმრსაწინააღმდეგო ბრუნტულანკერებიანი საყრდენი კედლის
კონსტრუქციული გადაწყვეტა**



ნახ. 3. ლენტური საყრდენი კედლის დაარმატურება


არმატურის სპეციფიკაცია მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

არმატურის სპეციფიკაცია


არმატურის სპეციფიკაცია						არმატურის ამოკრება			
პოზ. №№	ესკიზი	Φ, მმ	l, სმ	n, ცალი	n _{xl} , მ	Φ, მმ	Σn _{xl} , მ	Q, კგ	
								AI	AIII
1	<u>5050 200</u>	20AIII	525	100	525	20AIII	525,0	—	1297
2	<u>5050 200</u>	12AIII	525	100	525	14AIII	100,0	—	121
3	<u>2000</u>	14AIII	200	50	100,0	12AIII	1175,0	—	1046
4	<u>2000</u>	12AIII	200	50	100,0	8AI	187,0	166	—
5	<u>700</u>	8AI	70	35	24,5	ჯამი			2464
6	<u>დაეჭრას აღ- გელზე</u>	12AIII	—	—	550,0	სულ 2630			
7	<u>300</u>	8AI	45	350	162,0	V _გ = 23,3 მ ³ B-20			

3. ვარიანტი II – სვეტებიანი საყრდენი კედლის გაანგარიშება
საყრდენი კედლის გეომეტრიული სქემა მოცემულია ნახაზზე 4;



ნახ. 4. სვეტებიანი საყრდენი კედელი
 ა) გეგმის ფრაგმენტი; ბ) ჭრილი 1-1


კონსტრუქციული და საანგარიშო სქემები I ვარიანტის ანალოგიურია (ნახ. 1 და 2); სვეტის დაარმატურება – ნახაზზე 5;



ნახ. 5. სვეტის დაარმატურება
 ა) გრძივი ჭრილი; ბ) განივი ჭრილი; გ) გრძივი ჭრილის ფრაგმენტი

კედლის დაარმატურება (იგი ხისტად არის ჩამაგრებული სვეტებში) მოცემულია ნახაზზე 6; არმატურის სპეციფიკაცია – ცხრილში 2.

**მეწყმრსაწინააღმდეგო ბრუნტულანკერებიანი საყრდენი კედლის
კონსტრუქციული გადაწყვეტა**



ნახ. 6. კედლის დაარმატურება

ცხრილი 2

არმატურის სპეციფიკაცია

არმატურის სპეციფიკაცია						არმატურის ამოკრება			
პოზ. №№	ესკიზი	Φ, მმ	l, სმ	n, ცალი	n _{xl} , მ	Φ, მმ	Σn _{xl} , მ	Q კგ	
								AI	AIII
1	5150 300	36AIII	545	40	218,0	36AIII	218,0	---	1742
2	2000	16AIII	200	40	80,0	16AIII	80,0	---	126
3	1150	12AIII	115	40	46,0	4AIII	400,0	---	484
4	დაიტრას აღ- გილზე	8AI	---	---	160,0	12AIII	206,0	---	183
5	დაიტრას აღ- გილზე	14AIII	---	---	400,0	8AI	919,0	363	---
6	დაიტრას აღ- გილზე	12AIII	---	---	160,0	ჯამი		363	2535
7	დაიტრას აღ- გილზე	10AIII	---	---	510,0	სულ 2898			
8	450	8AI	45	28	12,6	V _გ = 20,4 მ ³ B-20			
9	დაიტრას აღ- გილზე	8AI	30	440	132,0				
10	200	8AI	---	---	614,0				

4. გრუნტული ანკერების გაანგარიშება

გრუნტული ანკერები დახრილია ჰორი-

ზონტის მიმართ 15° -იანი კუთხით.

სისტემის სტატიკური გაანგარიშების შედეგად ანკერის მჭიმებში აღძრული ძალების მნიშვნელობები ტოლია: I ვარიანტისათვის – $N=14,5$ ტ; II ვარიანტისათვის – $N=43,5$ ტ.

ანკერის მჭიმებისათვის მიღებულია AIII კლასის არმატურა: I ვარიანტისათვის – $\Phi 28$ AIII, სიგრძით 4,5 მ და მასით 21,7 კგ (I იარუსის ანკერებისათვის) და სიგრძით 8,9 მ და მასით 43,0 კგ (II იარუსის ანკერებისათვის).

II ვარიანტისათვის: $\Phi 40$ AIII, სიგრძით 6,0 მ და მასით 59,2 კგ (I იარუსის ანკერებისათვის) და სიგრძით 10,4 მ და მასით 102,6 კგ (II იარუსის ანკერებისათვის).

გრუნტში ანკერების ჩამაგრების (ანკერის ფესვის) გაანგარიშება:

1) საწყისი მონაცემები გასაანგარიშებლად.

გაანგარიშება წარმოებს შემდეგი პირობის დაცვით:

$$F_i \geq 2 \cdot N_i$$

სადაც F_i – არის გრუნტში ანკერის ჩამაგრების (ჩაკეთების) ზონის მზიდუნარიანობა, ტ;

$$F_1 = 0,6 \cdot 0,4 \cdot 3,14 \cdot 0,6 \cdot 2,5 \cdot 60 \cdot 0,42447 = 28,8 \text{ ტ} > 2N_4 = 14,5 \cdot 2 = 29,0 \text{ ტ};$$

II ვარიანტისათვის:

$$F_2 = 0,6 \cdot 0,4 \cdot 3,14 \cdot 0,68 \cdot 4,0 \cdot 100 \cdot 0,42447 = 87,04 \text{ ტ} > 2N_6 = 2 \cdot 43,5 = 87,0 \text{ ტ}.$$

საყრდენ კედლებში გრუნტული ანკერების განთავსება მოცემულია ნახაზზე 7:

N_i – ანკერის მჭიმში აღძრული გამჭიმავი ძალვა, ტ;

$$F_i = Km_p \pi dl_b P_b tg \varphi$$

სადაც:

K – გრუნტში ერთგვაროვნების კოეფიციენტი, $K = 0,6$;

M_p – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გარემო გრუნტის დაძაბულ მდგომარეობას ინექტირებისას წნევაზე დამოკიდებულების მიხედვით (ქვიშებისათვის – 0,5; სხვადასხვა კონსისტენციის თიხებისათვის - 0,4-0,2;)

d – ჭაბურღილის დიამეტრი, მ;


l_b – ანკერის გრუნტში ჩამაგრების სიგრძე, მ;

P_b – ჩამაგრების ზონაში ინექტირებისას ნამატი წნევის სიდიდე, ტ/მ²;

φ – გრუნტში შიგა ხახუნის კუთხე წყალნაჯერი თიხნარისათვის $\varphi = 23^\circ$ და $tg \varphi = 0,42447$.

2) გრუნტში ანკერების ჩამაგრების ზონის მზიდუნარიანობის გაანგარიშება.

I ვარიანტისათვის:



ნახ. 7. საყრდენ კედლებში გრუნტული ანკერების განთავსება

მასალების ხარჯი გრუნტული ანკერების მოწყობაზე საყრდენი კედლების 10 გრძ. მეტრისათვის მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3

მასალების ხარჯი გრუნტული ანკერების მოწყობაზე

საყრდენი კედლის ვარიანტი	იარუსი	ანკერების რაოდენობა კედლის 10 გრძ.მ-ზე	მასალების ხარჯი 1 ანკერზე		მასალების საერთო ხარჯი	
			არმატურა, AIII, კგ	ცემენტის დუღაბი M150, მ ³	არმატურა AIII, კგ	ცემენტის დუღაბი, მ ³
I	I	10	21.7	0.7	217,0	7,0
	II	10	43.0	0.7	430,0	7,0
			ჯამი		647,0	14,0
II	I	3.3	59,2	1,45	195,4	4,8
	II	3.3	102,6	1,45	338,6	4,8
			ჯამი		534,0	9,6

5. ტექნიკურ-ეკონომიკური

მაჩვენებლების გაანგარიშება [6].

საყრდენი კედლების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები 10 გრძივი მეტრისათვის მოცემულია ცხრილში 4, ხოლო ვარიანტების ურთიერთშედარება – ცხრილში 5.

ვარიანტების ურთიერთშედარებისას საბაზო ვარიანტად მიჩნეულია ერთ იარუსად განთავსებული (კედლის ზემო ნაწილში) გრუნტულანკერებისანი საყრდენი კედელი, რომლის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მიღებულია 100%-ის ტოლად.

საყრდენი კედლების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები 10 გრძ. მ-თვის

კედლის ვარიანტი	მასალების ხარჯი				ძირითადი მასალების ღირებულება								მასალების საერთო ღირებულება	შრომატევადობა (კაც.სთ.)		ხელფასი, ჟარი		საერთო ღირებულება
	ბეტონი- B20 (ჭ)	ღუღები M150 (ჭ)	არმატურა, ტ		ბეტონი		ღუღები		არმატურა					ერთეულზე (100 მ ³)	სულ	ერთეულზე	სულ	
			A-I	A-III	1მ ³	სულ	1მ ³	სულ	A-I		A-III							
									1ტ	სულ	1ტ	სულ						
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
ერთ იარუსად განთავსებული გრუნტული ანკერებით	3,5	4,7	0,134	8,484	110	4345	80	376	1300	174	1310	1114	16006	599	237	3,5	830	16836
ვარიანტი I, 2-იარუსიანი, სვეტების გარეშე	2,3,3	14,0	0,166	3,111	110	2563	80	1120	1300	216	1310	4075	7974	882	206	3,5	721	8695
ვარიანტი II, 2-იარუსიანი, სვეტებით	2,0,4	9,6	0,363	3,069	110	2244	80	768	1300	472	1310	4020	7504	882	180	3,5	630	8134

ვარიანტების ურთიერთშედარება (%-ში)

საყრდენი კედლის ვარიანტი	საერთო ღირებულება	შრომატევადობა	გასაშუალებული, %	სხვაობა %-ში	ადგილი ეფექტურობის თვალსაზრისით
საბაზო	100	100	100	—	III
ვარიანტი I	51,6	86,9	69,3	30,7	II
ვარიანტი II	48,3	75,9	62,1	37,9	I

დასკვნა

ორ იარუსად განთავსებული გრუნტულანკერებიანი საყრდენი კედლების ეფექტურობა ერთ იარუსად განთავსებულთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, კერძოდ, უსვეტებო კედლისათვის იგი შეადგენს 30,7%-ს და სვეტებიანი კედლისათვის – 37,9%-ს. აღნიშნული ეფექტი განაპირობა I (ქვედა) იარუსის გრუნტული ანკერების მიერ საყრდენ კედელზე მოქ-

მედი გრუნტის დაწნევისაგან გამოწვეული ძერის (მოცურების) ძალის თავის თავზე აღებამ.

რაც შეეხება ორ იარუსად განთავსებული გრუნტულანკერებიანი საყრდენი კედლების ურთიერთშედარებას: სვეტებიანი საყრდენი კედლის ეკონომიკური ეფექტი უსვეტებო კედლის მიმართ შეადგენს დაახლოებით 7%-ს.

ლიტერატურა

1. ვ. ლოლაძე, შ. ბაქანიძე, ნ. მსხილაძე, ვ. პირმისაშვილი, თ. თავაძე. ბუნებრივი კალთებისა და მიწის ნაგებობების ფერდობის მდგრადობის უზრუნველყოფის ახალი ტექნოლოგიური გადაწყვეტები. თბილისი, სტუ, 2013 წ.;
2. СНиП 2.02.01-83. Основания и фундаменты, 1982;
3. Справочник проектировщика. Основания, фундаменты и подземные сооружения. Под общей редакцией проф. Е.А. Сорочана. М., Стройиздат, 1985;
4. А.Б. Голышев, В. Я. Бачинский и др. Проектирование железобетонных конструкций. Справочное пособие. Киев, «Будивельник», 1985;
5. СНиП 2.82. Правила разработки и применения элементарных сметных норм на строительные конструкции и работы, М. 1984.

**მდინარე ვერუს კალაპოტში 2015 წლის 13-14 ივნისის ბუნების
სტიქიური მოვლენების შეფასება, ანალიზი და სტიქიის
რეზულირების ეფექტური ღონისძიებები**

**გივი გავარდაშვილი, რობერტ დიაკონიძე, გოგა ჩახაია,
ლევან წულუკიძე, ედუარდ კუნალაშვილი
E-mail: givi_gava@yahoo.com**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0179, თბილისი, საქართველო

შესავალი

მდინარე ვერე სათავეს იღებს თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე – 1670 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან და უერთდება მდინარე მტკვარს 390 მ სიმაღლეზე. მდინარის სიგრძე არის 38,5 კმ. აუზის ფართობი – 190,1 კმ², საშუალო წლიური ხარჯი–1,22 მ³/წმ.

ბოლო პერიოდში, გლობალური დათბობის ფონზე მოიმატა ატმოსფერული ნალექების რაოდენობამ და ინტენსივობამ, რამაც განაპირობა მდინარეთა ხეობებში, მთის ფერდობებზე ნიადაგის დეგრადაციის პროცესები და შესაბამისად ფერდობების მდგრადობის შესუსტება. გამონაკლისი არც მდინარე ვერე არის, რადგან მის წყალშემკრებ აუზში გააქტიურდა ბუნების სტიქიური მოვლენები (წყალდიდობა, ეროზიულ-დვარცოფული და მეწყრული პროცესები), რომლის გამოვლინება არის 2015 წლის 13-

14 ივნისს სოფელ ახალდაბის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ვერეს მარჯვენა შენაკადის - ჯოხონისხევის წყალშემკრებ აუზში ფორმირებული მეწყრული გენეზისის დვარცოფული მოვლენები (იხ. სურ. 1).


ხემაღნიშნულიდან გამომდინარე, მდინარე ვერეს კალაპოტში ფორმირებული სტიქიური მოვლენების შესწავლის მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-სპეციალისტებმა, მდ. ვერეს წყალშემკრები აუზის ჯოხონისხევისა და ახალდაბისხევიში განახორციელეს საველე-სამეცნიერო კვლევები, რომლის დროსაც დეტალურად იქნა შესწავლილი კატასტროფის გამომწვევი მიზეზები და დაისახა ბუნების სტიქიური მოვლენების რეგულირების გზები.

მდინარე ვერუს კატასტროფის ქრონოლოგია და მიზეზები

წინა პერიოდში მოსულმა ხშირმა ატმოსფერულმა ნალექმა, რასაც თან დაერთო 2015 წლის 13-14 ივნისს მოსული ინტენსიური თავსხმა წვიმა (დაახლოებით 50 მმ 4 სთის განმავლობაში), განაპირობა მეწყრული სხეულის ჩამოცურების ზედაპირზე დიდი ოდენობით ინფილტრირებული წყლის მოხვედრა, რამაც გამოიწვია მთის ფერდობის დამძიმება, შეამცირა მისი საწყისი წინაღობა

ძვრაზე, დაარღვია ფერდობის წონასწორობა და განვითარდა მეწყრული პროცესები.

ჯოხონისხევის მოწყვლად ფერდობზე მეწყრის ფორმირების შემდგომ ნათლად ჩანს ჩამოცურების ზედაპირზე ამჟამადაც არსებული (სურ. 2) ინფილტრირებული წყლის დროებითი გამოსვლები.



სურ. 1. საკვლევი ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკა

მეწყრული სხეული, ჩამოცურების ზედაპირზე გადაადგილების შემდგომ, გაჩერდა შევიწროებულ ადგილას, მაგრამ ჭარბი ზედაპირული ჩამონადენის ზეგავლენით ტრანსფორმირდა ღვარცოფად, რომელმაც მიაღწია ვერეს კალაპოტამდე. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მდინარე ვერეს კალაპოტი არ გადაკეტილა მარტო ჯოხონისხევში ფორმირებული მეწყრული გენეზისის ღვარცოფული ნაკადით. ჩვენ მიერ განხორციელებული საველე-ექსპედიციური კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ღვარცოფის ფორმირებას ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, ჯოხონისხევის მარცხენა შენაკადზე, ახალდაბისხევზე (სურ. 3,4,5), რომელიც დაემატა ჯოხონისხევზე ფორმირებულ ღვარცოფს.

ორივე ხევიდან ერთდროულად ფორმირებულმა ღვარცოფმა გადაკეტა მდინარე ვერეს კალაპოტი დაახლოებით 7 მ სიმაღლესა და 30 მ სიგანეზე, რის გამოც მოხდა მდ. ვერეს შეტბორვა 350 მ მანძილზე მდინარის ზედა დინების მიმართულებით. ამაზე მეტ-

ყველებს ზემოაღნიშნული ხეების მდინარე ვერეს შესართავთან დაფიქსირებული ღვარცოფისა და წყალდიდობის გავლის კვალი (სურ. 6, 7, 8, 9). მდინარის კალაპოტის ჩახერგვის შედეგად განხორციელდა მდინარე ვერეს ინტენსიური შეტბორვითი პროცესი. გარკვეული დროის მონაკვეთში მდინარის ნაკადმა გაარღვია ზღუდარი, რამაც განაპირობა დიდი სიმძლავრის ტურბულენტური ღვარცოფული ნაკადის ფორმირება.

აღსანიშნავია, რომ მდინარე ვერეს კალაპოტში ფორმირებულ ღვარცოფში, ქვატალახოვან მასასთან ერთად, იყო დიდი რაოდენობით ხის მორები (სურ. 10). ნატანდატვირთული ნაკადი მიაღმა ვაკე-საბურთალოს გზის ქვეშ მოწყობილ გვირაბს. ნაკადში არსებული დიდი ოდენობის ღვარცოფული მასისა და ხის მორების გამო მოხდა აღნიშნული გვირაბის გამტარუნარიანობის მნიშვნელოვნად შემცირება (სურ. 11) და, შესაბამისად, სვანდიის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებისა და საცხოვრებელი სახლების განადგურება (სურ. 12).



სურ. 2. მდინარე ვერეს ხეობის მარჯვენა შენაკადის - ჯოხონისხევის მოწყველად ფერდობზე ფორმირებული მეწყრის საერთო ხედი



სურ. 3. ჯოხონისხევიდან ფორმირებული ღვარცოფული გამონატანის საერთო ხედი



სურ. 4. ახალდაბისხევიდან ფორმირებული ღვარცოფული გამონატანის საერთო ხედი



სურ. 5. ჯოხონისხევისა (მარცხნივ) და ახალდაბისხევის (მარჯვნივ) შეერთების ადგილი



სურ. 6. მდინარე ვერეს შეტბორვის ზონა (მდ. ვერეს მარცხენა ნაპირზე ღვარცოფის ტალღის სიმაღლემ დაახლოებით 7 მ-ს მიაღწია)



სურ. 7. მდინარე ვერეს შესართავთან დაღეკილი ღვარცოფული მასა



სურ. 8. ზღუდარის განგრევის შემდეგ მდინარე ვერეს კალაპოტში ფორმირებული წყალდიდობის კვალი



სურ. 9. მდინარე ვერესთან ჯოხონისხევისა და ახალდაბისხევის შეერთების ადგილის ზედხედი



სურ. 10. მდინარე ვერეს შესართავთან ღვარცოფის მიერ გამოტანილი ხის მორები



სურ. 11. ვაკე-საბურთალოს გზის ქვეშ მოწყობილი ოვალური მოხაზულობის გვირაბი



სურ. 12. სვანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე წყალდიდობისაგან დატბორილი საცხოვრებელი სახლების საერთო ხედი



სურ. 13. მდ. ვერეს კალაპოტში საველე კვლევისას, მარცხნიდან: გ. ჩახაია, გ. გავარდაშვილი, ლ. წულუკიძე, ე. კუნხალაშვილი

დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ, შეტბორილმა წყლის მასამ გაარღვია პირველ გვირაბთან შექმნილი ბარიერი და გააგრძელა გზა მომდევნო გვირაბამდე. აქაც განხორციელდა ანალოგიური ჩახერგვა-შეტბორვა-განგრევის პროცესი, რის გამოც

ღვარცოფმა დაიწყო გვირაბის მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა. იგივე პრინციპით გაგრძელდა წყალდიდობისა და ღვარცოფის ნეგატიური ზემოქმედება მდინარე მტკვრის შესართავამდე.

პატასტროფის ძირითადი მიზეზები

1. ინტენსიური ატმოსფერული ნალექები (ტრაგედიის საღამოს 4 საათის განმავლობაში მოვიდა დაახლოებით 50 მმ-მდე ნალექი);
2. მეწყერი (მეწყერის ფორმირების ერთ-ერთ ხელშემწყობ მიზეზად უნდა დავასახელოთ გეოლოგიური პირობები. ფერდობი, რომლის დამეწყვრაც მოხდა, აგებულია

პალეოგენური ასაკის ქვიშაქვებით. ქვიშაქვებს მორიგეობით ცვლიან თხელშრეებრივი არგილიტები. აღნიშნული ქანების შრეობრივი დახრა ფერდობის დაქანებით ვრცელდება, რაც მათ დაცურებისა და მეწყერული მოვლენის წარმოშობის დიდ რისკებს განაპირობებს. ქვიშაქვები სშირად დანაპრაღიანებული და, ზოგჯერ, დაშ-

ლილ მდგომარეობაშიც იმყოფებიან, რაც ატმოსფერული ნალექების ქანების სიღრმეში შეღწევას აადვილებს. ქანებში ჩაქონილი წყლები არგილიტების შრეებში წარმოქმნიან მეწყრის ცოცვის სიბრტყეებს, რომელიც შესაძლოა სპორადული გაგრძელების იყოს, მაგრამ ფერდობის მდგრადობის დარღვევაზე მაინც გადამწყვეტ პირობებს ქმნის);

3. მეწყრული პროცესების შესახებ საკმარისი ინფორმაციის არარსებობა (არ ხორციელდებოდა მდინარე ვერუს სენსიტიურ უბნებში საველე-სარეკონსტრუქციო კვლევები

უკანასკნელი წლების განმავლობაში და, შესაბამისად, არ განხორციელებულა რისკების შეფასება);

4. ქ. თბილისის ფარგლებში, მდინარე ვერუს ხეობაში, არსებული წყალგამტარები (მდინარის გამტარუნარიანობის გაზრდა შესაძლებელია ტექნიკურ გათვლებზე დაყრდნობის შედეგად შემუშავებული ოპტიმალური განივკვეთისა და პარამეტრების მქონე წყალგამტარის მოწყობის შემთხვევაში);
5. კატასტროფების შეტყობინების საჭირო მექანიზმების არარსებობა.

**მდინარე ვერუს კალაპოტში 2015 წლის 14-20 ივნისის
განხორციელებული საველე კვლევის შედეგები**

2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერუს კალაპოტში ფორმირებული ბუნების სტიქიური მოვლენების შესწავლის მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების ჯგუფის მიერ (გივი გავარდაშვილი, რობერტ დიაკონიძე, გოგა ჩახაია, ლევან წულუკიძე, ელუარდ კუხალაშვილი, ზურაბ ვარაზაშვილი) 2014 წლის 14 ივნისიდან 20 ივნისამდე განხორციელდა საველე კვლევები. კვლევის მიზანს

წარმოადგენდა მდ. ჯოხონისხევის განივი და გრძივი პროფილების აგება GPS კოორდინატებში და GIS პროგრამის გამოყენებით მათი დატანა ციფრულ რუკაზე; მდინარე ჯოხონისხევის კალაპოტში წყალდიდობისა და ღვარცოფის მიერ ეროზირებული კალაპოტის შეფასება, ღვარცოფის ძირითადი პარამეტრების დადგენა და ა.შ. ცხრილი 1-ში მოყვანილია მდ. ჯოხონისხევის მახასიათებელი გრძივი პროფილები შესაბამის კოორდინატებში.

ცხრილი 1

მდ. ჯოხონისხევის კალაპოტის მახასიათებელი განივი კვეთები

<p>პიკეტი - 1. X - 0472953, Y - 4614988 ღვარცოფის სიღრმე - 12 (მ)</p>	<p>პიკეტი - 2. X - 0472741, Y - 4615125 ღვარცოფის სიღრმე - 11 (მ)</p>
<p>პიკეტი - 3. X - 0472779, Y - 4615309 ღვარცოფის სიღრმე - 8 (მ)</p>	<p>პიკეტი - 4. X - 0472698, Y - 4615384 ღვარცოფის სიღრმე - 12 (მ)</p>
<p>პიკეტი - 5. X - 0472645, Y - 4615380 ღვარცოფის სიღრმე - 12 (მ)</p>	<p>პიკეტი - 6. X - 0471810, Y - 4616540 ჯოხონისხევისა და ახალდაბისხევის მდ. ვერესთან შეერთების ადგილი</p>

**5. მდინარე ვერეს წყალშემკრები აუზის რეზიუმის
პირითაღი ღონისძიებები**

მდინარე ვერეს კალაპოტში ჩატარებული საველე-სამეცნიერო კვლევების დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ შეიძლება დაესახოს მდინარე ვერეს წყალშემკრები აუზის რეგულირების ძირითადი ღონისძიებები:

1. მეწყერის სხეულის ზედა ნაწილიდან ინფილტრირებული (ნაჟური) წყლების მოცილება;
2. მეწყერული სხეულის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის საინჟინრო ეკოლოგიური ღონისძიებების განხორციელება (მეწყერის ძირში ქვა-ბადის (გაბიონი) კედლის მშენებლობა და მეწყერული სხეულის ტერასირება. ტერასების მდგრადობის შესანარჩუნებლად მათზე გეოხალიჩების მონტაჟი და სატყეო-მელიორაციული ღონისძიებების განხორციელება);
3. მდინარე ვერეს კალაპოტის სანაპირო ზოლში, განსაკუთრებულ სენსიტიურ უბნებში, არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი;
4. მდინარე ვერეს კალაპოტში არსებული წყალგამტარი გვირაბების დეტალური შესწავლა და მათი არსებობის მიზანშეწონილობის დასაბუთება (საერთოდ ცნობილია, რომ მთის ტიპის მდინარეზე, რომელიც გაედინება ქალაქის ტერიტორიაზე, რეკომენდებულია ღია ტიპის წყალგამტარების მოწყობა);
5. მდინარე ვერეს წყალშემკრები აუზში

მოსალოდნელი წყალდიდობის, ეროზიულ-დვარცოფული და მეწყერული პროცესების რისკების შეფასება, პროგნოზირება და რისკის ხარისხის გათვალისწინებით მოწვევლადი უბნების რანჟირება;

6. გამოვლენილ მოწვევლად ფერდობებზე მიმდინარე ნიადაგის დეგრადაციული პროცესების (ეროზია, მეწყერი) დინამიკის შესწავლა გეოინფორმაციული სისტემებით, ტოპოგეოდეზიურ-ინსტრუმენტალური, ლაბორატორიული და კომპიუტერული მეთოდებით;
7. მოწვევლადი უბნების რანჟირების მიხედვით მოსალოდნელი წყალდიდობის, ეროზიულ-დვარცოფული და მეწყერული პროცესების საწინააღმდეგო ეფექტური და რესურსმზოგი პრევენციული, მათ შორის, დროებითი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება ლაბორატორიული მსხვილ-მასშტაბიანი ფიზიკური მოდელირების გათვალისწინებით;
8. ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შეტყობინების თანამედროვე სისტემების დანერგვა;
9. სახელმწიფოს მხრიდან, გარემოსდაცვა ორგანიზაციების მეტი ხელშეწყობა და მათი მოსახრებების გათვალისწინება გარემოსდაცვითი პროექტების შედგენისას.

**6. ქ. თბილისის დვარცოფებისაგან ეფექტური დაცვის მიზნით
სტიქიის რეზიუმის რენტაგელური ნაბეზობები**

დვარცოფსაწინააღმდეგო გამჭოლი, ტრამპლინის ტიპის ახალი ნაგებობების დანიშნულებას წარმოადგენს ნაკადის დარტყმის ძალის შემცირება, განსაკუთრებით ნაკადის პარამეტრების კატასტროფული მნიშვნელობებისას, აგრეთვე, კონსტრუქციების გამარტივება-გაიაფება. აქვე უნდა აღი-

ნიშნოს ნაგებობების სიახლის პრიორიტეტები (ნოუ-ჰაუ) დამოწმებულია შესაბამისი საავტორო და პატენტის მოწმობებით.

ქვემოთ განხილული კონსტრუქციების უპირატესობა არსებულთან შედარებით შემდეგია: ა) ნაგებობის საიმედო და ხანგრძლივი მუშაობა; ბ) მთის მდინარეების

ეფექტური სტაბილიზაცია და გ) დიდი ეკონომიური ეფექტი - წარმოდგენილი ნაგებობები შენდება რკინაბეტონისა და მეორეული მასალისაგან (ჩამოწერილი რკინის რელსები, ამორტიზებული ლითონის ბაგირები და ა.შ.), რომელთა რაოდენობა მთლიანი სამშენებლო მასალის 50-80%-ს შეადგენს.


ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობა (ს.მ. № 1101499) წარმოადგენს თაღოვან-კონუსურ კონსტრუქციას ყრუ კონუსური წვერით, რომელიც დაკავშირებულია რკინის რელსებთან და ნახევრად წრიული თაღების მეშვეობით ქმნის ტრამპლინს. კონუსის წვერი მიმართულია ნაკადის მოძრაობის საწინააღმდეგოდ (იხ. სურ. 14). რკინის კოჭები ნაგებობის ზედაპირზე ქმნიან სამკუთხედის ან, ზოგ შემთხვევაში, ტრაპეციული კვეთის ღრეჩოებს, რომლის საშუალებითაც თხიერი ხარჯი წვრილ ფრაქციებთან ერთად ჩაედინება ნაგებობის ქვედა ბიეფში, ხოლო შედარებით მსხვილი ფრაქციები რჩება ნაგებობის ზედაპირზე, ანუ ზედა ბიეფში.

ღვარცოფის მოძრაობისას ნაგებობის წვერი შუაზე აყოფს ნაკადს, რომლის შემდეგ ენერგიადაკარგული ნაკადი მოძრაობს ნაგებობის ზედაპირზე, სადაც ხდება ნაკადის ძირითადი ენერჯის ჩაქრობა.


კონსტრუქცია, რომელიც წარმოდგენილია მე-15 სურათზე, წარმოადგენს წინა კონსტრუქციისაგან ღრეჩოების მართკუთხა ფორმით განსხვავებულ, ტრამპლინის ტიპის, ცილინდრული ფორმის ნაგებობას (ს.მ. № 1165736). ნაგებობის ყრუ კონუსით გადაკეტილია მდინარის კალაპოტის მთელი განივი კვეთი, რომელიც თანაბრად ამცირებს

ნაკადის დარტყმის ძალას ნაგებობაზე და გამორიცხავს ნაკადის ძალისმიერ მოქმედებას თაღის ქუსლებში. ნაგებობის მაკეტი გაგზავნილი იყო გამომგონებელთა მსოფლიო გამოფენაზე (ბულგარეთი ქ. პლოვდივი, 1985 წ.) რომელიც დაჯილდოვდა დიპლომითა და პრემიით, ასევე, ქ. მოსკოვში საერთაშორისო გამოფენაზე (ВДНХ) ნაშრომი დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლით. ნაგებობის მუშაობის პრინციპი თითქმის ანალოგიურია წინა კონსტრუქციასთან შედარებით, იმ განსხვავებით, რომ თაღოვან - ცილინდრული ფორმის ნაგებობის ზედაპირზე უფრო ეფექტურად ხდება ღვარცოფის ენერჯის ჩაქრობა.


ღვარცოფსაწინააღმდეგო თაღოვან-საფეხურებიანი ფორმის ნაგებობა (ს.მ. №1191515), წარმოადგენს რკინის რელსებისაგან შეკრულ კარკასს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია შედუღებით ან მოქლონებით, რკინის კარკასი მდინარის კალაპოტში ჩამაგრებულია ბეტონით (სურ. 16). ნაგებობის ღრეჩოების მართკუთხა ფორმა ღვარცოფის ენერჯის ეფექტური ჩაქრობის საშუალებას იძლევა და გამორიცხავს ნაკადის ნაგებობაზე მაქსიმალურ ძალურ მოქმედებას. ღვარცოფის გავლის დროს, ძირითად (პირველ) ძალისმიერ ზემოქმედებას იღებს ნაგებობის პირველი საფეხური, სადაც ხდება ნაკადის სტრუქტურის პირველი რღვევა; შემდეგ ნაკადი მოძრაობს ნაგებობის ცილინდრული ფორმის საფეხურებზე, სადაც მიმდინარეობს ღვარცოფის ენერჯის თანაბარი ჩაქრობა.




სურ. 14. თაღოვან-კონუსური ფორმის ნაგებობა




სურ. 15. ცილინდრული ფორმის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობა




სურ. 16. თაღოვან-საფეხურებიანი ფორმის ნაგებობა




სურ. 17. ტრაპეციული ფორმის ნაგებობა




სურ. 18. ღვარცოფსაწინააღმდეგო ცხაური ტიპის ბარაჟი




სურ. 19. ღვარცოფის ენერჯის ჩამქრობი ნაგებობა




სურ. 20. ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობა



სურ. 21. ღვარცოფსაწინააღმდეგო საფეხუროვანი ბარაჟი



სურ. 22. ღვარცოფსაწინააღმდეგო საფეხუროვანი ბარაჟი



სურ. 23. გამჭოლი ტიპის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობა



სურ. 24. ელასტიური ღვარცოფსაწინააღმდეგო ბარაჟი მდ. ღურუჯხე



სურ. 25. ელასტიური ღვარცოფსაწინააღმდეგო ბარაჟი მუშაობისას, შვეიცარია

კონსტრუქცია (ს.მ. №1242570), რომელიც ნაჩვენებია მე-17 სურათზე, წარმოადგენს ტრაპეციული ფორმის ღვარცოფსაწინააღმდეგო რკინაბეტონის კედლებით; ნაგებობის ფერდები დაკავშირებულია მდინარის კალაპოტის (ხეობის) გვერდებთან, რომელთა კუთხის მნიშვნელობაც იცვლება 110 - 1600-ის ფარგლებში. ნაგებობის ფერდები წარმოადგენენ რკინის კოჭებს, რომლებიც ერთმანეთთან ქმნიან მართკუთხა ფორმის ღრეხობებს. ნაგებობის ცენტრში მოთავსებულია რკინაბეტონის საძირკველი, რომელსაც აქვს ტრამპლინის ფორმა და რომელზეც მოძრაობს ღვარცოფი.

ნაგებობის ტრაპეციული ფორმა, ნაკადმიმართული კედლებით, საშუალებას

გვაძლევს შევამციროთ როგორც ნაკადის დარტყმის ძალის მნიშვნელობა, ასევე ნაგებობაზე მოქმედი ნატანების ანუ ღვარცოფული მასის გრავიტაციული (წონითი) დაწოლა, რომელიც ნაგებობის საიმედო მუშაობის გარანტიას იძლევა.

ღვარცოფსაწინააღმდეგო საფეხურებიანი ბარაჟი (ს.მ. №1596006) შედგება რკინაბეტონის ჰორიზონტალურად განლაგებული კოჭებისაგან, რომლებზედაც ვერტიკალურ სიბრტყეში დამაგრებულია რკინის კოჭები და მეორე ბოლოთი ჩამაგრებულია მდინარის კალაპოტში (სურ. 18). რკინაბეტონის კოჭების ბოლოები ერთმანეთთან დაკავშირებულია ელიფსური ფორმის ბეტონის თავებით, რომლებიც ნაგებობის მუშაობისა და

მდგრადობის აღბათობას ზრდიან.

ღვარცოფის მოძრაობისას ნაგებობის ჰორიზონტალურად განლაგებული რკინაბეტონის კოჭები ნაკადის ენერჯიას ამცირებენ ვერტიკალურ სიბრტყეში, ხოლო ელიფსური ფორმის ბეტონის თავები ნაკადს ანაწილებენ კალაპოტის მთლიან სიგანეზე ჰორიზონტალურ სიბრტყეში.

ღვარცოფის ენერჯიის ჩამხშობი ნაგებობა (საქართველოს პატენტი №740) წარმოადგენს გამჭოლ ნაკვეთურებიან ღარული ტრამპლინის ტიპის კონსტრუქციას, რომელიც მდინარის კალაპოტში მაგრდება საყრდენებზე (სურ. 19). ღარი შესრულებულია ნახევარცილინდრის ფორმით, რომლის ზედაპირზეც ამოკვეთილია წრიული ფორმის ნაკვეთურები, ამასთან ერთად, საყრდენებს შორის გათვალისწინებულია ღვარცოფგამყოფი საყრდენი კედელი. ღარზე ღვარცოფის მოძრაობისას წრიული ფორმის ნაკვეთურებში თხიერ მასასთან ერთად ჩაედინება წვრილი ფრაქციები, ხოლო შედარებით დიდი დიამეტრის მქონე ფრაქციები რჩება ღარის ზედაპირზე, რომლებიც უკუმოდრალობით რჩება ნაგებობის ზედა ბიეფში.

ნაგებობა წარმოადგენს პარაბოლური ფორმის ღარს (სურ. 20), ბოლოში მოხვეულობით მდინარის ღერძისაკენ, სიგანით - მდინარის კალაპოტის ნახევარზე ნაკლები,

მიშენებულია მდინარის ფერდზე. ღარის პარაბოლური ფორმა, მდინარის კალაპოტში კატასტროფული ღვარცოფის მოდინებისას, საშუალებას იძლევა წარმოდგენილი კონსტრუქცია არ დაიტბოროს და მუშაობს საკმაოდ ეფექტურად (ს.მ. №1789589).

ღვარცოფსაწინააღმდეგო ბარაჟის ელემენტები (სურ.21) წაკვეთილი კონუსის ფორმისაა. ელემენტები ჩამაგრებულია ბეტონის ფუძეში. ღრუ დიდი ფუძეებით მიმაგრებულია მდინარის კალაპოტის ნაპირებში, ხოლო წაკვეთილი კონუსის ფუძეების დიამეტრები იზრდება ღვარცოფის მოძრაობის მიმართულებით (საქართველოს პატენტი № 4554).

ღვარცოფსაწინააღმდეგო ბარაჟი (სურ. 22) წარმოადგენს მრუდწირული ელემენტებისაგან შედგენილ საფეხუროვან ნაგებობას, რომლის ელემენტების სიმრუდის რადიუსებიც იზრდება ღვარცოფის მოძრაობის მიმართულებით. მრუდწირული ელემენტები ნახევარცილინდრული ფორმისაა, რომლებიც ჩამაგრებულია ბეტონის ფუძეში როგორც მდინარის კალაპოტში, ასევე ნაპირებში და მიმართულია ღვარცოფის მოძრაობის მიმართ გარკვეული დახრის კუთხით. ნაგებობის ელემენტების წვეროებს შორის მანძილი კლებულობს ღვარცოფის მოძრაობის მიმართულებით.

7. წინადადება მდ. ვერეს კალაპოტის რეზულირებისათვის ღვარცოფსაწინააღმდეგო საფეხუროვანი ფორმის ბარაჟის ლაბორატორიული მოდელირების შესახებ

ქ. თბილისის ბუნების სტიქიური მოვლენებისაგან საიმედო და ეფექტური დაცვის მიზნით, მდინარე ვერეს კალაპოტის უბნების შეფასების შემდეგ, მისი წყალშემკრები აუზის რეგულირებისათვის შესაძლებელია განხორციელდეს ჩვენ მიერ ზემოთ შემოთავაზებული რომელიმე კონსტრუქციის ან ნაგებობათა კასკადის ერთობლივი გამოყენებით, რომელიც შერჩეული უნდა იყოს მდინარე ვერეს წყალშემკრები აუზის ჩამდინარე ხევეების კალაპოტების გეოგრაფიული, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და ჰიდრა-

ლიკური ძირითადი პარამეტრების მხედველობაში მიღებით. ამასთან ერთად, ნაგებობების საიმედოობისა და რისკის შეფასების მიზნით, რეკომენდებულია შერჩეული კონსტრუქციების ლაბორატორიული მსხვილმასშტაბიანი ფიზიკური მოდელირების განხორციელება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში.

აღნიშნული საკითხი უკვე შეთანხმებული და გადაწყვეტილიცაა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაც-

ვის სამინისტროსთან (სამინისტროს წერილი №5449, 31.07.2015).

საილუსტრაციოდ ქვემოთ განვიხილოთ ახალი დვარცოფსაწინააღმდეგო გამჭოლი, ცხური ტიპის საფეხუროვანი ფორმის კონსტრუქციის მოდელირების მაგალითი, რომლის სამოდელო მახასიათებლებიც წარმოდგენილია ქვემოთ: 1) მოდელირების მასშტაბი - 1: 30; 2) საფეხურის რაოდენობა - 3; 3) საფეხურების სიმაღლეები - 0,11 მ; 0,15 მ; 0,19 მ; 4) საფეხურების ფუძეების სიგრძეები - 0,35 მ; 0,47 მ; 0,6 მ; 5) ღარის სიმაღლე - 0,29 მ; 6) ღარის სიგანე - 0,36 მ; 7) ღარის სიგრძე - 12 მ; 8) სარეგულაციო მაქსიმალური ქანობი - $i=0,06$; 9) დეროების დიამეტრი - 0,05 მ; 10) ღეჩოების მინიმალური სიგრძე - 0,05 მ;

11) ბადის მინიმალური ზომები - $0,05 \times 0,05$.

სტუ-ს ც. მირცხულავას წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის საერთო ხედი ნაჩვენებია 26-ე, ხოლო სამოდელო ჰიდრაულიკური ლაბორატორიის ხედი კი - 27-ე სურათზე.

ცხური ტიპის საფეხუროვანი ფორმის დვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობის მოდელზე (სურ.16) ინსტიტუტის ჰიდრაულიკურ ლაბორატორიაში მოდელირების პროცესში დაცული იქნება მსგავსების შემდეგი პირობები: დინამიკური მსგავსება $F_r = iden$, ნატანის მოძრაობა $V_{wat}/V_{sed} = iden$; კალაპოტის წინააღმდეგობის კოეფიციენტი $C = iden$; კალაპოტის ქანობი $i = iden$;



სურ. 26. ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ლაბორატორია



სამოდელი პიდრავლიკური ღარის საერთო ხედი



სამოდელი პიდრავლიკური ღარის განივი კვეთი



პიდრავლიკური ღარის წყალსაშვიანი ნაწილი



სამოდელი პიდრავლიკური ღარი გეგმაში

სურ. 27. ინსტიტუტის პიდრავლიკური ლაბორატორია

8. სავალე-სამეცნიერო კვლევის შედეგების ინფორმაციულობა

მდინარე ვერეს კალაპოტში 2015 წლის 14-20 ივნისს განხორციელებული სავალე-სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოყენებით მდ. ვერეს კალაპოტში ფორმირებული ბუნებრივი კატასტროფების ზემოქმედებისაგან ქ. თბილისის დაცვის მიზნით დამუშავდა სამეცნიერო ანგარიში, რომლის პრეზენტაციებიც წარდგენილ იქნა:

- 2015 წლის 19 ივნისს მთავრობის კანცელარიაში კომისიის პირველ სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე, ბ-ნი ირაკლი ღარი-

ბაშვილი. პროფ. გ. გავარდაშვილმა (სტატიის ავტორმა), როგორც მდ. ვერეს ხეობის ახლებურად დაგეგმარების საკითხზე შექმნილი სახელმწიფო კომისიის წევრმა, გააკეთა ვრცელი მოხსენება მდ. ვერეს კალაპოტში განხორციელებული სავალე-სამეცნიერო კვლევის შედეგებზე.

- 2015 წლის 19 ივნისს პროფ. გ. გავარდაშვილმა (სტატიის ავტორმა) მდ. ვერეს კატასტროფის შესახებ ინტერვიუ მისცა: ტელეკომპანია „ობიექტის“, - შუადღე ობიექტივში (13:00 სთ), ტელეკომპანია

„GDS“-ის საინფორმაციო გადაცემას (20:30 სთ), ხოლო 20 ივნისს კი ტელეკომპანია „იმედს“, ქრონიკაში (11:00 სთ);

- 2015 წლის 19 ივნისს პროფ. გ. გავარდაშვილმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მდ. ვერეს კალაპოტის შესწავლის სპეციალურ კომისიაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანიას, გააკეთა მოხსენება მდ. ვერეს კალაპოტში განხორციელებულ სამეცნიერო-საველე კვლევების შედეგებისა და კალაპოტის რეგულირების ღონისძიებების შესახებ;
- 2015 წლის 20 ივნისს პროფ. გ. გავარდაშვილმა ქ. თბილისის მერიაში სახელმწიფო კომისიის მე-2 სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა მდ. ვერეს ხეობის ახლებურად დაგეგმარების საკითხზე შექმნილი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. თბილისის მერი ბ-ნი დავით ნარმანია, წარადგინა მდ. ვერეს კალაპოტში ფორმირებული ღვარცოფების რეგულირების პრევენციული და კაპიტალური ტიპის ღონისძიებები;
- 2015 წლის 22 ივნისს ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა, ასოც-პროფესორებმა: გოგა ჩახაიამ, რობერტ დიაკონიძემ და ლევან წულუკიძემ ქ. თბილისის მერიაში გააკეთეს პრეზენტაცია მდ. ვერეს კალაპოტის რეგულირების ღონისძიებების შესახებ.
- 2015 წლის 25 ივნისს პროფ. გ. გავარდაშვილმა იაპონიაში, ქ. ცუკუბაში ღვარცოფების მე-6 საერთაშორისო კონფერენციაზე (6th International Conference on Debris flow Hazards Mitigation: Mechanics, Prediction and Assessment. June 22-25, 2015, Tsukuba International Congress Center, EPOCHAL TSUKUBA, JAPAN), რომელსაც ესწრებოდა მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები ღვარცოფმცოდნეობის მიმართულებით, წარსდგა პრეზენტაციით მდ. ვერეს

კალაპოტში ფორმირებული სტიქიების შესახებ. პრეზენტაციის შემდეგ მდ. ვერეს კალაპოტის რეგულირების პრობლემებზე გაიმართა მსჯელობა ცუკუბას უნივერსიტეტის საერთაშორისო კონგრესის ცენტრში ღვარცოფმცოდნეობის მსოფლიოში ცნობილ მკვლევარებთან: იაპონიიდან - კოტოს უნივერსიტეტის ბუნებრივი კატასტროფების კვლევის ინსტიტუტის საპატიო დირექტორთან, პროფ. ტამაცუ ტაკაჰითან, ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების მეცნიერული კვლევის, დაპროექტებისა და მშენებლობის საერთაშორისო ასოციაცია „SABO“-ს პრეზიდენტ, პროფ. ჰიდეტომი ოისთან (რომელთანაც განხილულ იქნა მდ. ვერეს ღვარცოფი და კალაპოტის რეგულირების ღონისძიებები), პროფ. ჰიროში სუვას, პროფ. დიტერ რიკენმანს (შვეიცარია), პროფ. მარსელ ჰურლიმანს (ესპანეთი), პროფ. ტიმოთი დევისთან (ახალი ზელანდია) და სხვ.

- 2015 წლის 26 ივნისს, მოხსენების მეორე დღეს ღვარცოფების მე-6 საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ პროფესიული ექსპურსიის პროგრამაში პროფ. გ. გავარდაშვილის თხოვნით შეიტანეს ცვლილება და კონფერენციის მონაწილეები გაემგზავრნენ პროფესიულ-ექსპურსიაზე ქ. ნიკოში ანალოგიური სტიქიის რეგულირების ღონისძიებების გასაცნობად. აქაც, მდინარის კალაპოტში ჩამოწვა მძლავრი მეწყერი, შემდეგ ფორმირებულ იქნა ღვარცოფი. აქ ზარალი მინიმალური იყო, რადგან მდინარის კალაპოტი დარეგულირებული იყო ღვარცოფსაწინააღმდეგო ცხაური ტიპის ბარაჟებით, რის ანალოგიურ ღონისძიებებსაც სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი სთავაზობს საქართველოს მთავრობას სტიქიების დასარეგულირებლად, რაც ქ. თბილისის უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი გარანტია.

- 2015 წლის 22 ივლისს სტუ-ს სააქტო დარბაზში შედგა შეხვედრა ქ. თბილისში 2015 წლის 13 ივნისს მომხდარი სტიქიის სამეცნიერო კვლევების პროგნოზირებისა და მისი რეგულირების შესახებ. სხდომა გახსნა სტუ-ს რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფ. ზ. გასიტაშვილმა. მოხსენებით გამოვიდნენ პროფესორები: მ. ცინცაძე, გ. გავარდაშვილი, ზ.

გედენიძე და სხვ. ზ. გედენიძემ წამოაყენა წინადადება მდ. ვერეს კალაპოტის რეგულირებისათვის რექტორის ბრძანებით შეიქმნას კომისია, რომელსაც უხელმძღვანელებს სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, რასაც ზ. გასიტაშვილმა მხარი დაუჭირა. კომისია იმუშავებს მდ. ვერეს კალაპოტის რეგულირების საკითხებზე.

ლიტერატურა

1. სამეცნიერო ანგარიში - „მდ. ვერეს კალაპოტში 2015 წლის 13-14 ივნისს ბუნების სტიქიური მოვლენების შეფასება და ანალიზი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის წერილი პრემიერმინისტრისადმი #01-15/205, 24 აგვისტო, 2015), თბილისი, 2015, 73 გვ.
2. **Gavardashvili G.V.** Prediction of the Shapes of a Debris Flow Wave Front by Considering Theoretical and Fields Studies. 6th International Conference on Debris flow Hazards Mitigation: Mechanics, Prediction and Assessment. June 22-25, 2015, Tsukuba International Congress Center, EPOCHAL TSUKUBA, JAPAN, 67 p.
3. **გავარდაშვილი გ.გ., ჩახაია გ.გ.** საქართველოს ძირითადი ღვარცოფული ტიპის მდინარეთა აუზების ტიპოლოგია და მათი შეფასება. „წყალსამეურნეო და ჰიდრომელიორაციული ობიექტების მდგრადობა, საიმედოობა და ეკოლოგიური უსაფრთხოება“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ჰიდროეკოლოგიის“ ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 2005, გვ. 12 - 19.
4. **Gavardashvili G.V.** New Designs of Spring-Board Type Drift-Trapper and the Methodology.
5. for Their Calculation 14th International Conference on Transport & Sedimentation of Solid Particles. 23-27 June 2008, Saint Petersburg, RUSSIA, pp. 128-136
6. **Гавардашвили Г.В.** Разработка схем расположения противоселевых сооружений на горных реках. Труды международной конференции по теме эрозионно-селевые явления и некоторые смежные проблемы. Труды института Грузгидроэкологий. Тбилиси, 2001, с. 33 – 39.
6. **Gavardashvili G.V.** The New Mud-Protective Structures and Their Calculation Methodology . Tbilisi, Republic of Georgia, 1995, 58 p.
7. **Gavardachvili G.V.** – Les Nouvelles Espèces Des Constructions De la Nature. Metsniereba, Tbilisi, 1999, 42 p.
8. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И.** Основы динамики селей. Тбилиси, 2007, 212 с.
9. **Натишвили О.Г.** О переносе твердых взвешенных частиц турбулентным русловым потоком. Труды ГрузНИИГиМ, вып. 23, 1965, с 159-174.
10. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И.** Одномерные наносонесущие русловые потоки. ООО „Научтехлитиздат“, Москва, 2012, 192 с.

ჰიდროლოგია, გარემოს დაცვა

**მდინარე ვეჩხეზე ცალკეული თვეებისა და წლის მაქსიმალური ხარჯების
ცვალებადობის დინამიკის (ტრენდის) შეფასება**

**გურამ გრიგოლია¹⁾, დავით კერესელიძე²⁾, მერაბ ალავერდაშვილი²⁾,
ვაჟა ტრაპაიძე²⁾, გიორგი ბრეგვაძე²⁾
E-mail: davit.kereselidze@tsu.ge; vazha.trapaidze@tsu.ge**

- ¹⁾ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
დ. აღმაშენებლის გამზ. 150-ა, 0102, თბილისი, საქართველო
- ²⁾ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, თბილისი, საქართველო
- ³⁾ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0179, თბილისი, საქართველო

შუსაგალი

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მთელს მსოფლიოში გლობალური დათბობის გააქტიურებასთან დაკავშირებით მკვეთრად გაძლიერდა სტიქიური მოვლენები, რაც პლანეტის კლიმატურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული სტიქიური მოვლენებიდან ყველაზე მეტად აღსანიშნავია წყალდიდობები, წყალმოვარდნები, მეწყერული მოვლენები და, მათგან გამომდინარე, ღვარცოფული ნაკადები, რომელთაც თავისი დამანგრეველი ძალით დიდი ზიანი მოაქვთ კაცობრიობი-

სათვის, სამწუხაროდ, ხშირია ადამიანთა მსხვერპლიც. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. მანამდეც და, განსაკუთრებით, ბოლო ორ ათწლეულში მკვეთრად გამოიხატა აღნიშნული მოვლენები ჩვენს დედაქალაქშიც, რომლის არეალში 33-მდე მეწყერული კერაა, რომელთაგან თავისი სტიქიური მოვლენებით ბევრმა მიაყენა ქალაქს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევებში, სტიქიებს თან სდევს ადამიანთა მსხვერპლიც.

ძირითადი ნაწილი

თბილისის ისტორიული წარსულის განმავლობაში, ქალაქის ტერიტორიაზე ჩამდინარე მდინარეებსა და წყალსადინარებზე მრავალჯერ მომხდარა ძლიერი წყალდიდობები, წყალმოვარდნები და ღვარცოფული მოვლენები, რომლებიც მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს აყენებენ ჩვენს დედაქალაქს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მდინარე კრწანისის ხეზე 2012 წლის 12 მაისს ფორმირებული ღვარცოფული ნაკადი, რომელმაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ასევე მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაღვა ქალაქს მდინარე გლდანულას წყალმოვარდნისგან. განსაკუთრებით, აღსანიშნავია მდინარე

ვერეზე გასულ წლებში მომხდარი წყალმოვარდნები, რომელთაც დიდ მატერიალურ ზარალთან ერთად ახლდა ადამიანთა მსხვერპლი, მაგრამ 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარმა ღვარცოფულმა წყალმოვარდნამ არნახული ეკონომიკური ზარალი მიაყენა ჩვენს დედაქალაქს, კერძოდ, მის შუა წელში - დაბა ახალდაბასთან, სვანიძის ქუჩასა და მის ქვემო წელში, მდინარე მტკვრის შესართავამდე. დაიღუპა 21 ადამიანი, განადგურდა თსუ-ს სასწავლო ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორია. წყალმოვარდნის ძირითად ბუნებრივ მიზეზად მიჩნეულ იქნა მანამდე, 3-4 ივნისს, მდინარის ზედა წელში მოსული დიდი ატმოსფერული

რული ნალექი (100-110 მმ), რომელსაც მოჰყვა დიდი წყალმოვარდნა - 155,3 მ³/წმ წყლის ხარჯით, ამ დროს მდინარის ზედა წელში მოსული უხვი ნალექების შედეგად დამძიმდა აუზის ციცაბო ფერდობები, შენაკადებმა მდინარე ვერეს შესართავთან ჩამოიტანა და ჩახერგა უამრავი მასალა, შემდეგ კი მდინარე ვერესზე 13 ივნისს განვითარებული ძლიერი ღვარცოფული წყალმოვარდა, რომლის ძირითად მიზეზად მიჩნეულ იქნა მთელ აუზში 4-5- საათის განმავლობაში მოსული დიდი რაოდენობის და ინტენსივობის ნალექი - არანაკლებ 180 მმ, რაც თბილისის ნალექების საშუალო მრავალწლიური რაოდენობის (500 მმ) 35%-მდეა, რამაც გამოიწვია დაბა წყნეთსა და სოფელ ახალდაბას შორის ვერეს ხეობის მარჯვენა კალთაზე ჯოხონისხევის აუზში წარმოქმნილი კლდოვანი ქანების მეწყერი, რომელიც წყლით გაჯერებულ გრუნტსა და ჩაზვავებულ ნიადაგ-ტყიან საფართან ერთად გადაიტყა მძლავრ ღვარცოფულ ნაკადად, დიდი სისწრაფით ჩაეშვა რამდენიმე მეტრით ადიდებულ მდინარე ვერეს კალაპოტში, ერთი-ორი წუთის განმავლობაში შეაგუბა მოდიდებული მდინარე და მისი გარღვევის შემდეგ მივიღეთ მძლავრი ღვარცოფული ნაკადის დამანგრეველი ძალა. კატასტროფულად ადიდებულმა მდინარემ შეაღწია თბილისის განაშენიანების ფარგლებში, შეგუბდა რამდენიმე ადგილზე და წარეცხა და დატბორა მდ. ვერეს ხეობის დაბალ ნიშნულზე განლაგებული საცხოვრებელი სახლები და შენობა-ნაგებობები, ინფრასტრუქტურული ობიექტები, თსუ-ს სასწავლო ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორია და, პრაქტიკულად, გაანადგურა თბილისის ზოოპარკი. კატასტროფის მთავარ მიზეზად მიჩნეულია ვაკე-საბურთალოს გადასასვლელი გვირაბის ჩახერგვა ორი დიდგაბარიტიანი სატვირთო ავტომობილი „კამაზით“ და მასზე მიყრილი სხვადასხვა მასალით, რამაც 40 წუთში გამოიწვია მდინარის დონის კალაპოტის ნიშნულიდან 17 მეტრით აწევა და ტერიტორიის მთლიანი შეტბორვა - დაიტბორა სვანიძის ქუჩა და სტიქიის ზონად ჩამოყალიბდა.

მდინარე ვერეს ხეობაში ხშირია თავსხმა წვიმების შედეგად კატასტროფული ხასიათის წყალმოვარდნები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1960 წლის 5 ივლისის წყალმოვარდნა. დაფიქსირებულმა კატასტროფულმა ხარჯმა შეადგინა 259 მ³/წმ, რაც 100-წლიანი განმეორებადობის წყლის ხარჯს (240 მ³/წმ) აღემატება. ამ დროს ლაბორატორიასთან წყლის დონემ 5.5 მეტრით აიწია, შეგუბებული წყლის გარღვევის შემდეგ წყალი მთელი დაწნევით წავიდა მდინარე მტკვრისაკენ, შეიჭრა ზოოპარკისა და აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიაზე და დიდი ზარალი მიაყენა მათ. გმირთა მოედანთან მდინარე ვერეს ახალი ხიდის ქვემოთ შემორჩენილი იყო ძველი ხიდი, როგორც ძველი კულტურის ძეგლი, მისი სიმაღლე 3.0-3.5 მეტრამდე იყო, ამ თაღმა შეაჩერა მდინარის მიერ მოტანილი ხეები და მდინარე ხელმეორედ შეგუბდა, დონემ 5.0 მეტრით მაღლა აიწია, წყალი ხიდს ზემოდან გადაედინა და მისი გარღვევის შემდეგ დიდი ხარჯით შევიდა მდინარე მტკვარში. მდინარე ვერეს (როცა მისი ხარჯი 259 მ³/წმ) 5474 კგ/წმ-ში მყარი ნატანი მოჰქონდა. მდინარე საკმაოდ დიდი ხარჯით მიდიოდა 2.5 საათის განმავლობაში და გამოანგარიშების შედეგად ამ ხნის განმავლობაში მდინარე მტკვარში ჩაიტანა 39.4 ათ. ტ მყარი ნატანი, რაც წლიური ჩამონადენის (96 ათ.ტ.) 41%-ს შეადგენს. 1963 წლის 3 აგვისტოს, ძლიერი წვიმის გამო მოხდა შედარებით მცირე მასშტაბის წყალმოვარდნა, რომლის დროსაც მდინარე ვერეს ხარჯი 140 მ³/წმ-ს შეადგენდა, დაინგრა სხვადასხვა პატარა ხიდი და სხვა ნაგებობანი, მაგრამ მას ისეთი ზარალი არ მოუტანია, როგორც 1960 წელს, ამ შემთხვევაში ვაკე-საბურთალოს გვირაბმა თავისუფლად გაატარა წყალი. 1940 წლის 10 მაისის წყალმოვარდნის შესახებ ცნობილია, რომ ამ დღეს მდინარე ვერეს მაქსიმალური ხარჯი იმდენად დიდი იყო, რომ კალაპოტის ახლოს აგებული საცხოვრებელი სახლები დაანგრია. მაშინ მდინარე ვერეს მაქსიმალური ხარჯი 127 მ³/წმ-ს უდრიდა (ხარჯი დათვლილია წყალდიდობის მიერ დატოვებული ნიშნულის მიხედვით). გარდა ზემოაღნიშნულისა, ცალკეულ

წლებში მდ. ვერეხე, ჰიდროლოგიური რეჟიმის შესწავლის პერიოდში (1963-2015), დაფიქსირებულია შემდეგი ძლიერი წყალმოვარდნები: 1963 წელს - 140 მ³/წმ, 1966 - 70.3 მ³/წმ, 1976 წელს - 79.1 მ³/წმ, 1982 წელს - 109 მ³/წმ განსაკუთრებით გახშირდა წყალმოვარდნები 1990-იანი წლებიდან, რომლებიც წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ ხდებოდა, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: 1992 წელს - 66.2 მ³/წმ, 1993 წელს - 41.8 მ³/წმ, 1994 წელს - 81.9 მ³/წმ, 1995 წელს - 40.8 მ³/წმ, 1997 წელს - 106 მ³/წმ, 2002 წელს - 66.8 მ³/წმ, 2007 წელს - 48.5 მ³/წმ, 2009 წელს - 133 მ³/წმ, 2010 წელს გაზაფხულზე სამჯერ - 30 მ³/წმ, 2011 წელს - 34.0 მ³/წმ, 2012 წელს - 153 მ³/წმ, 2014 წელს - 30.2 მ³/წმ, აღნიშნული პერიოდის (1963-2015) ყველაზე მაქსიმალური ხარჯი - 2015 წლის 4 ივნისს 155,3 მ³/წმ და ბოლოს 14 ივნისის კატასტროფული ხარჯი - 468 მ³/წმ [1].

მსოფლიოში მომხდარ სტიქიურ მოვლენათა უმრავლესობა მოდის ჰიდრომეტეოროლოგიურ სტიქიებზე (ზარალის 65%), რომელთა შორის თავისი სიხშირითა და ზარა-

ლით გამოირჩევა წყალდიდობები და წყალმოვარდნები (ზარალის 37%). ეს პრობლემა მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც მდინარეთა სიმრავლისა და მათი მრავალფეროვანი ბუნების გამო. მდინარეთა უმრავლესობა მაღალ მთაში იღებს სათავეს და გარკვეულ უბანზე დიდი დამანგრეველი ძალით (ენერგიით) ხასიათდება ბარში შეღწევისას, რომლის შედეგად ძირითადი პრობლემაა დიდი ფართობების დატბორვა, რაც გამოისახება კლიმატის მიმდინარე ცვლილებებით გამოწვეული სტიქიური მოვლენების ერთ-ერთი ყველაზე საშიში ფენომენის - წყალდიდობების და მასთან დაკავშირებული კატასტროფული პროცესების (წყალმოვარდნები, ტერიტორიების დატბორვა, ღვარცოფები და ა.შ.) ინტენსივობითა და სიხშირით.

წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების დინამიკის დასადგენად შეფასდა ცალკეული თვეების ტრენდის კორელაციის კოეფიციენტები წყლის მაქსიმალურ ხარჯსა და მის რიგით ნომერს შორის 1963-1990, 1991-2014 და 1963-2014 წ.წ. პერიოდისათვის, რომელიც მოცემულია ცხრილში 1,2,3.

ცხრილი 1

მდინარე ვერეხე მაქსიმალური ხარჯების მახასიათებლები 1963-1990 წ.წ.

	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	I	II	წელი
Q _{მაქს.}	17.7	24.2	79.1	45.7	109	140	17.1	17.1	6.10	2.62	1.32	11.9	140
Q _{წინ.}	4.10	8.25	13.7	9.25	8.78	8.43	2.11	2.64	1.62	0.88	0.67	1.40	5.15
K _{აქტვ.}	3.43	4.70	15.4	8.87	21.2	27.2	3.32	3.32	1.18	0.51	0.26	2.31	27.2
r	0.18	-0.02	-0.18	0.02	-0.12	-0.36	0.03	0.19	0.17	0.03	0.40	0.17	-0.24
2σ(τ)	0.38	0.38	0.38	0.38	0.38	0.34	0.38	0.38	0.38	0.38	0.32	0.38	0.36
2σ(τ)	0.40 (n=28)												

ცხრილი 2

მდინარე ვერეს მაქსიმალური ხარჯების მახასიათებლები 1991-2014 წ.წ.

	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	I	II	წელი
Q _{მაქს.}	28.7	81.9	153	133	48.5	16.3	18.0	8.45	11.8	1.90	3.34	8.55	153
\bar{Q} მაქს.	4.8	11.7	22.7	26.9	9.67	4.62	2.35	2.66	2.08	1.11	1.07	1.45	7.59
K _{აქტვ.}	3.78	10.8	20.2	17.5	6.39	2.15	2.37	1.11	1.55	0.25	0.44	1.13	20.2
r	0.13	-0.20	0.33	-0.07	0.38	0.12	0.00	0.18	0.13	-0.08	0.23	0.23	0.14
2σ(τ)	0.46	0.44	0.40	0.46	0.40	0.46	0.46	0.44	0.46	0.46	0.44	0.44	0.46
2σ(τ)	0.48 (n=20)												

ცხრილი 3


მდინარე ვერეს მაქსიმალური ხარჯების მახასიათებლები 1963-2014 წ.წ.

	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	I	II	წელი
Q _{მაქს.}	28.7	81.9	153	133	109	140	18.0	17.1	11.8	2.62	3.34	11.9	153
\bar{Q} მაქს.	4.38	9.70	17.5	16.6	9.15	6.84	2.21	2.65	1.81	0.98	0.84	1.42	6.17
K _{აქტვ.}	4.65	13.3	24.8	21.6	17.7	22.7	2.92	2.77	1.91	0.42	0.54	1.93	24.8
r	0.13	0.07	0.17	0.26	0.01	-0.23	0.04	0.10	0.17	0.19	0.43	0.11	0.15
2σ(τ)	0.28	0.30	0.28	0.28	0.30	0.28	0.30	0.28	0.28	0.28	0.24	0.28	0.28
2σ(τ)	0.30 (n=48)												

წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების შესაფასებლად მეტად მნიშვნელოვანია წყალმოვარდნული აქტივობის კოეფიციენტი K_{აქტ.}, იგი მაქსიმალური წყლის ხარჯისა და საშუალო წლიური ხარჯის თანაფარდობაა [2], აღნიშნული კოეფიციენტის საშუალებით შესაძლებელი ხდება შევადაროთ სხვადასხვა ჰიდროლოგიური რეჟიმის მქონე მდინარეთა ცალკეული თვეების მახასიათებლები.

ტრენდის ნიშნადობა შეიძლება შეფასდეს შემთხვევით სიდიდესა და მის რიგით ნომერს შორის კორელაციის კოეფიციენტით r. თუ გათვლების შედეგად აღმოჩნდება, რომ კორელაციის კოეფიციენტი და რანგობრივი კრიტერიუმები მეტია 2σ_τ-ზე, სადაც $\sigma_{\tau} = \frac{1-r^2}{\sqrt{n-1}}$ ან $\frac{\sqrt{n}}{n-1}$, მაშინ ტრენდი ჩაითვლება სარწმუნოდ [3].

მდინარე ვერხე ტალკეული თევზისა და წლის მაქსიმალური ხარჯების ცვალებადობის დინამიკის (ტრენდის) შეფასება



ნახაზებზე საილუსტრაციოდ მოყვანილია IV, V, VI, VII, VIII თევზისა და წლის მაქსიმალური ხარჯების ცვალებადობის გრაფიკები

დასკვნა

როგორც გათვლებმა გვიჩვენა, ტრენდი რეზულტატებში, დანარჩენ შემთხვევაში ცვალებადობის პრაქტიკულად არ ფიქსირდება, ფიქსირდება ბას შემთხვევითი ხასიათი აქვს. მხოლოდ 1990-2014 წლების V თვესა და წლიურ-

ლიტერატურა

1. დ. კერესელიძე, მაღავერდაშვილი, თ. ცინცაძე, ვ.ტრაპაძე, გ. ბრეგვაძე „რა მოხდა 2015 წლის 13 ივნისს მდინარე ვერხეს წყალშემკრებ აუზში“. თბილისი, 2015;
2. გ. ხმაღაძე „საქართველოს წყლის რესურსები“. თბილისი, 2009;
3. The international manual on methods of calculation of the basic hydrological characteristics, Edition of Hydrometeorology, Leningrad, 1984.

**თბილისის დაცვა მოსალოდნელი ბუნებრივი სტიქიებისაგან
მდინარე ვერუს მახალითზე**

**რობერტ დიაკონიძე¹⁾, ჯუმბერ ფანჭულიძე¹⁾, ზემფირა ჭარბაძე¹⁾, ზურაბ ლაოშვილი²⁾,
ბელა დიაკონიძე¹⁾, სერგო კვიციანიძე²⁾
E-mail: robertdia@mail.ru**

- ¹⁾ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0179, თბილისი, საქართველო
- ²⁾ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, თბილისი, საქართველო

შუსაგალი

დასახლებული პუნქტების ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვას სხვადასხვა სახის ბუნებრივი სტიქიებისაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 21-ე საუკუნეში, რაც პლანეტის კლიმატურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული. ბუნებრივი სტიქიებისაგან ყველაზე მეტად აღსანიშნავია წყალდიდობები, წყალმოვარდნები და ღვარ-

ცოფები. ზემოაღნიშნული მოვლენებისაგან არც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი თბილისია გამონაკლისი, რომელიც რთული, მთლიანი რელიეფით გამოირჩევა და სადაც მრავალი მდინარე და წყალსადინარე (ხევი) გაედინება. მათი რიცხვი ქალაქის მასშტაბით დაახლოებით 32-ს შეადგენს. ზოგიერთი მათგანი ღვარცოფული ხასიათისაა.

პირითაღი ნაწილი

თბილისის არსებობის მანძილზე ქალაქის ტერიტორიაზე ჩამდინარე მდინარეებსა და წყალსადინარეებზე მრავალჯერ მომხდარა ძლიერი წყალდიდობები, წყალმოვარდნები და ღვარცოფები, რომლებიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს აყენებდა და დღესაც აყენებს ჩვენს დედაქალაქს. იყო ადამიანთა მსხვერპლი. ამ თავლსაზრისით აღსანიშნავია 2012 წელს ორთაჭალაში ფორმირებული ღვარცოფული ნაკადი, რომელმაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მიაყენა ქვეყანას მდ. გლდანულას წყალდიდობამ, რომელმაც თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის ხიდს საყრდენი ბურჯი გამოაცალა და ხიდის გარკვეული ნაწილი მწყობრიდან გამოიყვანა და სხვ.

დედაქალაქში ჩამდინარე მდინარეებიდან გამოირჩევა მდ. ვერე, რომელზეც მრავალჯერ მომხდარა წყლის კატასტროფული ხარჯის ფორმირება, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა თბილისის ინფრასტრუქტურას (1925, 1940, 1961, 1972, 1980, 1999, 2012 და 2015 წლის სტიქიები). თავისი მასშტაბით განსაკუთრებულად ტრაგიკული იყო 2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობა, რომლის დროსაც დაიღუპა 21 ადამიანი.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ, შეგვეფასებინა მდინარე ვერეზე მომხდარი სტიქია, მისი გამომწვევი მიზეზები და ამის მაგალითზე წარმოგვედგინა შესაბამისი რეკომენდაციები ქ. თბილისის ბუნებრივი სტიქიებისაგან (წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარ-

ცოფი) დასაცავად. გარდა ამისა, გარკვეულწილად შეგვეფასებინა ამიერკავკასიაში დღესდღეობით აღიარებული და აპრობირებული წყლის მაქსიმალური ხარჯის საანგარიშო მეთოდის შეუსწავლელი მდინარეებისათვის [1].


ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად საჭირო გახდა მდ. ვერეს ჰიდროლოგიური რეჟიმის სრულფასოვანი (დეტალური) შესწავლა, რათა წყლის მაქსიმალური ხარჯის დასადგენად დაგვეანგარიშებინა მრავალი ჰიდროლოგიური, მორფოლოგიური და მორფომეტრიული მახასიათებელი. Arc CIS 10.2.2-ის სპეციალური პროგრამის საშუალებით შედგენილ იქნა რუკა (ნახ.1) და როგორც მდინარე ვერეს, ისე მისი ძირითადი შენაკადებისათვის, დადგინდა ყველა იმ მახასიათებლის სიდიდე (ცხრ.1), რომელთა საშუალებითა და ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენებით, ვიანგარიშებდით მოსალოდნელი პროგნოზული წყლის მაქსიმალური ხარჯის სიდიდეებს, რაც ასე აუცილებელია თბილისის დასაცავად და, აგრეთვე, სხვადასხვა ინფრასტრუქტურის ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის (ზემოაღნიშნულ მეთოდისაში შემოთავაზებულ ფორმულაში ნიადაგობრივი კოეფიციენტი საკვლევი აუზისათვის ერთი და იგივეა და $\pi=1,2$).

მდ. ვერეს სათავეს იღებს თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, სოფელ ნოსართან ახლოს, ზღვის დონიდან 1670 მ-ზე და უერთდება მდ. მტკვარს მარჯვენა ნაპირთან, ჩელიუსკინელების ხიდიდან 0,5 კმ-ში, ზღვის დონიდან 394 მ-ზე. წყალშემკრები აუზის საშუალო სიმაღლე 1070 მ-ია; მდ. ვერეს წყალშემკრები აუზის ფართობი 197 კმ²-ს უდრის; მდინარის სიგრძე 40,1 კმ-ია. მისი ზოგიერთი შენაკადის

სიგრძე 10 კმ-ს უტოლდება; ჰიდროლოგიური ქსელის სიგრძე (ის მდინარეები, რომლებიც ანგარიშის დროსაა მხედველობაში მიღებული) 117,2 კმ-ს შეადგენს, აუზის საშუალო სიგანე 6,16 კმ-ია, მაქსიმალური სიგანე კი - 10,5 კმ (მახასიათებლების გამოთვლისას მხედველობაში არ არის მიღებული ზოგიერთი მცირე სიდიდის წყალსადინარი, რომელთა ზემოქმედება მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე უმნიშვნელოა). ქართულ ჰიდროლოგიურ მეცნიერებაში აღიარებული შრომების [2,3] მიხედვით, წყლის მრავალწლიური საშუალო ხარჯი 0,97 მ³/წმ-ს, ხოლო 1%-იანი წყლის ხარჯი - 240 მ³/წმ-ს შეადგენს.

წყლის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშო მეთოდის სრულფასოვნების შესაფასებლად, მდინარე ვერეს, მისი მორფოლოგიური და მორფომეტრიული მონაცემებიდან გამომდინარე, ორ ნაწილად გავყავით და პირობითად ვუწოდეთ ვერეს I და ვერეს II; წყლის 1%-იანი მაქსიმალური ხარჯის ანგარიში განვახორციელეთ, აგრეთვე, მთლიანი აუზისა და ყველა მნიშვნელოვანი შენაკადებისათვის ცალ-ცალკე. ამის აუცილებლობა გვიკარნახა ემპირიულ ფორმულაში შემავალი ზოგიერთი მახასიათებლის, წყალშემკრები აუზის სხვადასხვა ადგილებისათვის ცვლილების შესაძლებლობამ და არამდგრადობამ. საბოლოოდ დავადგინეთ, რომ წყლის 1%-იანი უზრუნველყოფის პროგნოზული ხარჯი მდინარე ვერესთვის უდრის 376 მ³/წმ-ს, ხოლო 0,1%-იანი - 520 მ³/წმ-ს. მდ. ვერეს I-ის წყლის 1%-იანი უზრუნველყოფის ხარჯი შეადგენს 146 მ³/წმ-ში, ხოლო ვერეს II-სთვის - 255 მ³/წმ-ს, ჯამში - 401 მ³/წმ; 0,1%-იანი ხარჯი, შესაბამისად, უდრის მდ. ვერეს I -სთვის - 349 მ³/წმ-ს, ხოლო მდ. ვერეს II - სთვის შეადგენს - 611 მ³/წმ-ს; ჯამში - 960 მ³/წმ.

რობერტ დიაკონიძე, ჯუმბერ ფანჭულიძე, ზემფირა ჭარბაძე,
ზურაბ ლაოშვილი, ბელა დიაკონიძე, სერგო კვიციანიძე



ნახ. 1. მდ. ვერეს ორობიდრობრაფიული რუკა

**თბილისის დაცვა მოსალოდნელი ბუნებრივი სტიქიებისაგან
მდინარე ვეჩხის მაგალითზე**

ცხრილი 1

#	სტრუქტურული ერთეული (დინარე)	აუზის ფართობი, F, კმ ²	აუზის მოხარბიერება, H, მ	აუზის მოხარბიერება, H, მ	აუზის სიგრძე, L, კმ	აუზის მახლობლობის რაიონი, B, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ	აუზის საშუალო სიგრძე, l, კმ
I	ვეჩხი I (ძირითადი მდინარე)	43,8	1382	12,2	13,7	7	3,59	39,0	0,084	0,061	17,08	1,238	0,928	146					
II	ვეჩხი II (ძირითადი მდინარე)	152,7	633	19,8	26,4	10,5	7,71	67,0	0,024	0,018	102,31	1,091	0,882	255					
1	დასავლეთი ნაპირის სექციები	23,6	1228,8	10,5	11,3	4	2,25	85,3	0,082	0,071	20,12	1,195	0,854	91,4					
2	სამხრეთი ნაპირის სექციები	7,6	1073,25	6,1	5,6	2	1,25	59,2	0,120	0,115	4,5	1,15	0,894	52,7					
3	სამხრეთი ნაპირის სექციები	6,1	1045,85	5,7	5,6	1,7	1,07	71,1	0,126	0,104	4,34	1,147	0,876	56,2					
4	სამხრეთი ნაპირის სექციები	5,6	1016,8	5,7	5,9	1,5	0,98	63,2	0,125	0,113	3,54	1,133	1,26	60,3					
5	სამხრეთი ნაპირის სექციები	3,7	962,65	4,7	4	1,1	0,79	65,4	0,144	0,110	2,42	1,098	0,884	41,1					
6	სამხრეთი ნაპირის სექციები	9,9	977,9	6,4	6,5	2,4	1,55	55,9	0,124	0,105	5,53	1,387	0,978	102					
7	სამხრეთი ნაპირის სექციები	5,3	971,4	6,3	6,5	1,4	0,84	44,7	0,131	0,121	2,37	1,167	0,918	54,6					
8	სამხრეთი ნაპირის სექციები	12,7	1178,5	2,9	6,1	9,0	1,48	68,8	0,212	0,088	8,74	2,27	0,879	137					
9	სამხრეთი ნაპირის სექციები	8,3	1124,45	3,2	3,6	3,1	2,59	74,9	0,195	0,089	6,22	1,049	0,87	51,0					
10	სამხრეთი ნაპირის სექციები	8,1	1134,6	4,3	3,9	2,5	1,88	75,1	0,182	0,158	6,08	1,082	0,870	0,941					
11	სამხრეთი ნაპირის სექციები	5,2	1042,35	3,3	2,6	2,5	1,58	79,6	0,231	0,247	4,14	1,146	0,863	53,8					
12	სამხრეთი ნაპირის სექციები	1,2	976,8	2,9	2,9	1	0,41	93,3	0,231	0,221	1,12	1,360	0,842	20,7					
13	სამხრეთი ნაპირის სექციები	5,9	1043,45	3,4	3,6	3	1,74	84,9	0,239	0,176	5,01	1,181	1,170	125					
14	სამხრეთი ნაპირის სექციები	1,6	843,4	2,9	2,2	1	0,55	70,0	0,161	0,159	1,12	1,205	0,877	23,0					
15	სამხრეთი ნაპირის სექციები	11,1	994,85	6,3	7	6	1,76	83,5	0,160	0,116	9,27	1,602	0,857	112					

მდ. ვერეს შენაკადების წყლის 1%-იანი უზრუნველყოფის ხარჯის პროგნოზული სიდიდეები წარმოდგენილია ცხრ. 1-ში, საიდანაც ირკვევა, რომ ცხრილში წარმოდგენილი შენაკადების 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის ხარჯის ჯამური სიდიდე შეადგენს 1036 მ³/წმ-ს. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი უწყების წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებულია, რომ მდ. ვერესე 2015 წლის 13 ივნისს ფორმირებული წყლის ხარჯის სიდიდე სოფ. ნაფეტვრებთან შეადგენდა 470 მ³/წმ-ში. რა თქმა უნდა, მასში არ შედიოდა მდ. ვერეს შენაკად ბაგების წყალზე ფორმირებული წყლის ხარჯი, რადგანაც ეს შენაკადი სოფ. ნაფეტვრების შემდეგ უერთდება მდ. ვერესს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მდ. ვერეს აუზის ზედა ნაწილში დიდი ოდენობის წყლის მაქსიმალური ხარჯის ფორმირება არ მომხდარა (რაც ჩვენ მიერ ჩატარებულმა სავსე კვლევებმა დაადასტურა), მაშინ სრულიად შესაძლებელია, რომ თუ მდ. ვერეს მთლიან ხეობაში მაღალი ინტენსივობის ნალექი მოვა და წყლის მაქსიმალური ხარჯები ერთდროულად წარმოიქმნება ყველა შენაკადზე, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენ მიერ მიღებული (ნაანგარიშები) წყლის მაქსიმალური ხარჯის ფორმირება მართლაც მოხდეს (ცხრ. 1). თუმ-

ცა, ამავდროულად, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული წყლის ჩამონადენის გარბენის დრო წყალშემკრები აუზის სიგრძის მიხედვით და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გვირაბები გათვლილი უნდა ყოფილიყო 960 მ³/წმ-ზე, რაც თეორიული ანგარიშის მიხედვით 0,1%-იან უზრუნველყოფას შეესაბამება.

საკვლე და თეორიულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ 2015 წლის 13 ივნისის სტიქია გამოიწვია მდ. ვერეს აუზში მოსულმა მაღალი ინტენსივობის ნალექმა (ჩვენთვის მისი რაოდენობრივი სიდიდე, იმის გამო, რომ აუზში არ არსებობს ნალექებზე მონიტორინგი, უცნობია), რასაც მოჰყვა სენსიტიურად მაღალი რისკის მეწყრული კერების გააქტიურება (სულ დაფიქსირდა 60-მდე მეწყერი) და საბოლოოდ დვარცოფული ნაკადის ფორმირების წყაროდ იქცა. შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ ნალექები არათანაბრად იყო განაწილებული აუზის მთელ ტერიტორიაზე. უხვი ნალექის შედეგად, რასაც თან დაერთო მეწყრული მოვლენები, ზედაპირულმა ჩამონადენმა მდინარე ვერეს კალაპოტში ჩაიტანა დიდი რაოდენობის ხე-ტყე, რაც დამატებით დაბრკოლებად იქცა კალაპოტში ადიდებული წყლის გასატარებლად.

დასკვნა

- წყლის მაქსიმალური ხარჯის საანგარიშოდ გამოყენებული იქნა ამიერკავკასიაში აღიარებული და აპრობირებული მეთოდოლოგია [1];
- ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით [1] განხორციელებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ, თუ მდ. ვერეს წყალშემკრები აუზში მაღალი ინტენსივობის ნალექი აუზის მთელ ტერიტორიაზე ერთდროულად ფორმირდება და ყველა შენაკადზე დაფიქსირებული იქნება წყლის მაქსიმალური ჩამონადენი, მაშინ, ამ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება 1036 მ³/წმ სიდიდის 1%-იანი უზრუნველყოფის ხარჯის ფორმირება.
- დადგინდა, რომ გვირაბები ვერ უზრუნველყოფდნენ მდ. ვერესე ფორმირებული წყლის ხარჯის გატარებას, რადგან ისინი გათვლილია უფრო მცირე ხარჯებზე. ჩვენი აზრით, გვირაბების წყალგამტარიანობა გათვლილი უნდა იყოს 960 მ³/წმ წყლის ხარჯზე, რაც 0,1%-იანი უზრუნველყოფას შეესაბამება.

- ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია მსგავსი შესაბამისი სამუშაოები (გამოთვლები) ჩატარდეს თბილისში ჩამდინარე ყველა მდინარესა და წყალსადინარზე, განსაკუთრებით, სენსიტიური სახის მდინარეებზე.
- მდინარე ვერუს ხეობაში ფორმირებული ნატანშეტივარებული და ნატანდატვირთული ნაკადების (ასევე, თბილისში ჩამდინარე მსგავსი ხეობების) რეგულირებისათვის ოპტიმალურ ღონისძიებად მიგვაჩნია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (ყოფილი საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი) შემუშავებული და დანერგილი ელასტიური ბადეები,

რომლებიც შემდგომში შეეცადილი ფირმა Geobruug-ის მიერ იქნა ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული - თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და წარმოდგენილი მსოფლიო ბაზარზე.

- ჩვენ მიერ გამოყენებული წყლის მაქსიმალური ხარჯების პროგნოზული სიდიდეების საანგარიშო მეთოდის [1] დღეისათვის ერთადერთია, რომელიც საშუალებას იძლევა მისაღები სიზუსტით დადგინდეს წყლის მაქსიმალური ხარჯი, თუმცა ჩვენი აზრით, სასურველია აღნიშნული მეთოდის დახვეწა ან გაუმჯობესებული თანამედროვე მეთოდის დამუშავება წყლის მაქსიმალური ხარჯის პროგნოზული სიდიდეების დასადგენად.

ლიტერატურა

1. Ростомов Г.Д. Технические указания по расчету максимального стока рек в условиях Кавказа. Тбилиси, УГКС, 1980, 71 с.
2. Г. Г. Сванидзе, В.П. Гагуა, Э. В. Сухишвили. Вазобновляемые энергоресурсы Грузии. Ленинград, Гидрометеиздат, 1987, 173 с.
3. Ресурсы поверхностных вод СССР. Закавказье и Дагестан, выпуск 1, том 9, Ленинград, Гидрометеиздат, 1974. 577 с.

ЗЕЛЕНОЕ ПОКРЫТИЕ КАК ЭКОЛОГИЧЕСКИ ЧИСТАЯ И ЭНЕРГОЭФФЕКТИВНАЯ ТЕХНОЛОГИЯ В СТРОИТЕЛЬСТВЕ

Езугбая З.А.¹⁾, Иремашвили И.Р.^{1,2)}

E-mail: zezugbaia@mail.ru

¹⁾ Грузинский Технический Университет,
ул. М. Костава, 77, 0175, г. Тбилиси, Грузия

²⁾ Институт Водного Хозяйства им. Ц. Мирцхулава Грузинского Технического Университета,
пр. И. Чавчавадзе, 60, 0179, Тбилиси, Грузия

ВВЕДЕНИЕ

Экологическое строительство во всем мире становится все более популярным и востребованным. За последнее время значительно выросло применение природных материалов и альтернативных источников энергии.

Многие специалисты-профессионалы оп-

тимистически смотрят на тенденцию возведения и функциональность зеленых крыш и покрытий, и, в своих исследованиях и высказываниях, часто отмечают перспективность использования таких технологий.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Известный эксперт в области строительства Джозеф Лстивурек (Соммервилл, штат Массачусетс, США) в своих работах отмечает, что людям нравятся зеленые покрытия (крыши), так как, благодаря покрову из почвы и травы можно получить экологически чистые, энергоэффективные, эстетически высокого качества покрытия, а также покрытия удерживающие и контролирующее сточные дождевые воды на здания. Людям нравятся зеленые крыши и потому, что они выглядят красиво, а иногда даже

представляют собой нечто необыкновенное. Большинство обычных крыш загромождают разнообразным техническим оборудованием и строительным мусором; поэтому можно себе представить, какие чувства возникают у людей, когда они обзревают из окон высотного здания городской ландшафт с уродливыми крышами. Зеленая крыша украсит здание и позволит эффективно использовать доступное пространство, а люди смогут наслаждаться видами зеленых покрытий (фото 1,2).



Фото 1-2. Зеленая крыша многоквартирных зданий – для каждой крыши свой подход, своя система и свои технологии

ЗЕЛЕНОЕ ПОКРЫТИЕ КАК ЭКОЛОГИЧЕСКИ ЧИСТАЯ И ЭНЕРГОЭФФЕКТИВНАЯ ТЕХНОЛОГИЯ В СТРОИТЕЛЬСТВЕ

Здания послужат долго, если их поддерживать в хорошем состоянии. Люди не заботятся о некрасивых вещах. Здания должны быть такими, чтобы там хотелось жить и работать. Поэтому красивые здания так важны, поэтому важна архитектура, позволяющая возводить безопас-

ные, прочные, комфортные, энергоэффективные и экологически чистые дома и сооружения. Именно поэтому на современном этапе во многих городах мира разрабатываются и внедряются различные проекты по устройству зеленых покрытий (фото 3).



Фото 3. Сад на крыше в Королевском музее в Онтарио (Канада)

Современную жизнь уже сейчас сложно представить без деревьев и кустарников; поэтому в городах и мегаполисах на помощь приходит озеленение крыш. Зеленая кровля характеризуется значительными преимуществами - глобальное улучшение климата, защита основания кровли от вредных воздействий, сложных климатических условий, защита от ультрафиолетовых лучей и т.д.

В проектировании зеленых кровель сложным является вопрос - как сделать зеленую крышу? Подчас это сложный и трудоёмкий процесс, но в конечном счете результат того стоит.

В окрестностях Чикаго существует невероятная крыша (фото 4), которая для мрачной части города является как оазис в песчанной пустыне.



Фото 4. Зеленая крыша в окрестностях Чикаго

Травяные крыши в Норвегии (фото.5) используются уже на протяжении многих столетий. Зеленые крыши в этой суровой северной стране -

традиция, доставшаяся им от предков. С давних времен кровля крыш у народов Скандинавии делалась из торфа, дерна, коры березы и других

природных, экологически чистых материалов. сохранить до наших дней зеленые крыши на Норвежцы по достоинству оценили и сумели своих домах.



Фото 5. Норвежские дома с зелеными крышами

Аналогично в Грузии, в горных регионах Кавказа, широко использовались зеленые покрытия (в основном из дерна) для защиты различного рода сооружений от суровых зимних минусовых температур, а также - для защиты, в летнее время, от воздействия солнечных лучей.

Оригинален Бруклинский ботанический

сад (фото 6), который является важным архитектурным фрагментом Вашингтон Авеню, гармонично соединяя город и ботанический сад, площадь которого составляет 21 гектар. Его плавно изгибающаяся зеленая крыша, как бы переходит в ландшафт самого парка, чем достигается значительный эффект.



Фото 6. Бруклинский ботанический сад

При проектировании зеленых покрытий серьезным вопросом является подбор зеленых насаждений, которые отвечали бы местным климатическим условиям.

Для травянистых и почвопокровных растений для сада на крыше можно использовать любые травянистые растения, произрастающие в

данной климатической зоне.

Из деревьев и кустарников для сада на крыше можно использовать такие растения, которые имеют горизонтальную корневую систему. Для местных условий Грузии можно рекомендовать такие растения, как: айва низкая, барбарис, береза низкая, ель обыкновенная, кедро-

**ЗЕЛЕНОЕ ПОКРЫТИЕ КАК ЭКОЛОГИЧЕСКИ ЧИСТАЯ И ЭНЕРГОЭФФЕКТИВНАЯ
ТЕХНОЛОГИЯ В СТРОИТЕЛЬСТВЕ**

вый стланник, кизильник, можжевельник горизонтальный, можжевельник кавказский, смородина золотистая, туя западная, яблоня сибирская, кавказские карликовые хвойные деревья и др.

Подбор растений для зеленых крыш желательно производить после тщательного изучения свойств корневых систем насаждений и

климатических условий данной местности, состава почвы, и решить при необходимости, вопрос об орошении.

До появления технологии устройства «зеленой кровли» наиболее эффективным покрытием являлось проектирование защищенной мембранной крыши (рис.1).




Рис.1. Проектирование защищенной мембранной крыши:

- 1 – 38-миллиметровая облицовка бетонной плиты; 2 – 12-миллиметровый слой песка;**
- 3 – 100-миллиметровый слой гидрофобной золь; 4 – водостойкая мембрана из асфальта и волокна; 5 – наклонная заливная крыша;**
- 6 – поверхностный слив; 7 – поверхностный слой бетонной плиты; 8 – слой песка; 9 – гидрофобная зольная пыль; 10 – смесь песка и зольной пыли; 11 – мембрана из асфальта и волокна; 12 – фильтр из гравия**

Технологии с насыпным слоем из грунта и травы разработаны еще 50-60 лет тому назад и известны как PMR (protected membrane roof) –

защищенная мембранная крыша и IRMA (inverted roof membrane assembly) – обратная конструкция мембраны крыши (рис.2).




Рис.2. Технология устройства защищенной мембранной крыши и обратной конструкции мембраны кровли:

- 1 – насыпной слой (камень, щебень, грунт); 2 – фильтровальная ткань; 3 – изоляция из штампованного пенопласта (экструдированный пенополистирол (XPS)); 4 – бетонный верхний слой с уклоном (наклон не менее 2 % в направлении сливов); 5 – несущая конструкция крыши;**
- 6 – дренажный зазор (дренажный мат или изоляция с прорезями); 7 – мембранный слой**

В данной технологии дренаж необходим для предотвращения переувлажнения находящегося над ним слоя теплоизоляции, а также, он является слоем пароизоляции. Важнейшее свойс-

тво защищенной мембранной крыши основано на том, что мембрана защищает от таких факторов, как тепло, холод, ультрафиолетовое излучение и внешние механические повреждения. Пол-

ностью прилегающий мембранный слой служит для хорошей изоляции кровли. В таком случае она никогда не подвергается воздействию прямых солнечных лучей и разрушению при резком перепаде температуры на протяжении всего срока службы, такая мембрана прослужит очень

долго. Таким образом, защищенная мембранная крыша прекрасно подходит для зеленых покрытий. Достаточно добавить нижний барьер (рис.3), грунтовую растительную среду (почву) и растительность.




Рис.3. Вариант устройства слоев зеленой кровли с использованием технологии устройства защищенной мембранной крыши:

- 1 – бетонный бордюр или плита; 2 – растительная среда; 3 – наклонный бетонный верхний слой; 4 – бетонная конструкция крыши; 5 – гравий; 6 – дренажный зазор; 7 – фильтровальная ткань; 8 – нижний барьер; 9 – водоудерживающий слой (вентиляционный и дренажный слой); 10 – изоляция; 11 – мембрана крыши (слой гидроизоляции/дренажная плоскость); 12 – дренажный зазор

Необходимо учесть, что дренаж нужно предусмотреть сверху и снизу изоляционного слоя.

ЗАКЛЮЧЕНИЕ

Устройство зеленых покрытий кровли является перспективнейшим направлением в современной архитектуре и в технологии строительства. Опираясь на опыт ведущих стран в мире США, Канады, Германии, Норвегии, Китая и т.д. можно сделать выводы, что устройство зеленой кровли даст возможность получить эстетические, экологически чистые, энергоэффекти-

вные покрытия. Эти покрытия защищают здания и сооружения от солнечной радиации и атмосферных явлений, контролируют сточные дождевые воды и, учитывая благоприятные климатические условия Грузии можно рекомендовать строителям смело использовать новейшие технологии по устройству зеленых покрытий.

Л и т е р а т у р а

1. T. Jordania, z. ezugbaia, r. RvinefaZe. saxuravebi. burulis mowyobis teqnoologia, Tbilisi, 2009, 304 gv.
2. P100 Facilities Standards for Public Buildings Service/GSA. Nov, 2010.
3. Toronto Green Roof Construction Standard.
4. Lstiburek W.I., Seeing Red Over Green Roofs// ASHRAE, 2011.

**წყალსარგებლობის ეფექტურობის გაზრდის მეთოდები
საქართველოს სარწყავ მიწათმოქმედებაში**

**მარტინ ვართანოვი, ერეკლე კეჩხოველი, ლენა კეკელიძე, ფერიდე ლორთქიფანიძე
E-mail: v.martin.hm@mail.com**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0179, თბილისი, საქართველო

შესავალი

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების უმთავრეს პირობას საქართველოში წარმოადგენს მელიორაცია, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტური მორწყვა, მაგრამ როგორც არსებული წყალმოსმარების სისტემის გამოკვლევამ აჩვენა, სარწყავი წყლის გამოყენება ხასიათდება დაბალი ეფექტურობით. მისი დიდი ნა-

წილი, ტრანზიტულად გაივლის რა სარწყავ არხებს, ჩაედინება საკოლექტორო ქსელსა და წყალმიმღებებში. ეს წარმოშობს სარწყავი წყლის ხარჯვითი გამოყენების მაგნიტენდენციის შეცვლის, წყალსარგებლობის რაციონალიზაციის მეთოდების შემუშავების აუცილებლობას.

პირითაღი ნაწილი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მონაცემებით არსებული სარწყავი სისტემების მოქმედების ზონაში მოქცეულია სულ 312,0 ათ. ჰა სავარგულები, აქედან, წყლის თვითღინებით მიწოდებით საერთო ფართი შეადგენს 253,6 ათ. ჰა-ს, მექანიკური აწევით - 58,4 ათ. ჰა-ს. აღსანიშნავია, რომ 2013-2015 წლებში წყალუზრუნველყოფილი ფართობები¹ გაიზარდა 30,0 ათ. ჰა-ით (51%-ით) და შეადგინა 88,66 ათ. ჰა, რომელთაგან, ფაქ-

ტობრივად, მორწყულია მხოლოდ 42,35 ათ. ჰა. 1-3 ცხრილებში მოცემულია არსებული სარწყავი ფართობების, წყალუზრუნველყოფილი ფართობებისა და, ფაქტობრივად, მორწყული ფართობების განაწილება რეგიონების მიხედვით.

¹ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომლებზეც არსებული საირიგაციო სისტემის მდგომარეობა იძლევა რწყვის ჩატარების საშუალებას.

ცხრილი 1

საქართველოს რეგიონებში სამელიორაციო სისტემების მომსახურების არეალში არსებული სარწყავი ფართობები (ჰა)

№ რიგ ზე	რეგიონის დასახელება	მომსახურების არეალში არსებული სარწყავი ფართობი (ჰა)		
		თვითღინებითი	მექანიკური	სულ
1	2	3	4	5
1	ქვემო ქართლი	75 747	4 550	80 297
2	შიდა ქართლი	50 140	23 793	73 933
3	მცხეთა-მთიანეთი	11 702	3 910	15 612
4	კახეთი	75 660	22 517	98 167
5	სამცხე-ჯავახეთი	7 922	3 647	11 569
6	იმერეთი	32 429		32 429
სულ ირიგაციაში		253 600	58 417	312 007

ცხრილი 2

საქართველოს რეგიონებში სამედიკალინური სისტემების მომსახურების არეალში არსებული წყალუზრუნველყოფილი ფართობები (ჰა)

№ რიგზე	რეგიონის დასახელება	წყალუზრუნველყოფილი ფართობი (ჰა)		
		2013 წელს	2014 წელს	2015 წელს
1	2	3	4	5
1	ქვემო ქართლი	26 734	28 579	38 110
2	შიდა ქართლი	12 273	13 873	17 502
3	მცხეთა-მთიანეთი	3 525	3 525	5 601
4	კახეთი	12 721	13 271	18 272
5	სამცხე-ჯავახეთი	150	150	2 930
6	იმერეთი	3 207	5 707	6 246
	სულ ირიგაციაში	58 610	65 105	88 661

ცხრილი 3

საქართველოს რეგიონებში სამედიკალინური სისტემების მომსახურების არეალში ფაქტობრივად მორწყული ფართობები (ჰა)

№ რიგზე	რეგიონის დასახელება	მორწყული ფიზიკური ფართობი (ჰა)					
		2013 წელს	აქედან		2014 წელს	აქედან	
			მექანიკური წესით	წყალსაცავებიდან		მექანიკური წესით	წყალსაცავებიდან
1	2	3	4	5	6	7	8
1	ქვემო ქართლი	17 835	-	5 021	20 261	-	5 952
2	შიდა ქართლი	9 503	5 051	-	11 379	4 971	-
3	მცხეთა-მთიანეთი	5 015	-	2 998	8 078	-	4 038
4	კახეთი	5 015	-	2 998	8 078	-	4 038
5	სამცხე-ჯავახეთი	127	-	-	137	-	-
6	იმერეთი	480	-	-	992	-	-
	სულ ირიგაციაში	34 250	5 051	8 019	42 349	5 006	9 990

ცხრილში 4 მოცემულია ირიგაციისთვის ბუნებიდან წყლის აღებისა და სარწყავ ფართობებზე მიწოდებული მოცულობები მთლიანად საქართველოში და რეგიონების მიხედვით.

ცხრილი 4

წყალაღება და წყალმიწოდება (ათ. მ3) ირიგაციისათვის საქართველოს რეგიონებში — სამედიკალინური სისტემების მომსახურების არეალში

№ რიგზე	რეგიონის დასახელება	წყალაღება ირიგაციისათვის (ათ. მ3)		წყალმიწოდება ირიგაციისათვის (ათ. მ3)	
		2013 წელს	2014 წელს	2013 წელს	2014 წელს
1	2	3	4	5	6
1	ქვემო ქართლი	343 046,8	367 047,4	181 955,0	219 295,7
2	შიდა ქართლი	187 051,1	160 085,8	97 496,8	84 002,7
3	მცხეთა-მთიანეთი	22 559,0	22 175,6	12 413,5	12 679,8
4	კახეთი	122 178,6	133 200,9	58 324,8	63 759,1
5	სამცხე-ჯავახეთი	854,5	1 622,9	470,9	923,8
6	იმერეთი	2 999,8	6 117,3	1 691,5	3 391,8
	სულ ირიგაციაში	678 689,8	690 249,9	352 352,5	384 053,0

მე-3 და მე-4 ცხრილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სარწყავ სისტემებზე 2014 წელს წყალაღებას საშუალოდ შეადგინა 16,3 ათ. მ³ ფაქტობრივად მორწყულ 1 ჰა ფართობზე, ხოლო წყალმიწოდებამ - 9,07 ათ. მ³, რაც 7,5-ჯერ აღემატება სარწყავ ნორმას. აღილი აქვს სარწყავი წყლის - ძვირფასი, განუხლებელი ბუნებრივი რესურსის არაეფექტურ, უყარათო ხარჯვას. განსხვავება წყალაღებასა და წყალმიწოდებას შორის აშკარად მიუთითებს არსებული სარწყავი სისტემების რეაბილიტაციისა და ტექნიკური გადაიარაღების, როგორც წყლის დანაკარგების შემცირების საშუალების, აუცილებლობას.

მოხმარებული წყლის მოცულობა მიუთითებს არა იმდენად მორწყვის ნორმების გადაჭარბებაზე, რამდენადაც იმ ფაქტზე, რომ სავეგეტაციო პერიოდში (და არა მარტო ამ დროს) სარწყავ არხებში წყალი მიედინება მუდმივად, ყოველგვარი გრაფიკისა და აუცილებლობის გარეშე. შექმნილი მდგომარეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს 12-14 წლის წინ წყალმიწოდების მომსახურების ღირებულებაზე შემოღებული სისტემა, რომლის მიხედვით მომხმარებელი ანაზღაურებს არა მოხმარებული წყლის საფასურს, არამედ სავეგეტაციო პერიოდში საკუთარი სავარგულების მორწყვის შესაძლებლობის უფლებას. ამავე დროს, მნიშვნელობა არ ენიჭება მოხმარებული წყლისა და ფაქტობრივი რწყვების რაოდენობას - ტარიფი ერთიანია მთელი საქართველოსთვის.

აღნიშნული განაპირობებს ფასიან წყალმომხმარებაზე გადასვლის ობიექტურ აუცილებლობას, როდესაც გადასახადი დამოკიდებული იქნება მოხმარებული წყლის რაოდენობაზე, მის ხარისხსა და მიწოდების სტაბილურობაზე.

წყლის მოპოვება, მისი დაცვა და ირიგაციული სისტემების მშენებლობა მოითხოვს ფასების სისტემის დადგენას, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება დანაკარგების მინიმიზაცია და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.

ნებისმიერი ირიგაციული პროექტის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს მისი რენტაბელობის, ანუ ექსპლუატაციის პროცესში მისი ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება. ამავე დროს, პროექტის რენტაბელობის დონე მთლიანობაში არ უნდა იყოს ნაციონალური ეკონომიკის რენტაბელობის დონეზე დაბალი. მსხვილი ირიგაციული სისტემის რენტაბელობის შეფასებისას, გასანგარიშებელი ეკონომიკური ფაქტორების გარდა, აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების, მათ შორის, სოციალური ცვლილების, სამუშაო ძალის რეკონვერსიის, კეთილმოწყობის და ა.შ. გათვალისწინება.

სარწყავ წყალზე ტარიფი წარმოადგენს წყალზე გასაყიდი ფასების ნუსხასა და მისი გაყიდვის პირობებს. მელიორაციაში ტარიფების მიზანს უნდა წარმოადგენდეს არა მოგების მიღება, არამედ ისეთი პირობების განსაზღვრის შექმნა, რომლის დროსაც ირიგაციული სისტემა მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ყველა წყალმომხმარებელს. წყალზე ფასის დადგენა უნდა ასახავდეს:

- გაზომვის მეთოდს: წყლის ხარჯის (მ³/წმ), საერთო მოცულობის (მ³) ან ერთდროულად ორივე პარამეტრის მიხედვით;
- ხარჯების სიდიდეს წყლის გამოყოფის სხვადასხვა პუნქტებში;
- წყალაღების მოდულირებას, ანუ რომელ პერიოდში მოხდება წყლის მიწოდება - პიკის თუ ვარდნის;
- წყალმომხმარებლის გარანტირებული მომსახურების ხარისხსა და დონეს, რომელიც გულისხმობს: მიწოდებული წყლის ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობისა და მარილიანობის ხარისხის დადგენას, დანახარჯებისა და მოცულობის მიხედვით წყლით უზრუნველყოფის გარანტიას, წყლის გაუთვალისწინებელ მოხმარებას ხანძრის ან წყლის ავარიული გაშვებების დროს, გამშვებების რაოდენობასა და წყალმომხმარებლისათვის მათი განლაგების კეთილმოწყობას, წყა-

ლაღების ადგილებში წყლის მუშა დაწინების გარანტიას ავტომატურ რეჟიმში მომუშავე სტაციონარულ დასაწვიმ მანქანებზე ან წყლის აღება "მოთხოვნით";

- წყლის ხარჯებისა და ჭავლების ავტომატიზებულ ან ხელით მარეგულირებელ სისტემას;
- სატარიფო ბადე უნდა იყოს მარტივი, მოქმედი და რეალური.

წყალმომარების მიმართ მსოფლიოში ისტორიულად ჩამოყალიბდა სხვადასხვა იურიდიული და ეკონომიური მიდგომები, რაც აისახა გამოყენებული სატარიფო ბადეების შედგენის პრინციპებს შორის განსხვავებაშიც. ეს განპირობებულია როგორც ეკონომიკაში ფასების როლზე ერთიანი კონცეფციის, წყალმომარებასა და მისი განვითარების პერსპექტივებზე აუცილებელი სარწმუნო ინფორმაციის არარსებობით, ასევე სახელმწიფოსა და წყალმომარებლის მიდგომებს შორის განსხვავებით წყალზე ფასების დადგენის საკითხში. სარწმუნო წყლის საფასურის სატარიფო ბადეების შედგენის ყველა არსებული პრინციპი შეიძლება დაჯგუფდეს გამოყენებული ოთხი ძირითადი კონცეფციის მიხედვით.

სოციალ-პოლიტიკური კრიტერიუმების საფუძველზე დადგენილი ტარიფიკაცია. ამ ტარიფიკაციით საერთოდ არ არის გათვალისწინებული წყლის რეალური ღირებულება. წყალზე ფასი დგინდება ადმინისტრაციულად, მნიშვნელოვნად უფრო დაბალი, ვიდრე მისი თვითღირებულებაა. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს სურს ამა თუ იმ რაიონის ეკონომიკური განვითარების სტიმულირება: სახელმწიფო ყიდულობს ფერმებისაგან მოსავალს მათ მიერ დაწესებულ ფასებში, ხოლო ამგვარი დამოკიდებულების შედეგად შექმნილი სარწმუნო წყლის ღირებულების დეფიციტი იფარება სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის ან სავაჭრო ქსელში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადაყიდვით მიღებული მოგების ხარჯზე. ამ შემთხვევაში, ფერმერებმა წყალი შეიძლება უფასოდაც მოიხმარონ.

აღნიშნული კრიტერიუმით ტარიფიკა-

ციის სხვა მაგალითია ფიქსირებული ტარიფების დიფერენციაცია მოსარწმუნო მინდვრების ზომების მიხედვით.

ტარიფიკაცია "მოსავლიანობის" მიხედვით. ტარიფიკაციის ეს სახე წყალზე ადგენს განსხვავებულ გადასახადს მოსარწმუნო მიწებზე მოყვანილი კულტურების ტიპების მიხედვით და გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს სურს გარკვეული კულტურების დამუშავების სტიმულირება ან შეზღუდვა. ამ შემთხვევაში, დაბალმოსავლიან კულტურებზე წყლის დაბალი გადასახადია, ხოლო მაღალმოსავლიანი კულტურებისათვის წყლის გადასახადი შეიძლება მის ფაქტობრივ ღირებულებაზე უფრო მაღალი აღმოჩნდეს, რის შედეგადაც საერთო დეფიციტმა შეიძლება დაიკლოს ან მთლიანად ლიკვიდირებულიც აღმოჩნდეს.

ტარიფიკაცია წყლის საშუალო ღირებულების მიხედვით. ამ მეთოდის მიზანია ირიგაციული სისტემების ბიუჯეტის დაბალანსება ყოველწლიური დანახარჯებისა და წყლის გაყიდვით მიღებული შემოსავლების მიხედვით.

მთლიანი ღირებულება მოიცავს ფიქსირებულ და ცვლად დანახარჯებს. ირიგაციული სისტემებისათვის ფიქსირებული ხარჯები წარმოდგენილია მიღებული კრედიტის, მოწყობილობის შენახვისა და განახლების, საექსპლუატაციო ხარჯების ნაწილის და ზედნადები ხარჯების ჯამით. ცვლადი დანახარჯები კი წარმოდგენილია ექსპლუატაციური ხარჯების ნაწილით და ასევე ტუმბოებისათვის საჭირო ენერჯის ხარჯებით. ამ მთლიანი ღირებულების (C) გაყოფა მოწოდებული წყლის მთლიან მოცულობაზე (Q) გვაძლევს წყლის ერთეული მოცულობის (1 მ³) საშუალო ღირებულების სიდიდეს: $C_f = C/Q$. სისტემის შეზღუდული ზომების გათვალისწინებით წყლის ერთეული მოცულობის საშუალო ღირებულება დაბლა დაიწვეს მოწოდებული წყლის საერთო მოცულობის გაზრდისას და $C_f = f(Q)$ დამოკიდებულებას ექნება კლებადი ექსპონენციალური ხასიათი.

ტარიფიკაციის დროს წყლის საშუალო ღირებულების აღრიცხვის მრავალი ხერხი არსებობს: ერთწევრიანი ან მრავალწევრიანი ტარიფიკაცია, 1მ³ წყლის საშუალო ღირებულების მუდმივი, ზრდადი ან კლებადი ფასები. ზოგჯერ გაანგარიშების გასამარტივებლად წყლის საფასურს ანგარიშობენ არა წყლის მოცულობით, არამედ ჰექტრობით.

ტარიფიკაცია საშუალო ღირებულების მიხედვით, ზემოთ განხილულ ტიპებთან შედარებით, უფრო დასაბუთებელია, თუნდაც ფინანსური თვალსაზრისითაც, მაგრამ ისიც ვერ ითვალისწინებს მომავალში ირიგაციული სისტემების განვითარებასა და შესაძლო გაფართოებისადმი ადაპტაციას, რაც ძველი ირიგაციული სისტემების დამახასიათებელი ნაკლოვანებაა.

ექსპლუატაციის დროს ფიქსირებული დანახარჯების შეფასება. ფიქსირებული დანახარჯები არ არის დამოკიდებული "წარმოებული" წყლის რაოდენობაზე და შედგება საამორტიზაციო ანარიცხებისა და საექსპლუატაციო დანახარჯებისაგან.

საამორტიზაციო ანარიცხები. ასხვავებენ საამორტიზაციო ანარიცხებს კაპიტალზე, რომელიც უკავშირდება მიღებული სესხების ყოველწლიურ გაცემას (მომსახურებას) და საამორტიზაციო ანარიცხებს ნაგებობებსა და მოწყობილობაზე, დაკავშირებული მათ ფიზიკურ და მორალურ ცვეთასთან დროში.

ჰიდროტექნიკური ნაგებობის ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხების შეფასებისას საქმე გვაქვს მთელ რიგ გარემოებებთან, რომლებიც ამარტივებენ გაანგარიშებას:

- უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში არ მიიღება ნაგებობებისა და მოწყობილობების მორალური ცვეთა ელექტრონული და ელექტრო-მექანიკური მოწყობილობის გამოკლებით, რომლისთვისაც გათვალისწინებულია უფრო ხშირი განახლება;
- მოწყობილობა არ განიხილება როგორც ანაზღაურებადი, რადგან ითვლება რომ

მისი ხელმეორედ გაყიდვის ფასი პრაქტიკულად ნულის ტოლია;

- ანგარიშში არ მიიღება ფულის ინფლაციის ტენდენცია. ჩვეულებრივ, მიღებულია ნაგებობებისა და მოწყობილობების ანაზღაურების შემდეგი ვადები:

- დიდი ნაგებობებისთვის – 75-100 წელი;
- მიწისქვეშა მილსადენებისთვის – 40-50 წელი;
- ელექტრო-მექანიკური მოწყობილობებისთვის – 10 წელი.

საექსპლუატაციო ხარჯები. ეს ხარჯები მოიცავენ:

- მცირე ელექტრონული და ელექტრო-მექანიკური მოწყობილობების განახლებაზე გაწეულ ხარჯებს;
- მომსახურებასა და ნაგებობის კაპიტალურ რემონტზე გაწეულ ხარჯებს;
- მუდმივ საექსპლუატაციო ხარჯებს, ზედნადებ ხარჯებს, ექსპლუატაციის სამსახურის პერსონალის ხელფასსა და წყალმომხმარებლის ტექნიკური დახმარებისთვის გაწეულ ხარჯებს;
- სატუმბო სადგურისთვის საჭირო ელექტროენერჯის, გათბობის, განათების, ტრანსპორტის და სხვა ხარჯებს.

პრაქტიკაში მოწყობილობის მომსახურებისა და განახლებისათვის გაწეული ხარჯები, სხვადასხვა ნაგებობის ექსპლუატაციის ვადის შესაბამისად, ჩვეულებრივ, შეადგენს საწყისი კაპიტალდაბანდების განსაზღვრულ პროცენტს. საერთო წლიური ხარჯები საშუალოდ შეადგენს:

- ძირითადი ნაგებობებისათვის – საწყისი კაპიტალდაბანდების 1,7%-ს;
- გამანაწილებელი ქსელებისათვის – საწყისი კაპიტალდაბანდების 2,7%-ს.

პროპორციული ხარჯების შეფასება. ეს ხარჯები შეიცავს:

- წყლის ლოკალურ ღირებულებას, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ითვალისწინებდეს წყლის სხვა შესაძლო გამოყენების ღირებულებას, მაგალითად, ჰიდროენერჯის წარმოებისათვის;
- წყლის ამოტუმბვის ხარჯებს ელექტროე-

ნერგის დირეულების ჩათვლით. გაანგარიშება წარმოებს წყალზე მოთხოვნის პროგნოზის გათვალისწინებით როგორც ჩვეულებრივი, ისე პიკის პერიოდებში, წყალმომხმარებლებს შორის ყოველთვიური განაწილებით; სატუმბო სადგურების ტექნიკური მახასიათებლებისა და ელექტროენერჯიაზე ტარიფის გათვალისწინებით განისაზღვრება ერთი კუბური მეტრი წყლის ამოტუმბვაზე გაწეული საშუალო ხარჯები.

სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაცია თანამედროვე პირობებში. ტრადიციულად, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სასისტემო (რაიონული, რეგიონული) საექსპლუატაციო ორგანიზაცია პასუხისმგებელი იყო სამელიორაციო სისტემის სათავე ნაგებობასა და უფროსი რიგის გამანაწილებელ არხებზე, რომელთა მომსახურების ზონაში შედიოდა ერთი ან რამდენიმე მეურნეობა. უკანასკნელი რიგის მუდმივი გამანაწილებლები და დროებითი ქსელი, რაც ცნობილი იყო შიდასამეურნეო ქსელის სახელით, იმყოფებოდა მეურნეობის ბაღანსზე და მისი მოვლა-პატრონობა მეურნეობის ფუნქციებში შედიოდა. XX საუკუნის მიწურულს, მეურნეობების დაშლასა და ფართობების მცირე ზომის კერძო ნაკვეთებად განაწილებასთან ერთად აღნიშნულმა დაყოფამ დაკარგა აზრი და საექსპლუატაციო ორგანიზაციები, ხშირ შემთხვევაში, იძულებული ხდებიან მოსახლეობის მოთხოვნით ყოველწლიურად მოაწიონ დროებითი ქსელის უფროსი რიგის არხები. მეურნეები უზრუნველყოფენ მხოლოდ მათი ნაკვეთების მოსარწყავად კვლების მოწყობას. ამის შედეგად, საექსპლუატაციო ორგანიზაციებს დაემატა საკმაოდ შრომატევადი სპეციფიკური სამუშაო, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სარწყავი სისტემების მოვლა-შენახვის ხარჯები.

გარდა ამისა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, მცირეფართობიანი ნაკვეთების პირობებში უგულებელყოფილია რწყვის რიგითობა და სარწყავი წყლის განაწილება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, რაც არსებულ საირიგაციო სისტემებზე იწვევს

წყლის ხელოვნურ დეფიციტს რწყვის საწყის პერიოდში.

ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება – ფერმერების ნებაყოფილობითი გაერთიანების (პირობით ამხანაგობების) ჩამოყალიბება, მით უფრო, რომ ასეთი გამოცდილება უკვე არსებობს. 2000–იანი წლების დასაწყისში საქართველოში მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაიწყო ამგვარი გაერთიანებების ჩამოყალიბება.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მართვაში აქტიური მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი მართვის სტრუქტურები, რომლებიც განახორციელებენ წყლის მართვას და მოახდენენ შრომითი და მატერიალური რესურსების მობილიზებას ამხანაგობის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ქსელის ექსპლუატაციისთვის. ამხანაგობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მისი მომსახურების ტერიტორიაზე სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია და ამხანაგობის წევრებისა და სხვა მომხმარებელთათვის გაუმჯობესებული საირიგაციო-სადრენაჟო მომსახურების განხორციელება.

ამხანაგობები უნდა შეიქმნას ტერიტორიული პრინციპით, ე.ი. ძირითადად, იგი უნდა აერთიანებდეს ერთი სოფლის ფერმერებს იმ შემთხვევაშიც, თუ სოფელს ემსახურება ერთი საექსპლუატაციო ორგანიზაციის რამდენიმე დამოუკიდებელი არხი. ვინაიდან, ნავარაუდევია ამხანაგობის, როგორც დამოუკიდებელი არასახელმწიფო მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბება, სასურველია იგი აერთიანებდეს ფერმერთა მნიშვნელოვან რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს ამხანაგობის ფინანსურ სიძლიერეს. ამხანაგობის ინტერესებს სოფლისა და რაიონის ხელმძღვანელობაში წარმოადგენს თავმჯდომარე. თავმჯდომარედ არჩეული უნდა იყოს ავტორიტეტული პირი, ე.წ. არაფორმალური ლიდერი, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გამოიწვევს ეჭვს მოსახლეობაში და მისაღები იქნება ამხანაგობის ყველა (უმეტესი) წევრისათვის.

ამხანაგობა თავისი მომსახურების ტერიტორიის ფარგლებში ექსპლუატაციას გაუწევს სამელიორაციო ქსელსა და მასზე არსებულ ნაგებობებს. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს საირიგაციო/სადრენაჟო შიდასამეურნეო ქსელის არხებისა და კოლექტორების, მარტივი ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ცალკე მდგარი ტუმბო-აგრეგატების, ჭებისა (ჭაბურღილების) და ლოკალური სისტემების მოწყობას, რემონტსა და

მოვლა-პატრონობას. ამხანაგობამ წყლის მიღებისათვის ხელშეკრულება უნდა გააფორმოს შპს „საქართველოს მელიორაციის“ შესაბამის სამმართველოსთან, რომელსაც იგი გადაუხდის წევრებისაგან აკრეფილ მოხმარებული წყლის საფასურს. ლოკალური სისტემების ან ჭების (ჭაბურღილების) გამოყენების შემთხვევაში ამხანაგობა ვალდებულია ფლობდეს ლიცენზიას სპეციალურ წყალსარგებლობაზე.

დასკვნა

1. საქართველოს სარწყავ სისტემებზე 2014 წელს წყალადებამ საშუალოდ შეადგინა 16,3 ათ. მ³, ფაქტობრივად, მორწყულ 1 ჰა ფართობზე, ხოლო წყალმიწოდებამ - 9,07 ათ. მ³, რაც 7,5-ჯერ აღემატება სარწყავ ნორმებს. ადგილი აქვს სარწყავი წყლის - ძვირფასი, განუახლებელი ბუნებრივი რესურსის არაეფექტურ, უყაირათო ხარჯვას.

2. განსხვავება წყალადებასა და წყალმიწოდებას შორის აშკარად მიუთითებს არსებული სარწყავი სისტემების რეაბილიტაციისა და ტექნიკური გადაიარაღების, როგორც წყლის დანაკარგების შემცირების საშუალების, აუცილებლობას.

3. შექმნილი მდგომარეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს წყალმიწოდების მომსახურებაზე არსებული სისტემა, რომლის მიხედვით მოხმარებული ანაზღაურებს არა მოხმარებული წყლის საფასურს, არამედ საევეტაციო პერიოდში საკუთარი სავარგულების მორწყვის შესაძლებლობის უფ-

ლებას. ამავე დროს, მნიშვნელობა არ ენიჭება მოხმარებული წყლისა და ფაქტობრივი რწყების რაოდენობას - ტარიფი ერთიანია მთელი საქართველოსთვის.

4. აღნიშნული განაპირობებს ფასიან წყალმოხმარებაზე გადასვლის ობიექტურ აუცილებლობას, როდესაც გადასახადი დამოკიდებული იქნება მოხმარებული წყლის რაოდენობაზე, მის ხარისხსა და მიწოდების სტაბილურობაზე.

5. სარწყავ ფართობებზე წყლის რაციონალური გამოყენებისა და დროებითი ქსელის ექსპლუატაციის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია წყალმოხმარებელთა გაერთიანებების შექმნა, რომლებიც განახორციელებენ წყლის მართვასა და მოახდენენ შრომითი და მატერიალური რესურსების მობილიზებას ამხანაგობის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ქსელის ექსპლუატაციისთვის.

ლიტერატურა

1. ვართანოვი მ. საქართველოს წყლის რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა - საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ - ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. II, 2009;
2. ვართანოვი მ. საირიგაციო წყალსაცავების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების საკითხისათვის - საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საერთაშო-

- რისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. I, 2009;
3. Вартанов М.В. Иорданишвили К. Т. Методы тарификации водных ресурсов, используемых в орошаемом земледелии. Известия аграрной науки, том 6, №4, 2008;
4. Вартанов М.В., Махарадзе Т. Д. К вопросу оптимизации тарифов на подачу оросительной воды. Вестник аграрной науки, т. II, 2008.

**АНАЛИЗ СТРУКТУРЫ ВЕРТИКАЛЬНОГО ГОДОВОГО СТОКА
В БАССЕЙНЕ РЕКИ ГЯНДЖАЧАЙ**

Иманов Ф.А., Алиева И.С., Гулиева А.А.
E-mail: farda_imanov@mail.ru

Бакинский государственный университет
AZ-1148, Азербайджан, Баку, улица З. Халилова, 23

ВВЕДЕНИЕ

Точность методов, используемых в гидрологических расчетах и прогнозах, сильно зависит от учета условий формирования рассматриваемой характеристики речного стока. Как известно, годовой сток формируется под воздействием большего количества физико-географических факторов бассейна. Поскольку гидрологическая

роль этих факторов разная, вертикальная структура годового стока, т.е. количественные показатели и соотношения поверхностного и подземного стока также различаются (Долгов, 2012). В этой статье в условиях изменений климата проанализирована вертикальная структура годового стока на примере рек бассейна Гянджачай.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Река Гянджачай является правым притоком реки Кура и ее исток находится на северном склоне Муровдагского хребта Малого Кавказа на высоте 2814 м. В настоящее время она впадает в Мингечаурское водохранилище. Длина реки составляет 99 км, площадь бассейна 752 км², средняя высота водосбора 1119 м. В горной части речного бассейна среднегодовое количество осадков составляет 850 мм, в средней зоне 700 мм, а в нижней зоне 500 мм (Рустамов и др., 1969).

В бассейне реки Гянджачай с древних времен развивается орошаемое земледелие. Данные наблюдений по речному стоку, использованные в данном исследовании, могут приниматься условно естественными, так как в расположенных выше рассматриваемых пунктов наблюдений воздействие антропогенных факторов очень слабое.

Среднемноголетний годовой расход воды р.Гянджачай составляет 4,14 м³/с. На весенне-летний период приходится 35-40% годового стока, а на осенне-зимний период 10-15%. В период интенсивного орошения величина речного стока составляет всего 15%. Эта река

относится к группе рек с весенним половодьем. Половодье, с марта по июль, продолжается 137-150 дней. Минимальные летне-осенние и зимние расходы воды наблюдаются соответственно в июле-августе и в январе-феврале. Годовой речной сток состоит на 37% из снеговых, на 14% дождевых и на 49% из подземных вод (Рустамов и др., 1969).

Для количественной оценки источников питания осуществляется генетическое расчленение гидрографа реки. Для этой цели используются различные методы (Соколов и Саркисян, 1981).

В общем, все методы, используемые для расчленения гидрографов носят субъективный характер и дают приблизительные результаты. Для увеличения точности расчетов необходимо учитывать наличие гидравлической связи между руслом и подземными водами. Для горных рек гидравлическая связь между руслом и подземными водами обычно слабая или вовсе отсутствует, т.е. грунтовые воды разгружаются в русло непосредственно, в виде родников. Режим речных вод практически не оказывает влияние на режим подземных вод. Но режимы подземного и по-

**АНАЛИЗ СТРУКТУРЫ ВЕРТИКАЛЬНОГО ГОДОВОГО СТОКА
В БАССЕЙНЕ РЕКИ ГЯНДЖАЧАЙ**

верхностного стока - схожие. Только максимум подземного стока немного запаздывает по отношению к максимуму поверхностного стока (Иманов, 2000).

Данные наблюдений и их анализ. Для анализа вертикальной структуры речного стока в бассейне р.Гянджачай, сперва были использованы данные наблюдений 10-ти гидрологических пунктов, действующих в разные годы. В настоящее время действуют только 4 пункта: Гян-

джачай-Алаханчаллы, Гянджачай-Гедамыш, Гянджачай-Зурнабад, Дастафюрчай- Каракуллар.

При изучении водного баланса реки гидрограф годового стока расчленяется и выделяются две слагающие: подземный и поверхностный сток. Для изучаемых рек средние многолетние значения этих данных взяты из монографии, подготовленной при непосредственном участии и под руководством С.Г.Рустамова (Рустамов и Кашкай, 1978) и приведены в табл.1.

Таблица 1

Составные части речного стока

№	Река-пункт	Q _{год}	Q _{пов.}	Q _{подз.}	Осадки, мм	Кэф. стока	Кпов.	Кподз.	F, км ²	H, м
1	Гянджачай-Алаханчаллы	1,47	0,72	0,75	642	0,51	0,49	0,51	94,4	2540
2	Гянджачай – выше вп. р.Зивланчай	1,53	0,70	0,83	720	0,81	0,46	0,54	112	2320
3	Гянджачай – Гедамыш	1,7	0,80	0,90	703	0,62	0,47	0,53	112	2320
4	Гянджачай – ниже вп. р.Зивланчай	2,12	0,98	1,14	692	0,7	0,46	0,54	160	2250
5	Гянджачай -Зурнабад	4,14	2,03	2,11	662	0,58	0,49	0,51	314	2090
6	Гянджачай –Ханлар (Гей-гель)	4,24	2,42	1,82	638	0,48	0,57	0,43	439	1880
7	Дастафюрчай - Каракуллар	0,53	0,25	0,28	687	0,91	0,48	0,52	27,9	2140
8	Дастафюрчай - Дастафюр	0,61	0,31	0,30	676	0,46	0,51	0,49	61,8	1180
9	Зивлянчай-Зивлян	0,82	0,42	0,40	730	0,73	0,51	0,49	36,6	2300
10	Зивлянчай - Гедамыш	1,11	0,50	0,61	714	0,76	0,45	0,55	46,6	2200

Эти данные охватывают период до 1975г. и поэтому старые. Известно, что с 70-80-х годов XX века наблюдается глобальное потепление и это отражается на режиме и водности рек. Для оценки влияния изменений климата на поверхностную и подземную компоненты речного стока, проанализированы данные 4-ёх действующих пунктов наблюдений за 2003-2010 годы

(всего 32 гидрографа). Полученные результаты были сопоставлены с соответствующими данными предыдущего периода.

В качестве примера на рис.1 показана схема расчленения гидрографа р.Гянджачай в пункте Зурнабад за 2006 г. Полученные результаты (в %) приведены в табл. 2.




Рис.1. Схема расчленения гидрографа р.Гянджачай в пункте Зурнабад за 2006 г.

Таблица 2

Поверхностные и подземные составляющие годового речного стока, (%)

Годы	Гянджачай - Алаханджаллы		Гянджачай - Зурнабад		Гянджачай - Гедамыш		Даствафюрчай - Каракуллар	
	Поверх. воды, %	Подз. воды, %	Поверх. воды, %	Подз. воды, %	Поверх. во ды, %	Подз. воды, %	Поверх. воды, %	Подз. воды, %
2003	23,3	76,7	38,3	61,7	33,9	66,1	55	45
2004	20,4	79,6	40,6	53,4	26,9	73,1	54,3	45,7
2005	21,2	78,8	25,3	74,7	21,1	78,9	59,9	40,1
2006	20,1	79,9	25,6	74,4	14,4	85,6	68,5	31,5
2007	19,6	80,4	24,5	75,5	13,4	86,6	47,98	52,02
2008	27,8	72,2	16,4	83,6	26,5	73,5	42,2	57,8
2009	12,2	87,8	29,1	70,9	30,2	69,8	41,7	58,3
2010	27,4	72,6	38,5	61,5	65,1	34,9	60,2	39,8

По этим данным были построены графики связи между поверхностным и подземным стокам для каждого из 4-ёх пунктов. Эти связи од-

нотипные. Рассмотренная связь для р.Гянджачай (п.Зурнабад) показана на рис.2.




Рис. 2. График связи между между поверхностным и подземным стоками для р. Гянджачай пункта Зурнабад, (%). ● - 1928-1963гг.; ▲ - 2003-2010гг.

Для р.Гянджачай за период, охватывающий 1928-1963 гг., среднее значение поверхностного стока составляет $2.28\text{ м}^3/\text{с}$ (55.6%), а подземного стока - $1.79\text{ м}^3/\text{с}$ (44,4%), за 2003-2010 гг. со-

ответственно $1.36\text{ м}^3/\text{с}$ (30.5%) и $3.08\text{ м}^3/\text{с}$ (69.5%). Сравнение этих цифр показывает, что соотношение поверхностного и подземного стока резко изменилось: доля поверхностного стока умень-

АНАЛИЗ СТРУКТУРЫ ВЕРТИКАЛЬНОГО ГОДОВОГО СТОКА В БАССЕЙНЕ РЕКИ ГЯНДЖАЧАЙ

шилась на 25,1%, а доля подземного стока, наоборот, настолько же увеличилась. Ясно, что такое большое различие вызывает определенные сомнения. Это различие может появиться в результате расчленения гидрографов рек за предыдущий (1928-1963 гг.) и последний (2003-2010 гг.) периоды разными способами. Для косвенной оценки полученного различия, были проанализированы данные по ежемесячным минимальным зимним и летне-осенним расходам воды р.Гянджачай (п.Зурнабад), т.к., известно, что каждая из этих двух характеристик речного стока, в основном, формируется за счет подземных вод.

Было установлено, что для периода,

охватывающего 1928-1963гг. среднее значение минимального зимнего стока составляет $1.36\text{м}^3/\text{с}$, летне-осеннего стока $2.51\text{м}^3/\text{с}$, а для 2003-2010гг. соответственно - $1.80\text{м}^3/\text{с}$ и $3.54\text{м}^3/\text{с}$. Сравнение этих цифр показывает, что в последнее время как минимальный зимний, так и летне-осенний сток значительно увеличился (соответственно, 32.3% и 41.0%). Это является косвенным подтверждением тому, что в последнее время поверхностная и подземная составляющие годового стока р.Гянджачай, а также их соотношение изменились. Но надо учитывать, что этот вывод получен по ограниченному количеству данных и подобные исследования следует продолжать.

ЗАКЛЮЧЕНИЕ

Путем расчленения гидрографов рек бассейна р.Гянджачай установлено, что современные изменения климата сказываются на вертикальной структуре годового стока. Произошло существенное увеличение (на 25,1%) подземной

составляющей речного стока. Но надо учитывать, что этот вывод получен по ограниченному количеству данных и подобные исследования следует продолжать.

Л и т е р а т у р а

1. Долгов С.В. Пространственные и временные изменения вертикальной структуры речного стока в Европейской части России // Вопросы географии, Сб. 133: Географо-гидрологические исследования. Отв. ред. Н.И. Коронкевич, Е.А. Баранова. – М.: Издательский дом «Кодекс», 2012.- с.189-210.
2. Рустамов С.Г., Джафаров Б.С., Гаджибеков Н.Г. Водный баланс бассейнов рек Малого Кавказа. Баку, Элм, 1969. -209 с.
3. Соколов Б.Л., Саркисян В.О. Подземное питание горных рек. Л.: Гидрометеоиздат, 1981. – 240с.
4. Иманов Ф.А. Минимальный сток рек Кавказа. Баку, «Нафта-пресс». 2000.-299с.
5. Рустамов С.Г., Кашкай Р.М. Водный баланс Азербайджанской ССР. Баку, Элм, 1978.-110 с.

**სიონის მიწის კაშხლის სუფოზიური და ფილტრაციული
პროცესების შეფასება**

**ირინა იორდანიშვილი, კონსტანტინე იორდანიშვილი, გიორგი ნატროშვილი,
დავით ფოცხვერია, ნოდარ კანდელაკი, ლალი ბილანიშვილი**
E-mail: irinaior48@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, 0179, თბილისი, საქართველო

შეჯავალი

სიონის მაღლივი მიწის კაშხლის მშენებლობა დამთავრდა 1963 წელს და მის ტანში ფილტრაციული რეჟიმი სრულად აკმაყოფილებდა იმ პერიოდში მოქმედ მოთხოვნებს. ბოლო წლებში სიონის კაშხლის


ტანში სუფოზიური და ქვედა ბიეფში ფილტრაციული მოვლენები მატულობს, რაზეც მეტყველებს მონიტორინგის შედეგები, რომელიც ჩატარდა 2013-2015 წლებში.

პირითაღი ნაწილი

სიონის მიწის კაშხალი არის I კატეგორიის და მაღალი კაშხლების კლასის ნაგებობა. იგი აგებულია მდ. იორის ხეობის შევიწროებულ ნაწილში სამშენებლო სიმაღლით 84.5 მ და აგუბებს მდინარის ჩამონადენს 1068.0 მ ნიშნულამდე, რითაც ქმნის წყლის სრულ მოცულობას - 325.0 მლნ მ³, ხოლო სასარგებლო მოცულობას - 300.0 მლნ მ³, რეგულირების პრიზმის სიმაღლეა 54.0 მ. კაშხლის სიგრძე თხემზე 780.0 მ-ს შეადგენს, ზედა პრიზმის ფერდის ქანობი იცვლება 1:2.75-სა და 1:4-ს შორის, ხოლო ქვედასი - 1:2.5-სა და 1:3.5-ს შორის. თითოეულ მათგანზე 5 მ სიგანის 5 ბერმაა განთავსებული - 1060.5, 1048.0, 1035.5, 1023.5 და 1011.5 მ ნიშნულებზე. ზედა პრიზმის ზედაპირი ბეტონის ფილებითაა დაფარული. კაშხლის მარცხენა ფრთის გასწვრივ 200 მ სიგრძეზე მოწყობილია ფილტრაციის საწინააღმდეგო კედელი მაქსიმალური სიღრმით

1954–1976	0,50	0,40	0,30	< 0,20
1954–1984	–	0,60 – 0,70	0,50	0,30 – 0,40
1954–1992	–	0,80	0,70	0,50 – 0,60
1954–2014	–	–	–	0,80 – 0,85

К местным изменениям русловых процессов р. Нижнего Дона приводят различные мероприятия и сооружения, размещенные непосредственно на берегах и в русле реки (мостовые, подводные и воздушные переходы, водозаборы и водовыпуски). Несмотря на то, что такие объекты являются «пассивными» по отношению к русловому процессу, при значительной плотности их расположения они оказывают на русловый процесс локальное прямое воздействие. Локальное управление русловыми процессами р. Нижнего Дона осуществляется посредством устройства поперечных и продольных полузапруд, дамб, укрепления берегов русла, производства эксплуатационного дноуглубления и

искусственного спрямления излучин. Дамбы и берегоукрепительные сооружения приурочены, в основном, к причалам и водозаборам на берегах реки, обеспечивая устойчивое положение сооружений.

Характерной особенностью р. Нижнего Дона является широкое распространение пойменной многорукавности, обусловленное дельтовым происхождением современной поймы [1]. Наиболее крупные пойменные протоки проходят вдоль коренного берега долины, практически полностью повторяя его очертания. Крупнейшей пойменной протокой является Аксай. После зарегулирования стока в новых гидрологических условиях пойменная многорукавность, как

макроформа русла, не развивается.

Основным морфодинамическим типом русла р. Нижнего Дона является меандрирование (с прорванными излучинами), на долю которого приходится 56,1% длины русла. Большинство излучин р. Нижнего Дона находится на ранних стадиях развития. Средний, для р. Нижнего Дона, коэффициент извилистости русла составляет 1,41. Развитые и крутые излучины характерны для участка реки выше ст. Раздорской, тогда как ниже, по течению, более распространены

молодые пологие сегментные излучины (по классификации [8]). Современные деформации меандрирующего русла р. Нижнего Дона заключаются в продольном и/или поперечном смещении излучин за счет размыва/намыва берегов (табл. 3). Сопоставление скоростей современных деформаций меандрирующего и слабоизвилистого русла с данными Н.И. Маккавеева и Н.В. Хмелевой [4] для периода естественного стока показало уменьшение скорости горизонтальных деформаций русла более, чем в 2 раза.

Таблица 3

Скорости горизонтальных деформаций меандрирующего и слабоизвилистого русла р. Нижнего Дона

Период	Средняя для периода скорость смещения излучин, м/год	
	продольное смещение	поперечное смещение
1704–1949 гг. [6]	4,5	3,5
1956–2014 гг.	2,1	1,4

Относительно прямолинейное неразветвленное русло (29,1% длины

всего русла) образует как вставки между излучинами, так и морфологически однородные участки. Участок прямолинейного русла вдоль коренного берега у г. Ростова-на-Дону и г. Аксая является динамически устойчивым, чему способствует также укрепленный на всем протяжении правый берег (городские набережные и причальные стенки портов).

Таким образом, в условиях зарегулированного гидрологического режима макроформы

русла не получают развития, а формы русла третьего порядка прекращают свое существование, либо трансформируются в формы русла второго порядка. Всё это в совокупности свидетельствует о тенденции упрощения иерархии русловых форм, сформировавшейся в условиях естественного стока.

Количественная оценка параметров русловых гряд (микроформ) выполнена согласно ВСН–163-83.

Длина гряд l_2 м при установившемся режиме движения воды определяется по зависимости:

$$l_2 = H \sqrt[3]{\frac{C^2}{g}} = 6,5 \sqrt[3]{\frac{68,7^2}{9,81}} = 49,9 \text{ м,}$$

где C – коэффициент Шези на расчетной вертикали при среднем значении уклона потока по ширине реки, $\text{м}^{0,5}/\text{с}$; H – глубина потока на вертикали, м.

Высоту гряд h_2 (м) следует определять по зависимостям:

$$h_2 = 0,25H \text{ при } H < 1 \text{ м;}$$

$$h_2 = 0,2 + 0,1H \text{ при } H > 1 \text{ м; } h_2 = 0,2 + 0,1 \cdot 6,5 = 0,85 \text{ м.}$$

Скорость смещения гряд C_2 , м/сут определяется по формуле:

$$C_2 = 0,019 \nu Fr^3 \text{ или по номограммам (ВСН–163-83, приложение 5); в формуле } \nu \text{ – средняя}$$

скорость потока над местом определения гряды, м/с; $Fr = \nu / \sqrt{gH}$.

При $\nu = 0,83$ м/с, скорость смещения гряд $C_2 = 1,7$ м/сут.

Период движения гряд установившегося профиля в сутках определяется по формуле:

$$\tau_2 = \ell_2 / C_2 = 49,9 / 1,7 = 29 \text{ сут.}$$

Морфометрия русла

Анализ измерений морфометрии потока и русла р. Дон – г. Аксай привёл к следующим результатам (рис.1, 2).




Рис.1. Изменение ширины русла в зависимости от уровня воды в нём




Рис. 2. Изменение средней глубины в русле в зависимости от расхода воды

При средних расходах весеннего половодья (расходах, близких к руслоформирующему) ширина русла не превышает 290 м.

Изменение средней глубины русла (см. рис.2) может отражать значительные глубинные деформации в створе, связанные либо с движением донных гряд, либо с дноуглубительными работами, либо с тем и другим.

$$H_0 = \alpha_0 Q_p^{1/\varphi_0} = 0,571 \cdot 1700^{1/3,117} = 6,17 \text{ м (измеренная – 6,50 м).}$$

Ширина русла при руслоформирующем расходе воды:

$$B = (kH_0)^{1/m} = (3 \cdot 6,17)^{1/0,50} = 342,8 \text{ м (измеренная – 290 м).}$$

Различие между вычисленной и измеренной шириной русла свидетельствует о стеснённых условиях формирования русла в

При расходах воды, близких к руслоформирующему, расчётная средняя глубина при вычислении грядовых форм русла равна $H_0 = 6,5$ м.

Анализ морфометрии русла р. Дон в створе г. Аксай проведён с использованием формул [9] и [10].

Средняя глубина песчаного русла в условиях свободного формирования:

створе. В условиях стеснённого формирования средняя глубина русла будет равна:

$$H_{cm} = \alpha \left(\frac{Q_p}{B_{cm}} \right)^{1/\varphi} = 1,5 \left(\frac{1700}{290} \right)^{1/1,113} = 7,04 \text{ м.}$$

Разница между измеренной и вычисленной глубиной составляет 0,54 м или 7,7%. Следует отметить, что величина 6,50 м установлена при расходе воды 1550 м³/с, что меньше руслоформирующего расхода воды.

Средняя скорость потока при руслоформирующем расходе воды будет составлять $U_{cp} = 0,83$ м/с; максимальная скорость $U_{max} = 1,21$ м/с.

ЗАКЛЮЧЕНИЕ

В результате проведенного анализа и исследования по оценке влияния русловых процессов на режим работы водозаборных сооружений были сделаны следующие выводы:

- в естественных условиях на р. Нижний Дон была сформирована сложная иерархия русловых форм. Механизм наиболее активных преформирований русла заключался в образовании пойменных протоков в половодье и переходе в них (или в староречья) основного потока реки, в результате чего за относительно короткий промежуток времени существенно изменялись плановые очертания русла;

- с регулированием стока была изменена руслоформирующая роль потока на реги-

ональном уровне. В современных условиях русловые процессы р. Нижнего Дона характеризуются врезанием русла и упрощением иерархии русловых форм. Деформации русла заключаются в его горизонтальном смещении за счет размыва берегов, что способствует направленному увеличению извилистости русла и обуславливает постепенное изменение его плановых очертаний;

- вертикальные деформации русла в расчётном створе (г. Аксай) характеризуются перемещением грядовых форм и знакопеременными (относительно средней отметки) изменениями положения дна; таким образом «текущее» положение отметки дна:

$$Z_i = Z_{cp} \pm 0,85 \text{ м.}$$

ЛИТЕРАТУРА

1. Горецкий Г.И. Аллювиальная летопись великого Пра-Днепра, М.: Наука, 1970.
2. Лурье П.М., Панов В.Д. Влияние изменений климата на гидрологический режим р. Дон в начале XXI столетия // Метеорология и гидрология, № 4, 1999.
3. Маккавеев Н.И. Русло реки и эрозия в ее бассейне. М.: Изд-во АН СССР, 1955.
4. Маккавеев Н.И., Хмелева Н.В. Смещение речных излучин // Речной транспор., №1, 1965.
5. Маккавеев Н.И., Чалов Р.С. Русловые процессы. М., Изд-во МГУ. 1986.
6. Михайлов В.Н., Повалишников Е.С., Зудилина С.В., Тигунцев Л.А. Многолетнее изменение уровней воды в восточной части Азовского моря и на устьевом участке Дона // Водные ресурсы. Т.8. № 6. 2001
7. Федоров Б.Г. Эрозия в нижнем бьефе ГЭС и экономическое обоснование глубины заложения порога шлюза // Труды ЦНИИЭВТ. Вып.68, М., 1969.
8. Чалов Р.С., Завадский А.С., Панин А.В. Речные излучины. М., Изд-во МГУ. 2004.
9. Алтунин С.Т. Регулирование русел рек при водозаборе. – М., Сельхозгиз., 1950, 247 с.
10. Лапшенков В.С. Прогнозирование русловых деформаций в бьефах речных гидроузлов. Л., Гидрометеиздат, 1979, 239 с.
11. Тимофеева В.В. Условия формирования русла Нижнего Дона // Эрозия почв и русловые процессы. Вып.15. М., 2005, с. 207-218.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

გამდიდრებული მადნის შესქელებული ნარჩენის წნევის დანაკარგების განსაზღვრა ჰიდროტრანსპორტირებისას

ვ. ალექსანდროვი, ს. ავქსენტიევი

მინერალური ნედლეულის ეროვნული უნივერსიტეტი “სამთო”

სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი

დაწნევის დანაკარგის ანალიტიკური განსაზღვრა მადნის გამდიდრების კუდების შედეგებული პულპების ჰიდროტრანსპორტისას უფრო რთული ამოცანაა ანალოგიურ საკითხთან შედარებით ჰიდრონარეგებისთვის მყარი ნაწილების მასური კონცენტრაციისას არაუმეტეს 30%. უკანასკნელი 25-30 წლის განმავლობაში გაანგარიშების ემპირიული მეთოდების დამუშავებასთან ერთად დაგროვდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაწნევის ფაქტიურ დანაკარგებზე. ამან სპეციალისტებს საშუალება მისცა განეზოგადებინათ ცნობილი მეთოდები და შეემუშავებინათ გათვლის უნივერსალური მეთოდი იმ ჰიდრონარეგების ჰიდრაულიკური ტრანსპორტის ძირითადი პარამეტრების განსაზღვრისათვის, რომლებიც შეიცავენ შედარებით არამაღალ რაოდენობას მყარი ნაწილაკები გადაქაჩული პულპის მოცულობაში.

საკვანძო სიტყვები: ჰიდრაულიკური ტრანსპორტი, ჰიდრონარეგები, გამდიდრების კუდები, დაწნევის დანაკარგები, რეოლოგია, დაძვრის დაძაბულობა.

გარემოს დაცვა

აზერბაიჯანის მცირე მდინარეების ეკონომიკის ადგილის ღონისძიებები

ი. ადაევი, ბ. ახმედოვი,

ტ. ზეინალოვი, ა. მუსლუმოვი

აზერბაიჯანის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება

ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

წარმოდგენილი სტატია ეძღვნება აზერბაიჯანის მცირე მდინარეების არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას. განსაზღვრულია მათზე მავნე ზემოქმედების მიზეზები და მოცემულია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: მდინარე, აუზი, კალაპოტი, ნაკადი, ნაგებობა, ფლორა, ფაუნა, ეკოსისტემა, ეროზია.

მშენებლობა

მეწვერისა და მდინარის გრუნტულანაკრები-ბიანი საყრდენი კედლის კონსტრუქციული გადაწყვეტა

შ. ბაქანიძე, ნ. მსხილაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, საქართველო

შემოთავაზებულია მონოლითური რკინაბეტონის გრუნტულანაკრებიანი მეწვერისა და მდინარის საყრდენი კედლის შემდეგი კონსტრუქციული გადაწყვეტა: გრუნტული ანაკრები განთავსებულია 2 იარუსად, როგორც კედლის ზედა ნაწილში, ასევე საძირკველში მისი ჩამაგრების დონეზე. გრუნტული ანაკრები თავის თავზე იღებს როგორც კედელზე გრუნტის დაწნევისაგან გამოწვეულ გადამბრუნებელ მომენტს, ასევე მოცურების ძალებს. შესრულებულია ზემოაღნიშნული კონსტრუქციული გადაწყვეტის 2 ვარიანტი: პილიასტრების (სვეტების) გარეშე და სვეტებით. ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების საფუძველზე გამოვლენილია ხელსაყრელი კონსტრუქციული გადაწყვეტა.

საკვანძო სიტყვები: მეწვერი, საყრდენი კედელი, გრუნტული ანაკრები, კონსტრუქციული გადაწყვეტა, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

გარემოს დაცვა

მდინარე ვერეს კალაპოტში 2015 წლის 13-14 ივნისის ბუნების სტიქიური მოვლენების შეფასება, ანალიზი და სტიქიის რეგულირების ეფექტური ღონისძიებები

გ. გავარდაშვილი, რ. დიაკონიძე, გ. ჩახაია, ლ. წულუკიძე, ე. კუხალაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში განხილულია მდინარე ვერეს კალაპოტში 2015 წლის 13-14 ივნისის ბუნების სტიქიური მოვლენების წარმოშობის მიზეზები, მოვლენების შეფასება და ანალიზი. სტიქიის შეფასების მიზნით წარმოდგენილია 2014 წლის 14-20 ივნისის მდ. ჯოხონისხევში განხორციელებული საველე კვლევის შედეგები. ჩატარებული საველე-სამეცნიერო კვლევების დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ დასახულია მდინარე ვერეს წყალშემკრები აუზის რეგულირების ძირითადი საინჟინრო-ეკოლოგიური ღონისძიებები, მათ შორის ქ. თბილისის ღვარცოფებისაგან ეფექტური დაცვის მიზნით განხილული და რეკომენდებულია სტიქიის რეგულირების რესურსმოზი ახალი ნაგებობები.

ქ. თბილისის სტიქიებისაგან ეფექტური დაცვის მიზნით, მდ. ვერეს კალაპოტის რეგულირებისათვის, საილუსტრაციოდ დასაბუთებულია ღვარცოფსაწინააღმდეგო საფეხურიანი ფორმის ცხაური ტიპის ბარაჟის ლაბორატორიული მოდელირების აუცილებლობა. სტატიაში ასევე განხილულია საზოგადოებისათვის კვლევების აქტუალობის დემონსტრირებისათვის ჩატარებული საველე-სამეცნიერო კვლევის შედეგების ინფორმაციულობის ხარისხი.

საკვანძო სიტყვები: მდინარე ვერე, ჯოხონისხევი, ახალდაბისხევი, ღვარცოფი, ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობა.

ჰიდროლოგია, გარემოს დაცვა

მდინარე ვერეზე ცალკეული თვეებისა და წლის მაქსიმალური ხარჯების ცვალებადობის დინამიკის (ტრენდის) შეფასება

გ. გრიგოლია¹⁾, დ. კერესელიძე²⁾, მ. ალავერდაშვილი²⁾, ვ. ტრაპაიძე²⁾, გ. ბრეგვაძე²⁾

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
- 2) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- 3) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ქ. თბილისი, საქართველო

2015 წლის 13-14 ივნისის მდ. ვერეზე მომხდარმა წყალმოვარდნამ გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი (დაიღუპა 21 ადამიანი) და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქალაქის ინფრასტრუქტურას. კლიმატის გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით მეტად აქტუალურია მდინარის ჩამონადენის მაქსიმალური ხარჯების ცვალებადობის კანონზომიერების გამოვლენა და შეფასება. წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების დინამიკის დასადგენად შეფასდა ცალკეული თვეების ტრენდის კორელაციის კოეფიციენტები წყლის მაქსიმალურ ხარჯსა და მის რიგით ნომერს შორის 1963-1990, 1991-2014 და 1963-2014 წწ. უწყვეტი პერიოდისათვის და წყალმოვარდნული აქტივობის კოეფიციენტი. როგორც გათვლებმა გვიჩვენა, ტრენდი პრაქტიკულად არ ფიქსირდება, ფიქსირდება მხოლოდ 1991-2014 წლების V თვეში და წლიურებში, დანარჩენ შემთხვევაში ცვალებადობას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

საკვანძო სიტყვები: ღვარცოფული ნაკადი, სტიქიური მოვლენა.

**ჰიდროლოგია, გარემოს დაცვა
თბილისის დაცვა მოსალოდნელი ბუნებ-
რივი სტიქიებისაგან მდინარე ვარძის მა-
გალითზე**

**რ. დიაკონიძე¹⁾, ჯ. ფანჩულიძე¹⁾, ზ. ჭარბაძე¹⁾,
ზ. ლაღვიძელი²⁾, ბ. დიაკონიძე¹⁾, ს. კვიციანიძე²⁾**

¹⁾ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ცოტნე მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

²⁾ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილი-
სის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში შეფასებულია მდ. ვერეზე
2015 წლის 13 ივნისს მომხდარი სტიქია, რო-
მელმაც მნიშვნელოვანი ეკოლოგიური და
ეკონომიკური ზარალი მიაყენა ქ. თბილისს.
დაიღუპა 21 ადამიანი.

სტატიაში შეფასებულია, თუ რამდენად
სწორად იყო დადგენილი მოსალოდნელი
წყლის მაქსიმალური ხარჯის პროგნოზული
სიდიდე მდ. ვერეზე, სტიქიის ზონაში არსებუ-
ლი გვირაბების დაპროექტებისას.

წარმოდგენილია მდ. ვერეს დეტალური
ჰიდროლოგიური ანგარიში შესაბამისი
ოროგრაფიული რუკითა და მოსალოდნელი
მაქსიმალური ხარჯების პროგნოზული სიდი-
დეებით.

საკვანძო სიტყვები: სტიქია, წყლის ხარ-
ჯი, ღვარცოფი.

გარემოს დაცვა, მშენებლობა

**მწვანე საფარები – ეკოლოგიურად
სუფთა და ენერგოეფექტური
ტექნოლოგია მშენებლობაში**

ზ. ეზუგბაია¹⁾, ი. ირემაშვილი^{1,2)}

¹⁾ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

²⁾ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე-
ტის ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

წარმოდგენილ სტატიაში განხილუ-
ლია საკითხები, რომლებიც დაკავშირებუ-

ლია შენობებსა და ნაგებობებზე ეკოლოგი-
ურად პერსპექტიული, ესთეტიურად მაღა-
ლი ხარისხისა და ენერგოეფექტური მწვანე
საფარების მოწყობასთან. აგრეთვე, მოცე-
მულია რეკომენდაციები ასეთ გადახურვებ-
ზე სხვადასხვა სახის ნარგავების მოწყობა-
ზე.

საკვანძო სიტყვები: ბურუნები, ეკო-
ლოგია, ენერგოეფექტურობა, მწვანე საფა-
რები, ტექნოლოგია, მემბრანა.

**წყალთა მეურნეობა
წყალსარგებლობის ეფექტურობის გაზ-
რდის მეთოდები საქართველოს სარწყავ
მიწათმოქმედებაში**

**მ. ვართანოვი, ე. კეჩხოველი,
ლ. კეკელიძე, ფ. ლორთქიფანიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში განხილულია წყალსარგებ-
ლობის ეფექტურობის გაზრდის საკითხები
საქართველოს სარწყავ მიწათმოქმედებაში.
დასაბუთებულია წყალმიწოდების მომსახუ-
რებაზე არსებული სისტემის არაეფექტიანო-
ბა. ჩატარებულია მსოფლიო პრაქტიკაში არ-
სებული სარწყავი წყლის ტარიფიკაციის
სისტემების ანალიზი. განსაკუთრებული ყუ-
რადღება გამახვილებულია სარწყავი სისტე-
მების ექსპლუატაციაზე. ნაჩვენებია ფერმე-
რული (წყალმომხმარებელთა) გაერთიანებე-
ბის ფუნქციონირების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: წყალთა მეურნეობა,
მელიორაცია, წყალსარგებლობა, ტარიფიკა-
ცია, წყალმომხმარებელთა გაერთიანებები.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

**წლიური ვერტიკალური ჩამონადენის
სტრუქტურული ანალიზი მდინარე
ბიანჯაჩაის აუზში**

ფ. იმანოვი, ი. ალიევი, ა. გულიევა

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

სტატიაში გაანალიზებულია წლიური ვერტიკალური ჩამონადენის სტრუქტურა გიანჯაჩაის აუზის მდინარეების მაგალითზე. ჰიდროგრაფიული დანაწევრების გზით დადგენილია, რომ 1928-1963წ.წ. პერიოდში ზედაპირული ჩამონადენის საშუალო მნიშვნელობა შეადგენს 55.6%-ს და მიწისქვეშა ჩამონადენის 44.4%-ს, ხოლო 2003-2010წ.წ. პერიოდისათვის შესაბამისად - 30.5%-ს და 69.5%-ს. ამ ციფრების შედარება გვიჩვენებს, რომ ზედაპირული და მიწისქვეშა ჩამონადენის თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა: ზედაპირული ჩამონადენის წილი შემცირდა 25.1%-ით, ხოლო მიწისქვეშა ჩამონადენის - პირიქით, ამდენითვე გაიზარდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს დასკვნა მიღებულია მონაცემების განსახილველი რაოდენობის მიხედვით და მსგავსი კვლევები უნდა გაგრძელდეს.

საკვანძო სიტყვები: წლიური ვერტიკალური ჩამონადენის სტრუქტურა, ზედაპირული ჩამონადენი, მიწისქვეშა ჩამონადენი, მდინარე გიანჯაჩაი, ჰიდროგრაფიული დანაწევრება, კლიმატის ცვლილება.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

სიონის მიწის კაშხლის სუფოზიური და ფილტრაციული პროცესების შეფასება

- ო. იორდანიშვილი, კ. იორდანიშვილი, გ. ნატროშვილი, დ. ფოცხვერია, ნ. კანდელაკი, ლ. ბილანიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში მოყვანილია სიონის კაშხლის პიეზომეტრებიდან 2013-2015 წ.წ. ამოღებული წყლის სინჯების ქიმიური ანალიზის შედეგები. კაშხლის მარცხენა ფრთასთან აღნიშნულია მშრალი ნაშთის მკვეთრი ზრდა, რაც მიუთითებს სუფოზიური პროცესების გაძლიერებაზე.

დადგენილია ფილტრაციული წყლების დანაკარგების მასშტაბები.

საკვანძო სიტყვები: სიონის მიწის კაშხალი, პიეზომეტრული მრუდი, სუფოზია, ფილტრაცია.

გარემოს დაცვა

ახალი ეროზიის საწინააღმდეგო ბიოხალიჩა

- ლ. იტრიაშვილი, ი. ირემაშვილი, ე. ხოსროშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

მოყვანილია ფერდობების ეროზიისაგან დამცავი ახალი ტიპის ბიოხალიჩის შემადგენლობა, შემავალი კომპონენტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახვენებლები. აღწერილია ბიოხალიჩის მუშაობის მექანიზმი, თავისებურებანი და ეფექტიანობა. მოყვანილია ბიოხალიჩის დამზადების ტექნოლოგია და გამოყენების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ფერდობი, ეროზია, ტორფი, ბენტონიტი, პოლიელექტროლიტი, ბიოხალიჩა, ბელტი.

გარემოს დაცვა

პოლიმინერალური კომპოზიტის გამოყენების პარამეტრები ტოქსიკური წყალხსნარების კონსერვაციისათვის

- ლ. იტრიაშვილი, ე. ხოსროშვილი, ნ. ნიბლაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში განხილულია ახალი ძლიერგაჯირჯვადი პოლიმინერალური კომპოზიტის გამოყენების პერსპექტივები ტოქსიკური წყალხსნარების ლოკალიზაციისა და კონსერვაციისათვის. დადგენილია დამოკიდებულება შთანთქმულ ხსნარს, მის კონცენტრაციასა და ლოკალიზებულ მშრალ

ნივთიერებას შორის. დადგენილია ხსნარების რაოდენობა და კონცენტრაციები, რომლებიც იძლევა მაქსიმალურ ეფექტს.

საკვანძო სიტყვები: პოლიმინერალური კომპოზიტი, ტოქსიკური სითხეები, შთანთქმა, ლოკალიზაცია, კონსერვაცია.

ჰიდროტექნიკა და მედიორაცია

ჩრდილოეთ კავკასიაში მობილური სადერივაციო მიკროჰესების მშენებლობისა და ნიადაგარმირებელი დაცვითი ნაგებობების გამოყენების დასაბუთება

დ. კაშარინი

მ.ი. პლატოვის სახელობის სამხრეთ-რუსეთის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტი ქ. ნოვოჩერკასკი, რუსეთი

დასაბუთებულია სეზონურად მოქმედი მობილური დერივაციული მიკროჰესების აუცილებლობა მთის მცირე მდინარეების წყლის რესურსების გამოყენებისათვის ჩრდილო-კავკასიის რეგიონში. განხილულია იმ გრუნტარმირებელი კონსტრუქციების გათვლის მეთოდები, რომლებიც გამოიყენება კაშხლებად და ინჟინრული დაცვის ნაგებობებად. მოყვანილია საყრდენი ნაგებობების გარე გარსების ექსპერიმენტული კვლევების შედეგები.

საკვანძო სიტყვები: მთის მცირე მდინარეები, მობილური დერივაციული მიკროჰესი, არმირებული ნიადაგი.

გარემოს დაცვა

შავ ზღვაში დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაღინების დინამიკა საქართველოსა და შპრანის ძირითადი მდინარეებიდან

გ. კრესინი^{1,2)}, კ. უტკინა^{3,1)}, გ. ბრუკი^{1,2)}, მ. დევიძე⁴⁾

¹⁾ ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ქ. ოდესა, უკრაინა
- 2) უკრაინის ეკოლოგიურ პრობლემათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ქ. ხარკოვი, უკრაინა
- 3) ვ.ნ. კარაზინის სახელობის ხარკოვის ეროვნული უნივერსიტეტი ქ. ხარკოვი, უკრაინა
- 4) ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“ ქ. თბილისი, საქართველო

შავი ზღვის დაბინძურების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ განიხილება მასში ჩამდინარე მდინარეები. წარმოდგენილია და განალიზებულია შავ ზღვაში დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩადინების დინამიკა, ძირითადი ტენდენციები და წყლის ხარისხის ანალიზები მდინარეთა შესართავებში 2000-2012 წლებისათვის მდინარეებიდან: დუნაი (უკრაინის ნაწილი), დნეპრი და სამხრეთ ბუგი. წყლის ხარისხი შეფასებულია შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ჟბმ, ფოსფატები, ამონიუმის აზოტი და ნიტრატის აზოტი.

განხილულია მდინარე რიონის აუზი საქართველოს მხრიდან როგორც შავ ზღვაში ჩამდინარე ძირითადი წყალგამყოფი. ასევე წარმოდგენილია მდინარეების ჭოროხისა და აჭარისწყალის მონაცემები, რომლებიც დასავლეთ საქართველოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ჩაედინებიან შავ ზღვაში. მდინარე რიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ ტოტების წყლის ხარისხი წარმოდგენილია და განხილულია 2002-2013 წლებისათვის. წყლის ხარისხი შეფასდა შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ჟბმ, ფოსფატები, ამონიუმის აზოტი და ნიტრატის აზოტი. დადგინდა ამონიუმის აზოტის მომატება და მდინარეთა წყლის ხარჯის ცვლილება მდინარე რიონში.

საკვანძო სიტყვები: დამაბინძურებელი ნივთიერებები, მდინარეთა დინება, შავი ზღვა, ეკოსისტემა.

**ჰიდროტექნიკა და მელიორაცია
მდინარეთა ნოღა ადგილების (ჭალების)
მელიორაცია**

შ. კუპრეიშვილი, პ. სიჭინავა, ქ. დადიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

შემოთავაზებულია მდინარეზე წყალ-
დიდობის საწინააღმდეგოდ მოსაწყობ და-
მბებს შორის საანგარიშო მანძილი და სქე-
მა; გაანგარიშებულია დამბების მოწყობის
შემდეგ წყლის ხარჯი ტრაპეციული კვეთი-
სათვის; დადგენილია მდინარის მხარეზე
ქანობის, თხემის სიგანის პარამეტრები.

საკვანძო სიტყვები: მდინარე, კალაპო-
ტი, წყლის ხარჯი, ტრაპეციული კვეთი.

**ჰიდროტექნიკა და მელიორაცია
ჩადაგლებული ადგილების ამაღლება
კოლმატაჟითა და რეფუზირებით**

შ. კუპრეიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

შემოთავაზებულია კოლმატაჟის მიმ-
დინარეობის სქემა; განსაზღვრულია კოლ-
მატაჟისა და რეფუზირების დადებითი და
უარყოფითი თვისებები; დადგენილია რეფუ-
ზირების უპირატესობა კოლმატაჟისთან
შედარებით, რაც დასაშრობი ფართობის
ზედაპირის ამაღლების პროცესის დაჩქარე-
ბით მიმდინარეობს.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგი, წყლის
ხარჯი, კოლმატაჟი, რეფუზირება.

**ჰიპერკონცენტრირებული ნაკადის
მოძრაობის რეჟიმის მდგრადობის
რღვევის პრობლემა**

**ე. კუნალაშვილი¹⁾, ზ. ლობჯანიძე²⁾,
თ. კერესელიძე²⁾**

¹⁾ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

²⁾ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

ნაკადის თანაბარი მოძრაობის რეჟიმის
დარღვევა და მისი ტალღური ფორმით მოძრაო-
ბაში გარდასახვა გარკვეულ ცვლილებას იწ-
ვევს როგორც კალაპოტურ პროცესებში, ისე
მათი მდგრადობის შეფასებაში.

ტალღის ფორმით მოძრაობა მაღალი სიმ-
კვრივის ნაკადი მნიშვნელოვნად განსხვავდ-
ება ჩვეულებრივად მოძრაობისაგან, იცვლება
მისი ჰიდროლოგიური და ჰიდრავლიკური პა-
რამეტრები. ამოცანა კიდევ უფრო რთულდ-
ება ასეთი ნაკადების რეგულირების საინჟინ-
რო ამოცანების განხილვის შემთხვევაში.
ბმულ ღვარცოფთა თანაბარი და ტალღური
მოძრაობის, კერძოდ, ნაკადის საშუალო და
ტალღურ სინქარეს შორის მოძრაობის რაო-
დენობის კანონის საფუძველზე მიღებულია
საანგარიშო დამოკიდებულება.

წარმოდგენილია ნაკადის საშუალო და
ტალღური სინქარის ფარდობითი სიდიდის
გრაფიკული დამოკიდებულება რეოლოგიურ
მახასიათებლებთან კავშირში.

საკვანძო სიტყვები: ნაკადი, ბმული
ღვარცოფი, კალაპოტური პროცესები, ჰიპერ-
კონცენტრირებული ნაკადი, რეოლოგიური
მახასიათებლები.

გარემოს დაცვა

**გაზონური ბალახისა და ბალახნარების
სიცოცხლისუნარიანობა (რიახანის
ოლქის მასალითზე)**

თ. ლაზარევა

პ. კოსტიჩევის სახელობის რიახანის
სახელმწიფო აგროტექნოლოგიის უნივერ-
სიტეტი ქ. რიახანი, რუსეთი

რიახანის ოლქის ნიადაგებისათვის გა-
ზონური ერთსახეობასა და შერეული ნათე-
სებზე ჩატარებულია კვლევები მინდორზე
აღმოცენებისა და შენარჩუნების მიმართუ-
ლებით. 2012-2014 წლების კვლევების მი-
ხედვით შეფასებულია ბალახის სიცოც-
ხლისუნარიანობა, დადგენილია, რომ მინ-
დორში აღმოცენების უკეთესი უნარით სა-
სიათდებიან ფესვიანი ფხვიერბუჩქოვანი
მარცვლოვნები, ხოლო სიცოცხლისუნარიან-
ობით - წითელი შვრია. შერეულ ნათე-
სებს შორის მაღალი შენარჩუნებადობა
დადგენილია ოთხკომპონენტიან ბალახნა-
რევეებში შებუჩქების სხვადასხვა ტიპით,
ხოლო უმცირესი - სამოვრების მარცვლე-
ულსა და ამ მარცვლეულების შემცველ
ბალახ-ნარევეებში.

საკვანძო სიტყვები: ეწერ-კორდიანი
ნიადაგები, გაზონი, აღმოცენება, სიცოც-
ხლისუნარიანობა, შენარჩუნებადობა, ბალა-
ხების ერთსახეობა, ბალახნარევი, გაბუჩ-
ქოვნების ტიპები.

**დედამიწის შემსწავლელი
მეცნიერებები**

**ნიადაგის სპექტრალური არეკვლის
უნარის გამოყენება აზერბაიჯანის
ზოგიერთი ტიპის ნიადაგების
შეფასებითი ანალიზისათვის**

ე. მამედოვა

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის
აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის
ინსტიტუტი, ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის ბუნებრივი სიმდიდრეე-
ბის რაციონალური გამოყენებისათვის აუ-

ცილებელია ყურადღება მიექცეს გარე-
მოს პრობლემებს. მნიშვნელოვანი როლი
ეკუთვნის ნიადაგების მდგომარეობის კონ-
ტროლის დისტანციურ მეთოდებს. სპექტრა-
ლური დიაპაზონების სწორი არჩევა მნიშ-
ვნელოვნად ამცირებს წარმოებულ კვლე-
ვებზე ხარჯს და დროის დანაკარგს.

საკვანძო სიტყვები: სპექტრალური
არეკვლის უნარი, დისტანციური კონტრო-
ლი, სპექტრალური დიაპაზონი, ტალღის
სიგრძე, სინათლის დიფუზიური არეკვლა.

გარემოს დაცვა

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის ავთონის
ნახევარკუნძულის მასაზირის ტბის
ეკოსისტემის თანამედროვე
მდგომარეობა**

გ. მამედოვი¹⁾, ა. სალამოვი¹⁾, ხ.ხალილოვა²⁾

1) აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის
გეოლოგიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი

2) აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის
ფიზიკის ინსტიტუტი ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

განიხილება მასაზირის ტბის ეკოლო-
გიური მდგომარეობის მიმართულებები და
დარღვევების სახეობები 100 წელზე მეტი
პერიოდისათვის. განსაზღვრულია, რომ ნაფ-
თობ-გაზის მოპოვების ზრდით რეგიონში
მცირდება პლასტების გეოდინამიკური წნე-
ვა, შედეგად მცირდება იმ ძლიერმინერა-
ლიზირებული წყაროების რაოდენობა და
დებიტი, რომლებიც კვებავენ ტბას. ანთრო-
პოგენური ხასიათის ჩამონადენისა და ტბის
ფსკერის ნადების მომატებით გამოვლინდე-
ბა ამ გარემოსათვის უცხო ქიმიური ელემ-
ენტები და შენაერთები.

საკვანძო სიტყვები: ტბა, ფსკერის ნა-
დები, კვლევის გეოფიზიკური მეთოდები,
წყლის ქიმიური შემადგენლობა, ანთროპო-
გენური ფაქტორი.

ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია
ტემპერატურისა და ნალექების
მონაცემთა ერთგვაროვნებისა და
ხარისხის კონტროლი საქართველოში

ლ. მეგრელიძე, ლ. ქართველიშვილი,
ნ. დეკანოზიშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტროს
გარემოს ეროვნული სააგენტო
ქ. თბილისი, საქართველო

არაკლიმატური ხასიათის ერთგვაროვნების აღმოჩენისა და შესწორებისათვის შესწავლილი იქნა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის ტემპერატურისა და ნალექების მონაცემების გრძელვადიანი სერია. სტატიაში მოყვანილია პროცესების შედეგების დეტალური აღწერა და განხილულია ტრენდების შეფასებაზე კორექტირების გავლენა. ამ მიზნით შეზღუდული მაქსიმალური t და F ტესტებისა და transPMFred (ყოველდღიური არანულოვანი ნალექების სერიისათვის) ალგორითმის საფუძველზე გამოყენებულ იქნა რეგრესიის ორფაზიანი მოდელი. კომპიუტერობის ტესტებმა წარმოაჩინა საწყისი მონაცემების მწკრივის ძლიერი არაერთგვაროვნება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს როგორც შიდაკლიმატური, ასევე არაკლიმატური წარმოშობა. აღნიშნული ტესტებით განსაზღვრული წყვეტის წერტილები შედარებული იყო არსებულ მეტეომონაცემებთან, რომლებიც შეიცავდა ისეთ ინფორმაციას, როგორცაა: ინსტრუმენტების შეცვლა, სადგურის ადგილმდებარეობისა და გარემოს ცვლილება, დაკვირვების პროცედურები და ა.შ. მნიშვნელოვანი არაერთგვაროვნება (95% ან მეტი მნიშვნელობით), რომლებიც დაემთხვა ინსტრუმენტული ცვლილებების ცნობილ მონაცემებს გასწორებული იყო კვანტილიების კოორდინაციებითა და გასაშუალების მეთოდებით. ასევე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი წყვეტის წერტილი, რომელიც არ შეიძლება დაკავშირებული იყოს ინსტრუმენტების მო-

ძიების რაიმე ცვალებადობის ცნობილ მონაცემებთან სადგურების განლაგებასა და გარემოში, და, აგრეთვე, ექსტრემუმების სივრცული განაწილება მიუთითებს, რომ ისინი გამოწვეულია კლიმატის ცვალებადობით და არა გაზომვების შეცდომებით. კორექტირებული მწკრივები კლიმატის ცვლილებისა და ცვალებადობის გამოვლინების მომავალი კვლევებისათვის ახლა ხელმისაწვდომია.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, კლიმატის მონაცემები, ექსტრემუმები, ერთგვაროვნება.

გარემოს დაცვა

დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთ
ფერდობის ნიადაგების ეკოლოგიური
შეფასება

ი. მუსტაფაევი

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

სტატიაში გაანალიზებულია დიდი კავკასიონის სამხრეთის ფერდობის ტბათა და მდინარეთა ქსელის განვითარების, კლიმატის, გეოლოგიური აგებულების, რელიეფის ფიზიკურ-გეოგრაფიული განთავსება. ასევე გაბალინის რაიონის მაგალითზე დეტალურადაა მოცემული ფიზიკური, ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები შემდეგი ნიადაგებისათვის: დაბალმთიანი რეგიონის ყავისფერი, ტყიანი შუა მთიანეთის რეგიონის მურა, დიდი კავკასიონის სამხრეთის ფერდობის არაეროდირებული რუხ-ყავისფერი.

ფაქტიური მასალების ანალიზის საფუძველზე, რისთვისაც გამოყენებულ იქნა საზოგადოდ მიღებული შკალები, საკვლევი ნიადაგების ეკოლოგიური შეფასებით დადგინდა მთა-ტყიანი დაბალმთიანი რეგიონის ყავისფერი ნიადაგების უპირატესობა.

საკვანძო სიტყვები: გრანულომეტრიული შემადგენლობა, ჰუმუსი, pH, რადიაცია.

წყალთა მეურნეობა
სარწყავი ნიადაგების მარილიანობაზე
გამორაცხვის რეჟიმის ზემოქმედების
კვლევა

ფ. მუსტაფაევი, მ. მუსტაფაევი,
გ. ჯებრაილოვა

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის
აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის
ინსტიტუტი ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

სტატიაში მოყვანილია დაწვრილებითი ინფორმაცია კვლევებზე, რომლებიც ჩატარდა სარწყავ ნიადაგების მარილიანობაზე გამდინარე რეჟიმის გავლენის შესასწავლად. კვლევის დროს შესწავლილი იქნა სხვადასხვა შემადგენლობის ნიადაგებისთვის გამდინარე რეჟიმი და ნიადაგების წყალფიზიკური თვისებები, შედარებითი ანალიზის შედეგად განისაზღვრა იყო დამარილიანებისა და განმარილიანების პროცესების ტენდენციები გრანულომეტრიული შემადგენლობასთან დამოკიდებულებაში.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგების გამდინარე რეჟიმი, ნიადაგის დამარილიანება, გრანულომეტრიული შემადგენლობა, მარილების მარაგი, მინერალიზაცია.

გარემოს დაცვა

ბმული ღვარცოფის ფრონტის
მოძრაობის ფორმების ბაანბარიშება

ო. ნათიშვილი^{1,2)}, გ. გავარდაშვილი²⁾

- 1) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
- 2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში მოცემულია ბმული ღვარცოფის წინა ფრონტის მოძრაობის ფორმების მოკლე აღწერა და განხილულია საანგარიშო

სქემები მდინარის კალაპოტის მარტივი და რთული დეფორმაციების შემთხვევაში.

მდინარის კალაპოტის მარტივი და რთული დეფორმაციების შემთხვევაში განხილულია ბმული ღვარცოფის წინა ფრონტის საანგარიშო სქემები და მოძრაობის ფორმების მოკლე დახასიათება.

ნაკადის ფრონტის „ამობურცული“ ფორმის შემთხვევაში დადგენილია ბმული ღვარცოფის მოძრაობის ფრონტის სიმაღლე, რომლის მაჩვენებლებიც იცვლება $H_z = (1,5 \div 1,8)H$ საზღვრებში.

საკვანძო სიტყვები: ბმული ღვარცოფი, სათავე ნაწილის წინა ფრონტი, ნიუტონისებრი სითხე, მაქსიმალური სიმაღლე.

გარემოს დაცვა

ბრძივი თხრის ექსპავატორის მუშა
ობრანოს სამქსალშატაციო
პარამეტრების განსაზღვრა

დ. ნატროშვილი¹⁾, ზ. ლობჯანიძე²⁾

- 1) საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
- 2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ქ. თბილისი, საქართველო

დადგენილია, რომ წარმოდგენილი მეტოდიკის გამოყენებით კონკრეტული ნიადაგობრივი პირობებისა და რელიეფის გათვალისწინებით შესაძლებელია განისაზღვროს აქტიურ-მუშაორგანოიანი სადრენაჟე მილჩამწყობი მანქანის ძირითადი საექსპლუატაციო პარამეტრები.

საკვანძო სიტყვები. დრენაჟი; მუშაორგანოიანი მანქანა; მრავალციცხვიანი ჯაჭვი; ძრავის სიმძლავრე; მილჩამწყობი მანქანა; საექსპლუატაციო პარამეტრები.

**ჰიდროტექნიკური ნაგებობების
საიმედოობა და რისკი**

**პოლიმერული მასალებით მიღებული
ფილტრაციის საწინააღმდეგო
ელემენტებიანი წყალმარეზულირებაელი
ნა ობიექტის სავალე კვლევა**

მ. ნესტეროვი, ი. ნესტეროვა

ბელორუსიის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო აკადემია, ქ. გორკი, ბელორუსია

მოყვანილია მელიორაციული სისტემების არსებზე წყალმარეზულირებაელი ნაგებობების სავალე კვლევების რეზულტატები. ამ ნაგებობებში მყარი კედლების ნაცვლად გამოყენებულია პოლიეთილენის ფარდები. ფილტრაციის საწინააღმდეგო ფარდების მოწყობა აჩვენა ამ სამუშაოების უპირატესობა ტრადიციულ კუთხოვანი რიგების მოწყობასთან დონეების მარეზულირებაზე, რომელიც გამოიყენება მელიორაციულ მშენებლობაში

საკვანძო სიტყვები: მელიორაციული სისტემები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, წყალმარეგილირებაელი ნაგებობები, პოლიეთილენის ფარდები, ფილტრაციული ნაკადი, პოლიმერული მასალები.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

**მდინარე თეძამის ჩამონადენის
ირიბაციული პოტენციალის განსაზღვრა
სასოფლო-სამეურნეო კულტურების
წყალმოთხოვნილების პრობლემატიკის
ბათვალისწინებით**

თ. ოლილავაძე^{1,2}, კ. ბზიავა^{1,2}

¹ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

² საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, ქ. თბილისი, საქართველო

კასპის მუნიციპალიტეტის სოფლის-მეურნეობის მდგრადი განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სარწყავ მიწათმოქმედების წყლის რესურსებით უზრუნველყოფა და სარწყავი წყლის პროდუქტიულ გამოყენებაზე. მუნიციპალიტეტის წყლის რესურსე-

ბის ერთადერთ წყაროს მდინარე თეძამის ჩამონადენი წარმოადგენს, რომელიც „გამოიყენება“ რვა სარწყავი სისტემის (სარწყავი არხების) წყალუზრუნველყოფისათვის. ჩვენს მიერ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (UN FAO) რეკომენდაციებით ჩატარებულმა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილების ანგარიშის ანალიზმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული სარწყავი სისტემების წყალგამტარუნარიანობა უკიდურესად დაბალია და საჭიროებს აღდგენა-რეაბილიტაციას, თუმცა რეაბილიტაციის შემთხვევაშიც კი, მდინარე თეძამის ჩამონადენი ვეგეტაციის პერიოდში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) უზრუნველყოფს მხოლოდ ერთი სარწყავი არხის მუშაობას. ყოველივე ეს იწვევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უადრესად დაბალ მოსავლიანობას. იმისათვის, რომ კასპის მუნიციპალიტეტის სარწყავი მიწათმოქმედება იყოს ეფექტური, საჭიროა მდინარე თეძამის ჩამონადენის დარეზულირება (კაშხლის მოწყობა), სარწყავი არხების რეაბილიტაცია და თანამედროვე მორწყვის ტექნოლოგიების დანერგვა.

საკვანძო სიტყვები: ევაპორანსპირაცია, ბლინე-კრიდლის მეთოდი, მდინარის ჩამონადენი, სარწყავი არხი, სარწყავი მიწათმოქმედება.

გარემოს დაცვა

**საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე
ქარისმიერი ეროზიის ხარისხობრივი
შეფასება მისი განმსაზღვრელი
ფაქტორების ბათვალისწინებით**

ო. ოქრიაშვილი, ზ. ვარაზაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, ქ. თბილისი, საქართველო

დღესდღეობით ქარისმიერი ეროზია მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება. მისი მასშტაბები საქართველოშიც მნიშვნელოვანია. სტატია-

ში ყურადღება გამახვილებულია იმ ბუნებრივ ხელშემწყობ ფაქტორებზე, რომლებიც საქართველოს ლანდშაფტურ-კლიმატური პირობებითაა ჩამოყალიბებული და ხელს უწყობს ქარისმიერი ეროზიის განვითარებას. აქვე მოყვანილია ქარისმიერი ეროზიის რიცხვის (A) დადგენის მეთოდი, რომელიც აღნიშნული პროცესის ფარდობით მახასიათებლად და საერთო რეგიონალური სურათის მისაღებადაა მიჩნეული.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგის დეგრადაცია, ქარისმიერი ეროზია, ეროზიულიობის რიცხვი.

გარემოს დაცვა

ჩამდინარე წყლების ლემის უტილიზაციის მეთოდების ანალიზი

ნ. სერპოკრილოვი, გ. ბორისოვა, ნ. კონდაკოვა

მ. ი. პლატოვის სახელობის სამხრეთ რუსეთის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. ნოვოჩერკასკი, რუსეთი

გამწმენდ ნაგებობებზე ჩამდინარე წყლების წმენდის პროცესის შედეგად გროვდება ნარჩენები, რომლის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა გამდინარე წყლების ლექი, რომლებიც სწორი მიდგომით შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მეორადი რესურსი. მასში ძვირფასი კომპონენტების (ბიოგენები და ორგანული ნივთიერებები) შემცველობა სოფლის მეურნეობაში სასუქებად გამოყენების საშუალებას იძლევა. კვლევებმა აგრეთვე აჩვენეს, რომ აქტიური ლექი შეიცავს ვიტამინ B12-ის მნიშვნელოვან რაოდენობას. ის არის ყველა ძირითადი ამონომჟავების (ცხოველების კვებისათვის აუცილებელი) წყარო, მეთიონინის გამოკლებით. ამავე დროს, აქტიურ ლექში არის ბევრი აზოტი, რომელიც შედის ცილის შემადგენლობაში, ვინაიდან პლასმასის ნაკეთობების გარკვეული ჯგუფი მზადდება ცილოვანი ნივთიერებებისგან, ეს ნარჩენი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც იაფი ნედლეული. ნარჩენების უტილიზაციის ეკოლოგიური მოთხოვნების გამკაცრებასთან

ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება არსებული მეთოდების დახვეწისა და ახალი გადაწყვეტილებების ძებნა გარემოზე ნაკლები ნეგატიური ზემოქმედებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ჩამდინარე წყლების ლექის უტილიზაცია, აქტიური ლექი, ორგანული სასუქი, ვიტამინი B12, ცილა, ნედლეული პლასტმასისათვის.

მშენებლობა

თანამედროვე მრავალსართულიანი აპარკასული შენობების მშენებლობისას მზიდ კედლებში აბურის წყლის დეჰუმტიზი

გ. სუბოტინი, ი. სუბოტინი

მ. ი. პლატოვის სახელობის სამხრეთ რუსეთის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. ნოვოჩერკასკი, რუსეთი

სტატიაში წარმოდგენილია იმ მიზეზების კვლევის შედეგები, რომლებიც განაპირობებენ გარე თვითმზიდ კედლებში აბურის წყლის დეჰუმტიზის მრავალსართულიანი საცხოვრებელი რკინაბეტონის მზიდკარკასიანი სახლებისათვის.

საკვანძო სიტყვები: თვითმზიდი კედლები, აბურის წყობა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური წიბოები, რკინაბეტონის კარკასი, გადახურვები, ნაპრალები, დეჰუმტიზი.

მშენებლობა

რისკის მართვა სამშენებლო კომპლექსში

ა. სუბოტინი ს. ჩუტჩენკო

მ. ი. პლატოვის სახელობის სამხრეთ რუსეთის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. ნოვოჩერკასკი, რუსეთი

სტატიაში წარმოდგენილია გეოტექნიკური მონიტორინგის კონცეფცია მშენებარე სარეკონსტრუქციო და არსებული შენობა-ნაგებობებისათვის, რომელიც მართავდა ყველა რისკებს, უზრუნველყოფდა მათ შენარჩუნებასა და უსაფრთხო ექსპლუატაციას.

საკვანძო სიტყვები: მშენებლობა, რე-

კონსტრუქცია, საპროექტო წინადადებები, გეოტექნიკური პროგნოზი, გეოტექნიკური მონიტორინგი, ინფორმაციული მოდელირება, სამშენებლო რისკები.

გარემოს დაცვა

საქართველოს ტერიტორიაზე თოვლის ზვავების შესწავლის საკითხები და თანამედროვე ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ნ. სუნიშვილი, თ. ოქრიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში წარმოდგენილია მთიან რეგიონებში თოვლის ზვავის მიერ გამოწვეული პრობლემები, განხილულია მსოფლიოში მისი საწინააღმდეგო თანამედროვე საინჟინრო გადაწყვეტილებები. მათ შორის, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში შემუშავებული ახალი ტიპის ზვავდამჭერი ნაგებობა, რომელიც ძირითადად გათვალისწინებულია ვიწრო და ღრმა ჩაჭრის მქონე მორფოლოგიის ხეობებში ფორმირებული ზვავების სიჩქარეებისა და გავრცელების ზონების შესამცირებლად.

საკვანძო სიტყვები: ზვავი, ზვავსაშიში უბნები, ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ზვავსაწინააღმდეგო ნაგებობა.

ჰიდროტექნიკა და მედიორაცია

ბმული ღვარცოფის მოძრაობის შეფხვების განმსაზღვრელი მახასიათებლები

ნ. უნდილაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

ბმული ღვარცოფის მოძრაობის პირობების შესწავლის საფუძველზე და მოძრაობის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის შედეგად მიღებულია ნაკადის მოძრაობის შეწყვეტის კანონზომიერების ამ-

სახველი საპროგნოზო დამოკიდებულება.

საკვანძო სიტყვები: ბმული ღვარცოფი, შინაგანი ხახუნის კუთხე, ნაკადი, სიჩქარე, ქანობი.

გარემოს დაცვა

შავი ზღვის საქართველოს მონაკვეთის სანაპირო ზოლის დაცვის მიზნით ტალღის ენერჯის შემარბივებელი მცურავი ჰიდროტექნიკური ნაგებობის შემუშავება და მისი ზღვაში ბანთავსების საკითხები

ა. ფრანგიშვილი, ზ. ციხელაშვილი, ნ. ჩხეიძე, პ. გორგაძე, ი. ქაღარია

საქართველოს საინჟინრო აკადემია
ქ. თბილისი, საქართველო

მოცემულია ახალი ტიპის მცურავი, ჰიდროტექნიკური, ზღვის ტალღის ენერჯის შემარბივებელი მოწყობილობა და მისი ლაბორატორიულ პირობებში გამოცდის შედეგები, რითაც დასტურდება მისი ეფექტურობა. აღწერილია წინასწარი მოცემულობები ტალღის ენერჯის შემარბივებელი მოწყობილობების ბმულების ზღვის სანაპირო ზოლში განთავსების შესახებ, რაც მოგვცემს საშუალებას დავიცვათ შავი ზღვის სანაპირო ზოლი შტორმული ტალღებით წარეცხვისაგან, ეს გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას, მათ შორის რეკრეაციულ ზონებში.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვა, მცურავი ჰიდროტექნიკური ნაგებობა, ტალღის ენერჯია.

გარემოს დაცვა

ბორჯომის ნახანძრავ მთის ფერდობებზე მიმდინარე ნიადაგის ეროზიული პროცესების სიმულაციური მოდელირება

გ. ჩახაია, ზ. ვარაზაშვილი, შ. ბოსიკაშვილი, გ. კიკუაშვილი, ი. ხუბულავა, თ. სუპატაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი,
ქ. თბილისი, საქართველო

ბორჯომის ხეობაში 2008 წელს გან-

ხორციელებული ეკოციდის ნეგატიური შედეგების ვიზუალიზაციის მიზნით, ბორჯომის ნახანძრალ მთის ფერდობზე მოწყობილ საკვლევი ინტეგრირებული პოლიგონის საკონტროლო უბანზე, სხვადასხვა ინტენსივობის ნალექების პირობებში, ფორმირებული ეროზიული პროცესების დინამიკის შესასწავლად განხორციელდა 32 საველეექსპერიმენტი, რომლის დროსაც იზომებოდა ნალვარეების პარამეტრები (საშუალო სიღრმე - ჰ, საშუალო სიგანე - ბ,).

აღნიშნული მონაცემების გამოყენების საფუძველზე განხორციელდა ნიადაგის ეროზიული პროცესების სიმულაციური მოდელირება, საიდანაც ჩანს, რომ ბორჯომის ნახანძრალ მთის ფერდობებზე, 16 თვის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაძლიერდა მოწყვლადი ფერდობის დახრამვითი პროცესები, რაც სასწრაფოდ საჭიროებს ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: ეროზია, ეკოციდი, მოწყვლადობა, სიმულაცია.

ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია
არალის ზღვის აუზის მდინარეების წყლის ხარისხის მართვა

ე. ჩემბარისოვი

უზბეკეთის სოფლის მეურნეობისა და წყლის რესურსების სამინისტროს რწვეისა და წყლის პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
ქ. ტაშკენტი, უზბეკეთი

შემოთავაზებულია არალის ზღვის აუზის სხვადასხვა რეგიონებში შესწავლილი ზედაპირული წყლის მოცულობები, ხარისხი და სარწყავი სისტემის ფარგლებში მათი გამოყენების ოპტიმალური ვარიანტები. დამუშავებულია მდინარის წყლის დაბინძურების ხარისხისა განსაზღვრისა და მდინარეებში კოლექტორულ-სადრენაჟო წყლების ჩადინების შემცირების მეთოდები, აგრეთვე ტერიტორიების ჰიდროეკოლოგიური დარაიონების პრინციპები. არალის ზღვის აუზის

ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება მოხდა სისტემური ანალიზის მეთოდის, მათემატიკური სტატისტიკისა და კარტოგრაფიის გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: მდინარეების წყლის ხარისხი, არალის ზღვის აუზი, წყლის დაბინძურების ინდექსი, ტერიტორიების ჰიდროლოგიური დარაიონება.

გარემოს დაცვა

საქართველოში სტიქიური გეოლოგიური კატასტროფების არსებული პრობლემები და მათ აღმოსაფხვრელად პირველი რიგის ბანსახორციელებადი სააღაპტაციო-პრევენციული ღონისძიებების მეთოდოლოგიური ძმელები

ე. წერეთელი, მ. გაფრინდაშვილი, ზ. კვარაცხელია, გ. გაფრინდაშვილი, ო. ქურციკიძე

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო
ქ. თბილისი, საქართველო

საქართველოში ქვეყნის მდგრადი განვითარების ტემპს მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს მისი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგენელების სინერგიზმი, რომლის უშუალო ანარეკლია სტიქიური გეოლოგიური მოვლენების ინტენსიური გააქტიურება და მასშტაბური განვითარება. პროცესების განვითარება-რეაქტივაციის მიზეზები მრავალსპექტრიანია, რომელთა შორის პროცესგანმსაზღვრელი ბაზისური დეტერმინანტული ფაქტორების გვერდით, გადამწყვეტ ადგილს იკავებენ დროსა და სივრცეში აქტიურად ცვალებადი სტოქასტიკური კლიმატურ-მეტეოროლოგიური პარამეტრების მანევრებლები, ადამიანის საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობის უკიდურესად მაღალი პრესინგი და მიწისძვრების გააქტიურება.

საქართველოში მაღალმთიანი ზონის გარდა თითქმის არ მოინახება ტერიტორია,

სადაც უარყოფითი გეოლოგიური მოვლენების წარმოქმნა არ იყოს დაკავშირებული ადამიანის საქმიანობასთან. გეოლოგიური სტიქიის რისკების შემცირების პოტენციალს არანაკლებ ართულებს სტიქიის საშიშროების შეცნობისადმი საზოგადოების მზადყოფნის უკმარისობა, რაც, პირველ ყოვლისა, გამოიხატება მის არასაკმარის ინფორმირებაში და კატასტროფების მართვითი მექანიზმის არასრულყოფილებაში.

ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რისკის შესაფასებლად და ადრეული გაფრთხილების ეფექტური სისტემის შესაქმნელად ეროვნულ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე აუცილებელია ვიცოდეთ: 1) სად რა სახისა და მასშტაბის გეოლოგიური სტიქიის წარმოქმნა-გააქტიურება არის მოსალოდნელი და რა საშიშროებას უქადის მოსახლეობას და ინფრასტრუქტურულ ობიექტებს; 2) გეოლოგიური სტიქიის საშიშროების მართვითი ღონისძიებები უნდა ეფუძნებოდეს სიტუაციის ისეთ შეფასებით კრიტერიუმებს, როგორც არის ტერიტორიის სტიქიური მოვლენების სახეობითი დაზიანებადობის ხარისხი და მათი წარმოქმნა-რეაქტივაციის მიზეზების განსაზღვრა, ასევე პირისპირ მყოფი ობიექტების საშიშროების რისკის შეფასება. ამ პრობლემების რეალიზაციისათვის აუცილებელია გვექონდეს პერმანენტულად წარმოებული რეგიონალური ხასიათის გეომონიტორინგული კვლევები მთელი ქვეყნის მასშტაბით გვექონდეს; 3) გეოლოგიური სტიქიის შეფასების კრიტერიუმები ცალკეული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით და შეფასებული სტიქიის საშიშროების რისკი და ელექტრონულ ვერსიაში დამუშავებული სპეციალური რუკები 1:50 000-1:10 000 მასშტაბში; 4) ორგანიზებული მეორე და მესამე დონის რეჟიმულ-სტაციონალური პოლიგონები განსაკუთრებულად რელევანტურ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებზე. 5) დამუშავდეს ცალკეული რეგიონებისა და

მუნიციპალიტეტების მიხედვით გეოლოგიური სტიქიური პროცესების განვითარების ტენდენციების ისტორიულ-სტატისტიკური მონაცემები იმ ფაქტორთა კონტექსტში, რომლებიც განაპირობებენ პროცესების წარმოქმნა-რეაქტივაციის პირობებს; 6) დამუშავდეს თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე დამუშავდეს საქართველოს ტერიტორიის მეწერულ-გრაფიკაციული პროცესების რუკა ელექტრონულ ფორმატში 1:200 000 მასშტაბში.

საკვანძო სიტყვები: გეოლოგიური სტიქიები, რისკის მართვა.

გარემოს დაცვა

ბორჯომის რაიონში სოფ. დაბასთან არსებული მდ. ნაღვარევის ხეობი ფორმირებული ღვარცოფის მიერ ტრანსპორტირებული მყარი ფრაქციების მოცულობის დადგენა ქვის ჩანართების კონფიგურაციის ბათვალისწინებით

ლ. წულუკიძე, ლ. მაისაია, ხ. კიკნაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში შეფასებულია ბორჯომის რაიონში სოფ. დაბასთან არსებულ მდ. ნაღვარევის ხეობის წყალშემკრებ აუზში მიმდინარე ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების დინამიკა. საველე-სარეკოგნოსცირებო მონაცემების კამერული დამუშავების შედეგად დადგენილია ღვარცოფული მასის მიერ ტრანსპორტირებული სხვადასხვა ფორმისა და დიამეტრის მქონე ქვების რაოდენობა, მოცულობა, გადაადგილების მანძილი და სიჩქარე. დადგენილია სხვადასხვა ფორმის ქვის მახასიათებელსა (E) და კალაპოტის ხახუნის კოეფიციენტს (f) შორის დამოკიდებულებები.

საკვანძო სიტყვები: ეროზია, ღვარცოფი, ეკოციდი.

ჰიდროტექნიკა და მელიორაცია

წყალთა მეურნეობა

საგემეტაციო პერიოდში მზის რადიაციისა და მასზე დამოკიდებული ფაქტორების კრიტიკიზმები „აჭამეთის თეთრის“ ჯიშის სიმინდის მოსავლის პრობრაშირებისათვის

ზედაპირული წყლების ბაწმენდის თანაწმელოვე კონცეფციის ანალიზი წყალწმელებ ნაბაოებებში

ე. ხეცურიანი ლ. ფესენკო

ო. ხარაიშვილი

მ. ი. პლატოვის სახელობის სამხრეთ რუსეთის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქ. თბილისი, საქართველო

ქ. ნოვოჩერკასკი, რუსეთი

მუხრანის მეტეოროლოგიურ სადგურში მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად ჩვენს მიერ დადგენილი იყო თანაფარდობა მზის ჯამურ რადიაციისა და აქტიური ტემპერატურების მზარდ ჯამებს შორის. კვლევის შედეგების მიხედვით ვეგეტაციურ პერიოდში მზის რადიაციის მანვენებლები მერყეობს შემდეგ საზღვრებში: აქტიური ტემპერატურების ჯამი 3245-3731 C. რადიაციული ბალანსი 46472 – 102651 კკალ/სმ². მზის აქტიური ფოტოსინთეზური რადიაცია (ფარ) 40200–46091 კკალ/სმ².

სტატიაში განხილულია იმ წყალშემკრები ნაგებობების მუშაობის საიმედოობის მანვენებლები, რომლებზეც არის დამოკიდებული ხარჯვისა და დონის მახასიათებლების უზრუნველყოფა წყალსადინარში, წყალშემკრებების ფარებში, რომლებიც შეიძლება დადგინდეს გათვლებით ან მარეგულირებელი ნაგებობების მშენებლობის გზით.

ეს მანვენებლები საკმარისად უზრუნველყოფენ პოტენციურად შესაძლო მაქსიმალური მოსავლის მიღებას არამარტო სიმინდის, არამედ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვისაც. უნდა აღინიშნოს რომ, ზოგიერთ წელიწადში აპრილი აღმოჩნდა არასაკმარისად თბილი, მაგრამ, სამაგიეროდ, ოქტომბრის მაღალმა ტემპერატურულმა რეჟიმმა უზრუნველყო ენერგეტიკული ბალანსის მუდმივობა მთელი ვეგეტაციური პერიოდისათვის.

საკვანძო სიტყვები: წყალშემკრები, უხვი ყვავილობა, ნატანი, მორფოლოგიური კვლევა, თევზდაცვა, ყინული, დაბალი წყლების ჰორიზონტი, წყალსაცავის დაშლამგა.

საკვანძო სიტყვები: კლიმატი, მზის რადიაცია, რადიაციული ბალანსი, ფოტოსინთეზი.

ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია

მდინარე დონის კალაოტური პროცესების კვლევის ანალიზი

ე. ხეცურიანი ლ. ფესენკო, თ. ხეცურიანი

მ. ი. პლატოვის სახელობის სამხრეთ რუსეთის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ქ. ნოვოჩერკასკი, რუსეთი

სტატია ეძღვნება მდინარე დონის მორფოლოგიური კვლევის შედეგებს ქალაქ როსტოვ-დონის წყალშემკრები ნაგებობების რაიონებში. ჩატარებულია ყინულოვანი მოვლენების, წყლის დონის რეჟიმის კვლევები, აგებულია ჰიდროგრაფები.

საკვანძო სიტყვები: წყალშემკრები, მორფოლოგიური კვლევები, თევზის დაცვა, გამფილტრავი წყალშემკრები, ნატანი, წყალსაცავის დაშლამგა.

ABSTRACTS

Hydraulic engineering and irrigation

DETERMINATION OF HEAD LOSS OF HYDROTRANSPORT WITH THE THICKENED PULP TAILS FOR ORE- DRESSING

V. Aleksandrov, S. Avksentyev

St. Petersburg State Mining Institute G.V.
Plekhanova
Saint Petersburg, Russia

Analytical determination of head loss in hydrotransport thickened pulp is a task more difficult in comparison with a similar task for the mixtures with the mass concentration of particulate matter less than 30%. Over the past 25-30 years, along with the development of empirical methods of calculation, it had accumulated a substantial body of information on the actual pressure drop. This allowed the experts to summarize the known methods and to develop a universal calculation method to determine the main parameters of hydraulic transport of mixtures with a relatively low solids content in volume pumped mixtures.

Key words: hydraulic transport of slurry, tailings, rheology, head loss, shear stress.

Environmental protection

MEASURES TO RECOVER OF SMALL RIVERS ECOSYSTEMS IN THE AZERBAIJAN

I. Agaev, B. Akhmedov, T. Zeynalov,
A. Muslumov

Scientific-Production Association of Hydraulic
Engineering and Land Reclamation of Azerbaijan
Baku, Azerbaijan

The presented article is devoted to the existing ecological conditions of small rivers and near by territories; the reasons of deleterious effect on them are determined; measures taken for the restoration of ecological conditions are presented in the article.

Key words: river, basin, riverbed, flow, torrent, construction, flora, fauna, ecosystem, erosion.

Construction

CONSTRUCTIVE SOLUTION OF LANDSLIDE CONTROL RETAINING WALL WITH GROUND ANCHORS

Sh. Bakanidze, N. Mskhiladze

Georgian Technical University
Tbilisi, Georgia

სტრუქტორი ნინო მსხილაძე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვების, მიმდინარე პროექტებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, არქიტექტორი ნიკოლოზ ზაზუნაშვილი და ეკლესიის მშენებელი გია ჭანიშვილი.

ადგილზე დათვალიერების შემდეგ დადგინდა, რომ ამჟამად აყვანილია ტაძრის კედლები 6,5 მ სიმაღლეზე, ფუნდამენტისა და კედლების მდგომარეობა შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ მონაცემებს და გამოითქვა მოსახრება – ტაძრის მშენებლობის პარალელურად მომზადდეს ტაძრის გარშემო კეთილმოწყობის სამუშაოების პროექტი, მათ შორის მწვანე არქიტექტურისა და საკომუნიკაციო ქსელის – ფილტრაციული წყლების არინების სამუშაოების ჩატარება და ჭების მოწყობა.



ფოტო 30. სამუშაო შეხვედრა ქ. თიანეთში
Photo 30. Business meeting in the city of Tianeti
Фото 30. Рабочая встреча в г.Тианети

- 2015 წლის 19 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში თბილისის 13 ივნისის კატასტროფის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით შედგა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეცნ. ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ირაკლი ჟორდანიას. სხდომას ესწრებოდნენ დარგის ცნობილი სპეციალისტები: აკად. ო. ნათიშვილი, გ. ურუშაძე, ვ. ნონიევი, ც. მირცხულავა (უმცროსი), გ. გავარდაშვილი, ბ. უკლება, გ. ბათიაშვილი, ი. მასხარაშვილი, ჭ. ჯანელიძე, მ. გაფრინდაშვილი და სხვ.

გ. გავარდაშვილმა მოხსენებისას სხდომას გააცნო ინსტიტუტის სამეცნიერო შედეგები და სთხოვა სხდომას აკადემიამ მხარი დაუჭიროს მთავრობაში მდ. ვერეს რეგულირებისათვის ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში მსხვილმასშტაბიანი მოდელირების განხორციელებაში, რასაც აკადემიკოსმა და ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერებმა ო. ნათიშვილმაც დაუჭირა მხარი.

- 2015 წლის 19 ივნისს 13 ივნისს მდ. ვე-

რეს ხეობაში ფორმირებული კატასტროფის პრევენციული ღონისძიებების შემუშავების მიზნით პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გამართა მდ. ვერეს ხეობის დაგეგმარების უწყებათაშორისი სახელმწიფო კომისიის I სხდომა. მან სხდომას გააცნო კომისიის წევრები, მათ შორის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი. სხდომის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა ქ. თბილისის მერი ბატონი დავით ნარმანიას. სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ სახელმწიფო კომისიის წევრები.

გ. გავარდაშვილმა სხდომას გააცნო ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ მდ. ვერეს კალაპოტში განხორციელებული საველე-სამეცნიერო კვლევის შედეგები და მდ. ვერეს კალაპოტის რეგულირების მიზნით მან წარუდგინა ვერეს კალაპოტის კომპლექსური რეგულირების წინადადება. მან აღნიშნა, რომ ხვალ, 20 ივნისს, ღამით იგი მიემგზავრება იაპონიაში დვარცოფების მე-6 მსოფლიო კონფერენციაზე და კონფერენციას გააცნობს ინსტიტუტის მიერ განხორციე-

ლებულ სამეცნიერო კვლევის შედეგებს, გარემოსდამცავ ახალ კონსტრუქციებს, წყალდიდობების და ეროზიულ-დვარცოფული პროცესების რეგულირების პრევენციულ და კაპიტალურ ღონისძიებებს.

პრემიერმა დაავალა პროფ. გივი გავარდაშვილს იაპონიიდან დაბრუნების შემდგომ სახელმწიფო კომისიას გააცნოს მსოფლიოს მეცნიერ-სპეციალისტების აზრი მდ. ვერეს კალაპოტის დარეგულირების შესახებ.

გ. გავარდაშვილმა შესთავაზა სახელმწიფო კომისიას მდ. ვერეს კალაპოტის ეფექტური რეგულირებისათვის ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში მსხვილმასშტაბიანი მოდელირების განხორციელება.

- 2015 წლის 20 ივნისს ქ. თბილისის მერიაში შედგა მდ. ვერეს ხეობის დაგეგმარების სახელმწიფო კომისიის მორიგი სხდომა. სხდომა გახსნა სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დავით ნარმანიამ. სხდომაზე 2015 წლის

13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო, აგრეთვე, მდ. ვერეს ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით შექმნილმა უწყებათაშორისმა კომისიამ ვერეს ხეობის განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი პერსპექტივები განიხილა.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ სახელმწიფო კომისიის წევრები, მათ შორის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი.

თბილისის მერმა და მთავრობის წევრებმა სპეციალისტებთან ერთად იმსჯელეს ვერეს ხეობის უსაფრთხოებისა და თამარაშვილის ქუჩისა და გმირთა მოედნის დამაკავშირებელი გზის შესაძლო აღდგენის შესახებ. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ექსპერტები საკითხზე დეტალურ წინადადებებს მომდევნო კვირაში წერილობით წარმოადგენენ. განისაზღვრა მომავალი უსაფრთხოების ღონისძიებებიც.



ფოტო 31. შეხვედრა თბილისის მერთან დ. ნარმანიასთან

Photo 31. A meeting with Tbilisi Mayor D. Narmania
 Фото 31. Встреча с мером г.Тбилиси с Д. Нармания

- 2015 წლის 25 ივნისს თბილისის მერიაში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო და მდინარე ვერეს ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესწავლისა და შემ-

დგომი აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც სახელმწიფო კომისიის წევრის, ინსტიტუტის დირექტო-

რის, ტექნ. მეცნ. დოქტორის, პროფ. გივი გავარდაშვილის იაპონიაში მივლინებასთან დაკავშირებით, მისი წარდგინებით ესწრებოდნენ ინსტიტუტის გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ტექნ. აკად. დოქტორი გოგა ჩახაია და ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების

ხელმძღვანელი, გეოგრ. აკად. დოქტორი რობერტ დიაკონიძე და ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნ. აკად. დოქტორი ლევან წულუკიძე.

სხდომაზე ექსპერტებმა თბილისის მერს ვერეს ხეობის განვითარების შესახებ კონკრეტული წინადადებები წარუდგინეს.



ფოტო 32. თბილისის მერთან დ. ნარმანიასთან შეხვედრისას
 Photo 32. A meeting with Tbilisi Mayor D. Narmania
 Фото 32. Встреча с мэром г.Тбилиси с Д. Нармания

- ◆ 2015 წლის 27 ივნისს თბილისის მერიაში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო და მდინარე ვერეს ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომაზე სპეციალისტებმა თბილისის მერთან და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად

ვერეს ხეობის განვითარების შესახებ კონკრეტული წინადადებები და მოსახურებები განიხილეს და ჯგუფის სამივე შეხვედრა შეაჯამეს. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა, ასოცირებულმა პროფესორებმა: გოგა ჩახაიამ, რობერტ დიაკონიძემ და ლევან წულუკიძემ ქ. თბილისის მერიაში გააკეთეს პრეზენტაცია მდ. ვერეს კალაპოტის რეგულირების ღონისძიებების შესახებ.



ფოტო 33-34. სამუშაო შეხვედრისას
 Photo 33-34. At the business meeting
 Фото 33-34. Во время рабочей встречи

სახელმწიფო

- 2015 წლის 16 სექტემბერს მდ. თერგის აუზში მდ. ყაბახზე დეველოპმენტის მენეჯერ-ზე ერთობლივი საველე-საექსპედიციო კვლევების გაგრძელების მიზნით ინსტიტუტში სტუმრად იმყოფებოდნენ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი, ტექნი-

კის მეცნიერებათა კანდიდატი სერგეი ჩერნომორეცი და ამავე ფაკულტეტის დოქტორანტი ელენე სავერნიუკი. ინსტიტუტის დირექტორთან, პროფ. გივი გავარდაშვილთან საუბრისას შეთანხმდნენ 2016 წელს დეველოპმენტის მენეჯერ-ზე განხორციელებულ საველე-ექსპედიციური კვლევების ჩატარების გრაფიკზე.



ფოტო 35. შეხვედრისას. მარცხნიდან: დოქტორანტი ე. სავერნიუკი, დოცენტი ს. ჩერნომორეცი და პროფ. გ. გავარდაშვილი

Photo 35. At the meeting. From left to right: Doctoral student E. Saverniuk, assistant professor S. Chernomorets and Prof. G. Gavardashvili

ფოტო 35. Во время встречи.

Слева: докторант Е. Савернюк, доцент С. Черноморец и проф. Г.Гавардашвили

- 2015 წლის 26 ოქტომბერს ქ. თბილისში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (ათეა) ოფისში შედგა ინსტიტუტის დირექტორ, პროფესორ გ. გავარდაშვილის შეხვედრა ევროკავშირის პროექტის კოორდინატორ მილან ოლერინისა (ქ. პრავდა, ჩეხეთის რესპუბლიკა) და პროექტის აღმასრულებელ დირექტორ ქონ ლუდმილა გაჯდოსოვასთან (ქ. ბრატისლავა, სლოვაკეთის რესპუბლიკა).

საუბარი შეეხო ევროპროექტში ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების ჩართულობას წყალმომარაგების, კანა-

ლიზაციისა და გარემოს დაცვის მიმართულებით.

პროფ. გ. გავარდაშვილმა თავის მხრივ სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ პროექტებზე, ხოლო დოქტორმა მილან ოლერინმა პრეზენტაციის სახით პროფ. გ. გავარდაშვილს გააცნო პროექტის ძირითადი მიმართულებები და სამუშაოს დაფინანსების წყაროები ევრობანკის, მსოფლიო ბანკისა და აზიის ბანკის მეშვეობით. შეთანხმდნენ მომავალ თანამშრომლობაზე ევროკავშირის ფარგლებში.



სურ. 36. სამუშაო შეხვედრისას. მარცხნიდან: დოქტ. მ. ოლერინი, ქნი ლ. გაჯდოსოვა და პროფ. გ. გავარდაშვილი

Photo 36. At the business meeting. From left to right: Dr. M. Olerin, Ms. L. Gajdosova and Prof. Gavardashvili

Фото 36. Во время рабочей встречи.

Слева: доктор М.Олерин, г-жа Л.Гаджосова и проф.Г.Гавардашвили

- 2015 წლის 10 დეკემბერს თბილისში, GeoGraphic-ის ოფისში პროექტის “საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების ზომების შერბილების ინსტიტუციონალიზმი” ფარგლებში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ აშშ-ს “USAID”-ის ორგანიზაციის წარმომადგენლები: მაიკლ კავასი – ევროპისა და ევრაზიის საელჩოების განყოფილების ხელმძღვანელი, ვერონიკა ლიი – დირექტორის მოადგილე (აშშ-ს ეკონომიკური ზრდისა და ენერჯეტიკის სამინისტრო) და ნიკა ოკრეშიძე – პროგრამის მენეჯერი (აშშ-ს ეკონომიკური ზრდისა და ენერჯეტიკის სამინისტრო); საქართველოდან, ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის წარმო-

მადგენლები: ნინა შატბერაშვილი – პროექტის დირექტორი, მაკა წერეთელი – პროექტის საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი, არიელა შაპირო – უფროსი ტექნიკური მრჩეველი და ნანა ციკვაძე – პროგრამის ასისტენტი; აგრეთვე, ექსპერტთა ჯგუფი: გივი გავარდაშვილი – სოფლის მეურნეობის დარგში, მერაბ გაფრინდაშვილი – სტიქიების დარგში, ინა ვახიბერიძე – ჯანმრთელობის დარგში, ნატალია შათირიშვილი – ენერჯეტიკის დარგში, ნინო კვერნაძე – მრეწველობის დარგში, გოგი ხომერიკი – ტურიზმის დარგში, მამუკა ხურციძე – GIS-ის კომპანიის წარმომადგენელი და ნატო კუტალაძე – კლიმატის ცვლილების დარგში.



ფოტო 37. სამუშაო შეხვედრაზე

Photo 37. At the business meeting

Фото 37. Во время рабочей встречи

სამართაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა

საქართველო

- 2015 წლის 18-19 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ორგანიზებით გაიმართა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია. კონფერენციის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სექციას ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნ. აკად. დოქტორი თამრიკო სუპატაშვილი.

რენციის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სექციას ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნ. აკად. დოქტორი თამრიკო სუპატაშვილი.



ფოტო 38. თ. სუპატაშვილი სექციის ხელმძღვანელობისას
 Photo 38. T. Supatashvili – managing the section
 Фото 38. Т.Супаташвили – руководитель секции

- ◆ 2015 წლის 16-19 ივლისს სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მცირე საკონფერენციო დარბაზში ჩაატარა მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია თემაზე: „წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“.

რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ც. მირცხულავას 95 წლისთავს. კონფერენციაში მონაწილეობდა მსოფლიოს 9 ქვეყნის (აზერბაიჯანი, აშშ, ბელარუსია, ისრაელი, ლიტვა, პოლონეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი) მეცნიერები, ექსპერტები და ახალგაზრდა სპეციალისტები. გამოიცა 346-გვერდიანი კონფერენციის შრომათა კრებული (250 ეგზ.).



ფოტო 39. კონფერენციის მსვლელობისას

Photo 39. During the Conference

Фото 39. Во время конференции

კონფერენცია გახსნა სტუ-ს რექტორის მოადგილემ მეცნიერების დარგში, ტექნ. მეცნ. დოქტორმა, პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა, რომელმაც გაიხსენა აკადემიკოსი ც. მირცხულავა – როგორც მნიშვნელოვანი პიროვნება და მეცნიერი და ინსტიტუტის მიმართ მისი ღვაწლი, აღნიშნა ინსტიტუტის მნიშვნელოვანი როლი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების საკითხებსა და რეგიონის სამეცნიერო სივრცეში და უსურვა შემდგომი აქტიური სამეცნიერო-პრაქტიკული, საექსპერტო და საგანმანათლებლო

ლო საქმიანობა. შემდეგ მან სიტყვა გადასცა ინსტიტუტის დირექტორს, ტექნ. მეცნ. დოქტორს, პროფ. გივი გავარდაშვილს, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიხსენა აკადემიკოსი ც. მირცხულავას წვლილი ინსტიტუტის საერთაშორისო ავტორიტეტის შექმნის საკითხში, მიმოიხილა წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მიერ განვლილი 86 წლის სამეცნიერო-ტექნიკური და საექსპერტო მოღვაწეობა, ყურადღება გაამახვილა ინსტიტუტის სამეცნიერო მიმართულებებსა და საგანმანათლებლო საქმიანობაზე.



ფოტო 40. კონფერენციის გახსნისას. მარჯვნიდან - პროფესორები: ზ. გასიტაშვილი, გ. გავარდაშვილი, ფ. იმანოვი და ასისტ. პროფ. ი. ირემაშვილი (16.07.2015)

Photos 40. At opening the Conference. From right to left: Professors Z. Gasitashvili, G. Gavardashvili, F. Imanov and Assistant Professor I. Iremashvili (16.7.2015)

Фото 40. Во время открытия конференции. Справа – профессора: З.Гаситашвили, Г.Гавардашвили, Фарда Иманов и ассист. проф. И.Иремашвили (16.07.2015)



ფოტო 41. მოხსენებისას
Photo 41. Delivering a speech
Фото 41. Во время доклада



ფოტო 42. აკადემიკოს ც. მირცხულავას ვაჟიშვილი, შპს “ტრანსელექტრიკას” აღმასრულებელი დირექტორი, პროფ. დავით მირცხულავა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას

Photo 42. Academician Ts. Mirtskhulava's son David Mirtskhulava - Executive Director of "Transelectrica" during his speech at the Conference

Фото 42 . Сын академика Ц.Мирицхулава проф. Д.Мирицхулава - исполнительный директор ООО «Трансэлектрика», во время выступления

მისასალმებელი სიტყვით აგრეთვე გამოვიდნენ: სომხეთის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ოპანეს ტოკმაჯიანი (ქ. ერევანი, სომხეთი), ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი, გეოგრ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ფარდა იმანოვი (აზერბაიჯანი), მეშხერის სამეცნიერო

ტექნიკური ცენტრის დირექტორი, სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტ., პროფ. იური მაჟაისკი (ქ. რიაზანი, რუსეთი), ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, სს “ჰიდროპროექტის ინსტიტუტის” ყოფილი დირექტორი ანზორ ჭითანავა, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ჰიდროტექნიკოსი ვლადიმერ ჟაფარიძე და სხვები.



ფოტო 43. კონფერენციის პრეზიდიუმში. მარჯვნიდან – პროფესორები: ო. ტოკმაჯიანი (ქ. ერევანი, სომხეთი), ა. სოკოლოვა (ქ. როსტოვი, რუსეთი), გ. გავარდაშვილი (ქ. თბილისი, საქართველო) და ი. მაჟაისკი (ქ. რიაზანი, რუსეთი)

Photo 43. On the Conference panel. From right to left: Professors H. Tokmajyan (Yerevan, Armenia), A. Sokolova (Rostov-on-Don, Russia), G. Gavardashvili (Georgia) and Yu. Mazhaiskiy (Ryazan, Russia)

Фото 43. В президиуме конференции.

Справа – профессоры: О. Токмаджян (г.Ереван, Армения), А. Соколова (г.Ростов-на-Дону, Россия), Г. Гавардашвили (Грузия) и Ю. Мажайский (г.Рязань, Россия)

2015 წლის 19 ივლისს კონფერენციის დახურვამდე ჩატარდა საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება,

რომ მორიგი VI საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდეს 2016 წლის სექტემბერში, ქ. თელავში.



ფოტო 44. კონფერენციის მონაწილეები

Photo 44. Conference participants

Фото 44. Участники конференции

- 2015 წლის 5 სექტემბერს თბილისის იე. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა I სანდიეგო (აშშ) – საქართველოს კონფერენცია თემაზე “ნანოტექნოლოგიები და გარემოს მეცნიერებები”. ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნ. მეცნ. დოქტორმა, პროფ. გივი გავარდაშვილმა თანაავტორებთან: მეცნ-თანამშრომლებთან – გ. ჩახაიას, ლ. წულუკიძეს, ე. კუხალაშვილის, რ. დიაკო-


ნიძესა და ზ. ვარაზაშვილთან ერთად წარადგინა პოსტერ-პრეზენტაცია თემაზე “2015 წლის 13 ივნისის ბუნებრივი კატასტროფა თბილისში, სტიქიის ანალიზი და მისი საწინააღმდეგო ეფექტური ღონისძიებები მდ. ვერეს კალაპოტის რეგულირების გზით” (June 13-14, 2015, natural disasters in Tbilisi, analysis and disaster effective measures to regulate the river Vere bed).



ფოტო 45. კონფერენციის მსვლელობისას

Photo 45. At the Conference

Фото 45. Во время конференции



ფოტო 46. კონფერენციის პოსტერ-პრეზენტაციისას

Photo 46. During the Conference poster-presentation

Фото 46. Во время постер-презентации

საზღვარგარეთ

- 2015 წლის 19-24 მაისს ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტ., პროფ. გივი გავარდაშვილი იმყოფებოდა მივლინებაში ქ. ტალინში ესტონეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწვევით საერთაშორისო სემინარზე, რომელიც მიეძღვნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დრენაჟის სისტემებს, მათ ექსპლუატაციასა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას.

სემინარზე 22 მაისს გამოვიდა მოხსენებით თემაზე “სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის კვლევა”.

საერთაშორისო სემინარის მსვლელობის პროცესში შეხვედრები ჰქონდა ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და ფინეთის წარმომადგენლებთან. პირველი შეხვედრა სამეცნიერო წრის წარმომადგენელთან გაიმართა ალექსანდრას სტელგანსკის სახელობის უნივერსიტეტში წყლისა და ნიადაგების რესურსების მართვის ფაკულტეტის დეკანთან პროფ., დოქტორ ალვის კვარაციუსთან, აგრეთვე ესტონეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ სპეციალისტთან, ბონ მარტი ტონისმაერთან, ლიტვის მელიორაციის ასოციაციის პრეზიდენტ, დოქტორ კაზის სივიცკისისთან, ლატვიის მელიორაციული სისტემების პიდროტექნიკურ ნაგებობათა და საინჟინრო კონსტრუქციების საპროექტო სახელმწიფო სააგენტოს დირექტორთან, ბონ სტეფა-

ნას ვასკალისთან, ლატვიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწის რესურსების პრივატიზაციის თავმჯდომარესთან, ბონ რობერტს დილბასთან, ამავე სამინისტროს სადრენაჟო განყოფილების უფროს სტანისლავ სკესტერსთან მელიორაციული სახელმწიფო მმართველობის თავმჯდომარესთან, ბონ რომუალდს დოვგიალოსთან, ასევე ფინეთის მეცნიერ-სპეციალისტებთან.

საუბარი შეეხო სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის თანამშრომლობას ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებთან საერთაშორისო პროექტის ევროკავშირის ერთობლივი გრანტის შემუშავებასა და განხორციელებას სამეცნიერო კონსორციუმის შექმნის მიზნით “ჰორიზონტი 2020” პროექტის ფარგლებში. პროექტში სამხრეთ კავკასიიდან მონაწილეობას მიიღებს საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. პროექტის თანადირექტორი იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, ხოლო ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან იქნებიან ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა: ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და ასევე, ფინეთი. პროექტის დირექტორი იქნება ალექსანდრას სტელგანსკის სახელობის უნივერსიტეტის დირექტორი.



ფოტო 47. საერთაშორისო სემინარზე მოხსენებისას

Photo 47. Presentation at the International seminar

Фото 47. Выступление на международном семинаре



ფოტო 48. საერთაშორისო სემინარის მსვლელობისას
Photo 48. During the International Seminar
Фото 48 . Международный семинар

• 2015 წლის 20 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი მივლინებით იმყოფებოდა იაპონიაში, ქ. ცუკუბაში ღვარცოფების მსოფლიო მე-6 კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად. კონფერენციის თემას წარმოადგენდა - „ღვარცოფების დინამიკა, მექანიკა და მიყენებული ზარალის შემცირება“. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ღვარცოფმცოდნეობის პრობლემებზე მომუშავე ცნობილი მეცნიერები მსოფლიოს 25-მდე ქვეყნიდან (აშშ, იაპონია, გერმანია, იტალია, ინგლისი, საქართველო, ავსტრია, საფრანგეთი, შვეიცარია, ჩინეთი, ტაივანი, ესპანეთი, ახალი ზელანდია, ჩილე, ბრაზილია, პორტუგალია, ფილიპინები, მალაიზია, კორეა, მექსიკა და სხვ.). კონფერენციაში ასევე მონაწილეობდა ღვარცოფების მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი ტიმოთი დევისი.

კონფერენციაზე ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გ. გავარდაშვილი წარდგა სამი მოხსენებით: 1. კონფერენციის თემატიკის მიხედვით მოხსენება სათაუ-

რით - „ღვარცოფების ფრონტის ფორმების დადგენა თეორიული და ლაბორატორიული კვლევების გათვალისწინებით“, 2) 2014 წლის 13 ივნისს ქ. თბილისში მდინარე ვერეს კალაპოტში ფორმირებული ღვარცოფის გამომწვევი მიზეზები და მისი შეფასება; 3) საქართველოში ღვარცოფმცოდნეობის მეცნიერული კვლევის ისტორია და სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის როლი ყოფილ საბჭოთა სივრცეში ღვარცოფების მეცნიერული შესწავლისა და მისი რეგულირების საქმეში.

2015 წლის 21-26 ივნისს ცუკუბას უნივერსიტეტის საერთაშორისო კონგრესის ცენტრში კონფერენციის მსვლელობისას და შესვენებებზე გაიმართა შეხვედრები ღვარცოფმცოდნეობის მსოფლიოში ცნობილ მკვლევართან: იაპონიიდან - კიოტოს უნივერსიტეტის ბუნებრივი კატასტროფების კვლევის ინსტიტუტის საპატიო დირექტორთან, პროფ. ტამაცუ ტაკაჰაშთან, ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების მეცნიერული კვლევის, დაპროექტებისა და მშენებლობის საერთაშორისო ასოციაცია


„SABO” -ს პრეზიდენტი, პროფ. ჰიდელტომი
ოის, პროფ. ჰიროში სუვას, პროფ. დი-
ტერ რიკენმანს (შვეიცარია), პროფ. მარ-
სელ ჰურლიმანს (ესპანეთი), პროფ. ტი-
მთი დევისსა (ახალი ზელანდია) და
სხვებთან, რომლებთანაც განხილულ
იქნა მდ. ვერეს ღვარცოფი და მისი რე-
გულირების ღონისძიებები,

მიმდინარე წლის 13 ივნისს ქ. თბი-
ლისში მდ. ვერეს კალაპოტში ფორმი-
რებული ღვარცოფისა და სტიქიის მიერ


მიყენებული ზარალის შესახებ მოხსენე-
ბის შემდეგ მე-6 ღვარცოფების საერთა-
შორისო კონფერენციის საორგანიზა-
ციო კომიტეტის მიერ პროფესიული ექ-
სკურსიის პროგრამაში შეტანილ იქნა
ცვლილება და მდ. ვერეს ანალოგიური
კატასტროფის რეგულირების ღონისძიე-
ბების გასაცნობად ექსკურსია განხორ-
ციელდა ქ. ნიკოში. აქაც, მდინარის კა-
ლაპოტში ჩამოწვა მძლავრი მეწყერი,
შემდეგ ფორმირებულ იქნა ღვარცოფი.



ფოტო 49. კონფერენციის მსვლელობისას
Photo 49. At the Conference
Фото 49. Во время конференции




ფოტო 50. პირველი პოსტერ-პრეზენტაციისას
Photo 50. During the first poster-presentation
Фото 50. Во время первой постер-презентации



ფოტო 51. მეორე პოსტერ-პრეზენტაციისას.
მარცხნივ - პროფ. მარსელ ჰურლიმანი (ესპანეთი)

Photo 51. During the second poster-presentation. from left to right: prof. Marcel Hurliman (Spain)
Фото 51. Во время второй постер-презентации
Слева – проф. Марсель Гурлиман (Испания)




ფოტო 52. პოსტერ-პრეზენტაციისას.

მარცხნივ - კიოტოს უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ჰიროში სუვა

Photo 52. During the poster-presentation. From left to right: professor of Kyoto University,
Dr. Hiroshi Suva

Фото 52. Во время постер-презентации.

Слева – Профессор Киотского университета, доктор Хироши Сува



ფოტო 53. პოსტერ-პრეზენტაციისას მარცხნივ - კიოტოს უნივერსიტეტის ბუნების სტიქიური მოვლენების შემსწავლელი ინსტიტუტის საპატიო დირექტორი, პროფესორი ტამაცუ ტაკაჰაში

Photo 53. During the poster-presentation. From left to right: Honorable Director of the Institute for Studying the Natural Calamities of Kyoto University, prof. Tamatsu Takahashi

Фото 53. Во время постер-презентации

Слева - Почетный директор научно-исследовательского института природных катастроф Киотского университета, проф. Тамасу Такахаш



ფოტო 54. თბილისის 2015 წლის 13 ივნისის კატასტროფის განხილვისას მარცხნივ - საერთაშორისო ასოციაცია „SABO“-ს პრეზიდენტი, პროფესორი ჰიდეტომო იო

Photo 54. During the discussion of catastrophe of June 13, 2015 in Tbilisi. from left to right: president of International Association SABO, prof. Hidetomy Oi (Tokyo, Japan)

Фото 54. Во время обсуждения Тбилисской катастрофы 13 июня 2015 года.

Слева - президент международной ассоциации «SABO», проф. Гидетом Ои (Токио, Япония)



ფოტო 55. მესამე (ინსტიტუტის შესახებ) პრეზენტაციისას ცუკუბას უნივერსიტეტში
Photo 55. During the presentation about the Institute. Tsukuba University
Фото 55. Во время третьей презентации об институте.
Университет Цукуба



ფოტო 56. მდ. ინანის დარეგულირებული კალაპოტი ღვარცოფსაწინააღმდეგო ბარაჟებით. მარცხნივ - პროფესორები: პაულ სანტი (აშშ), რიჩარდ ივერსონი (აშშ), ჯონ მეიჯორი - მსოფლიო ღვარცოფების ასოციაციის პრეზიდენტი (აშშ) და პროფ. გივი გავარდაშვილი (საქართველო)

Photo 56. The river Inani regulated bed with anti-mudflow barges. From left to right: professors Paul Santi (USA) and Richard Iverson (USA), president of the World Torrent Association John Major (USA) and prof. Givi Gavardashvili (Georgia)

Фото 56. Противоселевые баражи на Р. Инани

Слева – профессора: Паул Сант (США), Ричард Ивнсон (США), Джон Мейджор – президент всемирной ассоциации селей (США) и проф. Гиви Гавардашвили (Грузия)



ფოტო 57. კონფერენციის მონაწილეებთან ერთად
Photo 57. Together with the Conference participants
Фото 57. Вместе с участниками конференции

- 2015 წლის 27-28 აგვისტოს ქ. ტვერში (რუსეთი) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიწების მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზატორობით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე “მელიორაციული მიწების გამოყენება – მელიორაციული მიწათმოქმედების თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები”. კონფერენციაზე წარდგენილ იქნა 2 მოხსენება: “სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის კვლევა” – ავტორები: ტექნ. მეცნ. დოქტ. პროფ. გ. გავარდაშვილი და დოქტორანტი მ. გუგუზია და “მელიორაციის თანამედროვე პრობლემები ტრანსსასაზღვრო მდ. მტკვრის წყლის რესურსების გამოყენების პირობებში” – ავტორები: ტექნ. მეცნ. დოქტ. პროფ. გ. გავარდაშვილი, ტექნ. მეცნ. დოქტ. ი. იორდანიშვილი, ეკონ. მეცნ. დოქტორი მ. ვართანოვი და დოქტორი ზ. შუბერი.
- 2015 წლის 22-23 სექტემბერს ქ. დელ-

ფტში (ნიდერლანდები) გაიმართა XVII საერთაშორისო კონფერენცია “ტრანსპორტი და სელიმენტაცია”. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნ. მეცნ. დოქტ. პროფ. გ. გავარდაშვილმა თემით “მთის მდინარეებზე კალაპოტის მოწყვლადი უბნების პროგნოზირება ნაკადის ტრანსპორტუნარიანობისა და საიმედოობის თეორიის გამოყენებით”.

- 2015 წლის 28-30 ოქტომბერს ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გ. გავარდაშვილი მივლინებით იმყოფებოდა ქ. პარიზში (საფრანგეთი) მსოფლიო მე-17 საერთაშორისო კონფერენციაზე „გარემოს მეცნიერებები და ინჟინერია“ რომელიც ჩატარდა სასტუმროში ჰოლიდეი ინ.
- 29 ოქტომბერს პროფ. გ. გავარდაშვილი მსოფლიო მე-17 კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა თემაზე „წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მიღწევები გარემოს მეცნიერებებსა და ინჟინერიაში“, ხოლო 30 ოქტომბერს კი ხელმძღვანე-

ლობდა კონფერენციის „გარემოს მეცნიერებები და ინჟინერიის“ ტექნიკურ სექციას.

კონფერენციის შესვენებებზე შეხვედრები ჰქონდა სერბეთის, საფრანგეთის,

აშშ-ს, ჩრდილო ირლანდიის, მონაკოსა და რუსეთის მეცნიერ-სპეციალისტებთან, სადაც საუბარი შეეხო მომავალ სამეცნიერო თანამშრომლობას.




ფოტო 58-59. კონფერენციაზე მოხსენებისას და სექციის ხელმძღვანელობისას
Photo 58-59. Delivering a speech at the Conference and managing the section
Фото 58-59. Во время доклада и руководства секции на конференции

- 2015 წელი 3-6 ნოემბერს საინჟ. მეცნ. აკად. დოქტორი, ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი მარინე შავლაყაძე გაემგზავ-

რა ლონდონში (დიდი ბრიტანეთი) – ტექნოლოგიისა და მეცნიერების საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.



ფოტო 60. კონფერენციის მონაწილეები (ქ. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი)
Photo 60. Conference participants (London, Great Britain)
Фото 60 . Участники конференции (г.Лондон, Великобритания)



ფოტო 61. კონფერენციაზე მოხსენებისას (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი)
Photo 61. Delivering a speech at the Conference (London, Great Britain)
Фото 61 . Во время доклада на конференции (г.Лондон, Великобритания)

- 2015 წლის 19-21 ნოემბერს ფლორენციაში (იტალია) გაიმართა საერთაშორისო VII კონფერენცია თემაზე “არქიტექტურა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები”, სადაც წარდგენილ იქნა მოხსენება თემაზე “ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფის ნაგებობაზე დინამიკური ზემოქმედების პროგნოზი” – ტექნ. მეცნ. დოქტ. პროფ. გ. გავარდაშვილისა და ტექნ. მეცნ. დოქტ. ედუარდ კუხალაშვილის ავტორობით.
- 2015 წლის 16 დეკემბერს ინსტიტუტის დირექტორმა, პროფ. გ. გავარდაშვილმა მიიღო მონაწილეობა ქ. სოფიაში სასტუმრო ბალკან-შერეტონში UNESCO-სა და ბულგარეთის ატლანტიკური ბლოკის - NATO-ს ეგიდით გაიმართულ საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე: ექსტრემიზმთან დაუნდობელი ბრძოლა – „განათლებისა და კულტურის უსაფრთხოებისათვის ახალი მიმართულებების დამუშავება“.



ფოტო 62-63. კონფერენციაზე
Photo 62-63. At the Conference
Фото 62-63. На конференции

კონფერენცია გახსნა UNESCO-ს გენერალურმა მდივანმა, ქ-ნ ირინა ბოკოვამ. სიტყვით გამოვიდნენ: ბულგარეთის ანტიკური ბლოკის - NATO-ს დირექტორი, დოქტორი სოლომონ პასსი, პოლონეთის პრეზიდენტი, ბ-ნი ალექსან-

დრე კვასნიჩი და გაეროში ამერიკის ყოფილი ელჩი (1997-1998 წლებში), ბ-ნი ბილ რიჩარდსონი. შესვენებისას შედგა შეხვედრა UNESCO-ს გენერალურ მდივან, ქ-ნ ირინა ბოკოვასთან.

სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობა

- ინსტიტუტი აქტიურადაა ჩართული სტუ-ს სასწავლო პროცესში. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის და სამშენებლო ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობენ: ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გ. გავარდაშვილი, დირექტორის მოადგილე, ასისტ. პროფ. ი. ირემაშვილი, მელიორაციული სისტემების დაპროექტებისა და ექსპერტიზის განყოფილების ხელმძღვანელი, ასოც. პროფ. შ. კუპრეიშვილი, ამავე განყოფილების უფრ. მეცნ-თანამშრომელი, ასოც. პროფ. მ. ვართანოვი, მელიორაციის განყოფილების უფრ. მეცნ-თანამშრომელი, ასოც. პროფ. ზ. ლობჯანიძე, ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების ხელმძღვანელი, ასოც. პროფ. რ. დიაკონიძე, გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ასოც. პროფ. გ. ჩახაია, ამავე განყოფილების უფრ. მეცნ-თანამშრომელი, ასოც. პროფ. ლ. წულუკიძე.

დოქტორანტებთან სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

- 2015 წლის სექტემბერში ინსტიტუტის თანამშრომლები: მთავარი სპეციალისტი ირმა ქუფარაშვილი და მეცნ-თანამშრომელი ირინა ხუბულავა ჩაირიცხნენ სტუ-ს დოქტორანტურაში აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე.

მაგისტრებთან სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

2015 წელს სამაგისტრო ნაშრომები დაიცვეს შემდეგმა სტუდენტებმა:

- ვალერიან მჭედლიძე

სამაგისტრო ნაშრომის თემა - „დაწვიმებით და წვეთური მორწყვის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების კვლევა და მათი შეფასება“.

მეცნიერ-ხელმძღვანელი - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი გივი გავარდაშვილი.

მინიჭება. №4 საკვალიფიკაციო კომისიის 29.06.2015წ. ოქმი №2 გადაწყვეტილებით მიენიჭა ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი სასოფლო-სამეურნეო პიდრომელიორაციის სპეციალიზაციაში.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება №3755/05. 21.12.2015წ.

- თამაზი კერესელიძე
სამაგისტრო ნაშრომის თემა - „ზედაპირული მორწყვის ზემოქმედების პროგნოზი სიბრტყით ეროზიაზე“.

მეცნიერ-ხელმძღვანელი - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მელიორაციის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი, სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ზურაბ ლობჯანიძე.

მინიჭება. №4 საკვალიფიკაციო კომისიის 29.06.2015წ. ოქმი №2 გადაწყვეტილებით მიენიჭა ინჟინერიის მაგისტრის

აკადემიური ხარისხი სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის სპეციალიზაციაში.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება №3564/05. 27.11.2015წ.

- 2015 წლის 26 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზატორებით ქ. თბილისში, სასტუმრო “პოლოში” ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი და ინსტი-

ტუტის უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნ. აკად. დოქტორი, პროფ. ზურაბ ლობჯანიძე. შეხვედრაზე განიხილებოდა მელიორატორ-ტექნიკოსის პროგრამა, რომელიც განკუთვნილი იქნება პროფესიული სასწავლებლის მესამე საფეხურის სტუდენტებისთვის.

- 13 ნოემბერს სტუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო პოპულარული ლექცია-სემინარები, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტ. პროფ. გ. გავარდაშვილი თემით “ცხაურის ტიპის ღვარცოფის მარეგულირებელი ნაგებობა”.



ფოტო 64-65. სემინარზე მოხსენებისას
 Photo 64-65. Delivering a speech at the seminar
 Фото 64-65 . Во время доклада на семинаре

პროფესიული სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობა

- 2015 წლიდან ინსტიტუტი აქტიურადაა ჩართული სტუ-ს დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიულ კოლეჯში 2015 წელს აკრედიტირებული პროგრამის - სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია (აგრომელიორაცია, ჰიდრომელიორაცია) მოსწავლეებთან პროფესიულ სწავლებაში (პროგრამის ხელმძღვანელები: ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი და მელიორაციის განყოფილების უფრ. მეცნ-თანამშრომე-

ლი, ტექნ. აკად. დოქტორი ზურაბ ლობჯანიძე). ლექციების წასაკითხად ეტაპობრივად იგზავნებიან ინსტიტუტის თანამშრომლები: ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი, ტექნ. აკად. დოქტორი, ზურაბ ლობჯანიძე, უფრ. სპეციალისტი ერეკლე კეჩოშვილი, უფრ. სპეციალისტი, სოფლ. მეურნ. აკად. დოქტორი ჯემალ კახაძე და აგროინჟ. აკად. დოქტორი მაია კიკაბიძე. 2014 წელს სასწავლო კურსი გაიარა 34-მა, აგრეთვე, 2015 წელსაც 34-მა მოსწავლემ.

დისერტაციის დაცვა

- 2015 წლის 30 ივნისს სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტზე ჩატარდა ინსტიტუტის გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლის, დოქტორანტ თამრიკო სუპატაშვილის დისერტაციის დაცვა თემა-

ზე “მდინარე დურუჯის ღვარცოღული კოლოიდური გამონატანის კვლევა ქინძმარაულის ყურძნის საფარგულების გაზრდის მიზნით” და მიენიჭა აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორის წოდება.



ფოტო 66. დისერტაციის დაცვისას
Photo 66. Defending the dissertation
Фото 66 . Во время защиты диссертации

ბამოფენეზში მონაწილეობა


- 2015 წლის 20 მაისს დიდუბის გამოფენის მე-13 პავილიონში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ჩატარდა გამოფენა “ქართული ინოვაციები და გამოგონებები ბიზნესისათვის”, რომელშიც მონაწილეობდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები: გ. გავარდაშვილი, ვ. სამხარაძე, ი. იორდანიშვილი და ლ. იტრიაშვილი, რომლებმაც მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატები.
- 2015 წლის 5 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის ინიციატივით ჩატარდა გამოფენა “ინოვაციური და მეცნიერებატევადი პროდუქციის ნიმუშები”, რომელშიც მონაწილე ინსტიტუტის თა-

ნამშრომლებმა: გ. გავარდაშვილმა, ვ. სამხარაძემ, ი. იორდანიშვილმა და ლ. იტრიაშვილმა მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატები.

- 2015 წლის 10-17 ნოემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით დაიწყო მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული, რომელიც 10 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა მეცნიერებისა და ინოვაციების გამოფენით, რომელიც ჩატარდა დიდუბის გამოფენის მე-13 პავილიონში. გამოფენაზე მონაწილეობდნენ ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გ. გავარდაშვილი, ზღვებისა და წყალსატევების განყოფილების ხელმძღვანელი, ტექნ. მეცნ. დოქტორი ირინა იორდანიშ-

ვილი და უფრ. მეცნ-თანამშრომლები, ტექნ. აკად. დოქტორები ვახტანგ სამხარაძე და ლევან იტრიაშვილი, რომლებმაც წარადგინეს თავისი პატენტით და-

მოწმებული გამოგონებები. ინსტიტუტიდან ასევე წარდგენილ იქნა მონოგრაფიები, შრომათა კრებულები და სხვა აქტივობები.



ფოტო 67-70. ინსტიტუტის გამოგონებები გამოფენაზე
 Photo. 67-70. Inventions of the institute, presented at the exhibition
 Фото 67-70 . Изобретения института, представленные на выставке

სტაჟირება საზღვარგარეთ

- 2015 წლის 7 იანვრიდან 7 ივნისამდე (6 თვის განმავლობაში) საინჟ. მეცნ. აკად. დოქტორი, ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი მარინე შავლაყაძე სტაჟირებით იმყოფებოდა პოლონეთში, ქალაქ ვროცლავში ვროცლავის გარემოს დაცვისა და სი-

ვროცლავის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტში თემაზე „საწარმოო ნარჩენებიდან მიღებული მანგანუმშემცველი მასალების გამოყენების შესაძლებლობის შესწავლა ქიმიურად მელიორირებული ნიადაგის მიღების მიზნით“.

ინსტიტუტის 2015 წლის გამარჯვებული ბრანტები

- 2015 წლის იანვარში საინჟ. მეცნ. აკად. დოქტორმა, ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა მარინე შავლაყაძემ გაიმარჯვა შოთა

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების საგრანტო კონკურსში.

- 2015 წლის 7 იანვრიდან 7 ივნისამდე საინჟ. მეცნ. აკად. დოქტორი, ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი მარინე შავლაყაძე არის პოლონეთში, ქ. ვროცლავის გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტის საგრანტო პროექტის “ნიადაგის ტიპების გავლენა პესტიციდების დეგრადაციაზე” შემსრულებელი.
- 2015 წელი 3-6 ნოემბერს საინჟ. მეცნ. აკად. დოქტორმა, ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა მარინე შავლაყაძემ გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების კონკურსში.

- 2015 წლის დეკემბერში საინჟ. მეცნ. აკად. დოქტორმა, ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა მარინე შავლაყაძემ გაიმარჯვა ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსში პროექტით “საწარმოო ნარჩენებიდან მიღებული მანგანუმშემცველი მასალების გამოყენების შესაძლებლობის კვლევა კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ნიადაგების ქიმიური მელიორაციის მიზნით”.

ინსტიტუტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

- 2015 წლის 14-20 დეკემბერს ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. გ. გავარდაშვილი საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარების მიზნით მივლინებით იმყოფებოდა ბულგარეთში, ქ. სოფიაში. მივლინების მიზანი იყო წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ბულგარეთის სახელმწიფო, სამეცნიერო და საპროექტო ფირმების ხელმძღვანელებთან შეხვედრა და შესაბამისი თანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადება.
2015 წლის 14 დეკემბერს სამეცნიერ-

ო-საპროექტო ფირმა „PROTE-22“-ის ოფისში გაიმართა ოფიციალური შეხვედრა ფირმის ხელმძღვანელობასა და მის თანამშრომლებთან. შეხვედრაზე ხელი მოეწერა ინსტიტუტსა და ფირმა „PROTE-22“-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას გარემოს დაცვისა და წყლის რესურსების რეგულირების დარგში ერთობლივი მეცნიერული კვლევების განხორციელების, საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციისა და საერთაშორისო საგრანტო პროექტების მომზადებაში.



ფოტო 71-72. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას
Photo 71-72. Signing the agreement of cooperation
Фото 71-72. Во время подписи договора о сотрудничестве

საექსპერტო საქმიანობა

- 2015 წლის 21 იანვარს - საექსპერტო დასკვნა პროექტზე “უბისა-ჰესის გზშ-ს ანგარიში“. ექსპერტი – ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშივილი.
- 2015 წლის 25 ივლისი - საექსპერტო დასკვნა პროექტზე “ბაკურიანის ხელოვნური გათოვლიანების მიზნით დაგეგმილი წყალსაცავების მშენებლობის გზშ-ს ანგარიში“. ექსპერტი – ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშივილი.
- 2015 წლის 25 ივლისი - საექსპერტო დასკვნა პროექტზე “გუდაურის ხელოვნური გათოვლიანების მიზნით დაგეგმილი წყალსაცავების მშენებლობის გზშ-ს ანგარიში“. ექსპერტი – ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშივილი.
- 2015 წლის 18 აგვისტო - საექსპერტო დასკვნა პროექტზე “მესტიის მუნიციპალიტეტში მდ. ლახამზე ჰესების კასკადის (ლახამ-1 ჰესი, დადგმული სიმძლავრით 6,4 მგვტ და ლახამ-2 ჰესი, დადგმული სიმძლავრით 9,5 მგვტ) მშენებლობის ექსპლუატაციის პროექტი. გზშ-ს ანგარიში“. ექსპერტი – ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშივილი.
- 2015 წლის 25 ნოემბრის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს №0-910 ბრძანების თანახმად “ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შეიქმნა სს „ნამახვანი“-ს მდ. რიონზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ, ნამახვანიჟონეთი ჰესი 333 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით ინსტიტუტის დირექტორის, ტექნ. მეცნ. დოქტ. პროფ. გ. გავარდაშივილის

თავმჯდომარეობით შეიქმნა საექსპერტო კომისია 11 წევრის შემადგენლობით, მათ შორის: ინსტიტუტის ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების ხელმძღვანელი, გეოგრ. აკად. დოქტ. რ. დიაკონიძე და მელიორაციული სისტემების დაპროექტებისა და ექსპერტიზის განყოფილების მეცნ-თანამშრომელი, სამთო ინჟინერ-ჰიდროგეოლოგი ზურაბ ვარაზაშვილი. კომისიას დაევალა საექსპერტო კომისიის წევრთა ცალკეული საექსპერტო დასკვნების შეჯერების საფუძველზე წარმოადგინონ საექსპერტო კომისიის დასკვნა.

• 2015 წლის 10 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილეს, ქნ მაია ბითაძესთან შედგა შეხვედრა სს „ნამახვანი“-ს მდ. რიონზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ, ნამახვანიჟონეთი ჰესი 333 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ჩატარებული ეკოლოგიური ექსპერტიზის შემამჯდომარე დასკვნის განხილვის მიზნით. შეხვედრაზე ინსტიტუტის დირექტორს, საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეს, ტექნ. მეცნ. დოქტ. პროფ. გ. გავარდაშივილს, გაუჩნდა რიგი შეკითხვები წყალსაცავის აკვატორიაში მეწყერული ტანების რისკსა და კარსტულ მოვლენებთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია წყალსაცავის მთის ფერდობების გრუნტის კირქვების შემადგენლობასთან. მან აღნიშნა: რათა არ განმეორდეს ვაიონტის (იტალია) კატასტროფის შემთხვევა, იქნებ გეოლოგებმა დამატებით წარმოადგინონ მეწყერული ტანებისა და მათი მოცულობების ჩამოცურების სიბრტყის ზედაპირის შესწავლის დამადასტურებელი მასალები ჭაბურღილებისა და შურფების მოწყობის გათვალისწინე

ბით. მინისტრის მოადგილემ მიიღო გადაწყვეტილება, განხილვა გადადებულ

იქნას 10 დღის ვადით აღნიშნული მასალის წარმოდგენამდე.



ფოტო 73. საექსპერტო კომისია
Photo 73. Expert Commission
Фото 73. Экспертная комиссия



ფოტო 74. სამუშაო შეხვედრაზე. ცენტრში – მინისტრის მოადგილე, ქ-ნი მაია ბითაძე
Photo 74. At the business meeting. In the center: Deputy Minister, Ms. Maia Bitadze
Фото 74. Во время рабочей встречи.
В центре – заместитель министра г-жа М.Битадзе

- 2015 წლის 23 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გაიმართა შეხვედრა მინისტრს ბატონ გიგლა აგულაშვილსა და სს „ნამახვანი“-ს მდ. რიონზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (ტვიში ჰესი 100 მგვტ, ნამახვანიჟონეთი ჰესი 333 მგვტ) მშენებლობის

სა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით საექსპერტო კომისიას შორის. მინისტრმა დაწვრილებით მოუსმინა საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეს, ინსტიტუტის დირექტორს, ტექნ. მეცნ. დოქტ. პროფ. გ. გავარდაშვილსა და ექსპერტებს. გაიმართა აზრთა გაცვლა შპს “გამა კონსალტინგს”, სს “ნა-

მახვანის” დირექციასა და ექსპერტებს შორის და მინისტრის გადაწყვეტილებით შეთანხმდნენ გაიცეს დადებითი დასკვნა სს „ნამახვანი“-ს მდ. რიონზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობაზე დასკვნაში მოყვანილი წინასწარი პირობების შესრულებით, რაც საექსპერტო კომისიის მიერ გათვალისწინებულ იქნა.

სახელმწიფო მნიშვნელობის მეთოდური რეკომენდაციები

- 2015 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აკადემიურ საბჭოზე მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

ოთარ ნათიშვილი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო „მეთოდური რეკომენდაციები ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების პროექტირებისათვის“ (ჰიდროავლიკური გაანგარიშებანი), რომელიც განთავსებულია 48 გვერდზე.



ფოტო 75. აკადემიკოს ოთარ ნათიშვილის პრეზენტაციისას
Photo 75. During the presentation with Academician Otar Natishvili
Фото 75. Академик О.Натишвили во время презентации

ინტერვიუები

- 2015 წლის 19 ივნისს პროფ. გ. გავარდაშვილმა 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი მდ. ვერეს კატასტროფის შესახებ ინტერვიუ მისცა: ტელეკომპანია „ობიექტივს“ - შუადღე ობიექტივში (13:00 სთ);
- 2015 წლის 19 ივნისს პროფ. გ. გავარდაშვილმა 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი მდ. ვერეს კატასტროფის შესახებ

- ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია „GDS“-ის საინფორმაციო გადაცემას (20:30 სთ);
- 2015 წლის 20 ივნისს პროფ. გ. გავარდაშვილმა მდ. ვერეს კატასტროფის შესახებ ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია „იმედს“ ქრონიკაში (11:00 სთ);
- 2015 წლის 20 ივნისს პროფ. გ. გავარდაშ-

ვილმა მდ. ვერეს კატასტროფის შესახებ

ინტერვიუ მისცა გაზეთ „რეზონანსს“.

მიღებული ჯილდოები და სერტიფიკატები

- 2015 წლის 20 მაისს დიდუბის გამოფენის მე-13 პავილიონში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ჩატარებულ გამოფენაზე “ქართული ინოვაციები და გამოგონებები ბიზნესისათ-

ვის”, მონაწილეობისათვის ინსტიტუტის თანამშრომლებმა: ვ. გავარდაშვილმა, ვ. სამხარაძემ, ი. იორდანიშვილმა და ლ. იტრიაშვილმა მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატები.



ფოტო 76
Photo 76
Фото 76

- 2015 წლის 5 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის ინიციატივით ჩატარებულ გამოფენაზე “ინოვაციური და

მეცნიერებატეკვადი პროდუქციის ნიმუშები” მონაწილე ინსტიტუტის თანამშრომლებმა: ვ. გავარდაშვილმა, ვ. სამხარაძემ, ი. იორდანიშვილმა და ლ. იტრიაშვილმა მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატები.



ფოტო 77
Photo 77
Foto 77

- 2015 წლის 15 ივლისს ინსტიტუტის დირექტორი, ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფ. გივი გავარდაშვილი არჩეულ იქნა ამე-

რიკის საერთაშორისო ორგანიზაციის ASCE – American society of civil engineers ასოცირებულ წევრად.



ფოტო 78
Photo 78
Foto 78

C H R O N I C L E
THE INFORMATION ABOUT THE ACTIVITIES OF THE
Ts. MIRTSKHULAVA WATER MANAGEMENT INSTITUTE
OF GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
2015

The Institute, which was established in 1929, currently employs 70 employees, among which 55% are scientists, including: 1 academician – the head of the Agricultural department of the Georgian National

Academy of Science, 4 – academicians of Engineering Academy and 4 – academicians of Academy of Ecology, 7 – Scientific Doctors and 26 – Academic Doctors, 2 – PhD students and 1 – Masters.

SCIENTIFIC-RESEARCH ACTIVITIES
OF THE INSTITUTE

◆ In 2015 approximately 60 Scientific Articles were published in the periodical publications by the scientists of the institute, and 1 monograph – abroad;

◆ According to the increased frequency of natural disasters and scientific processing of environmental protection measures, six scientific-research topics under the program funding are conducted at the institute; At least 17 budgetary themes are carried out in the institute that are actual

in terms of scientific processing of environmental protection measures and increasing of a number of natural disasters in the country;

◆ In 2015 Institute has published 2 volumes of collected papers: proceedings of the V International Conference dedicated to the 95th Anniversary of academic Ts. Mirtskhulava and regular volume №70 of collected scientific papers.

SCIENTIFIC RELATIONS OF THE INSTITUTE

Georgia:

• On January 22, 2015, a session of the Commission studying the scientific problems of natural calamities dedicated to the safety measures of Zhinvali HPP was held in the conference room of the Georgian National Academy of Sciences. The session was headed by Mr. Irakli Jordania, the Vice-President of the Academy. Reports were delivered by Prof. Givi Gavardashvili, the Institute Director, Mr. Ivane Noniev, Director of “Hydrodiagnostics” Ltd. and Teimuraz Melkadze, the leading specialist of the Emergency Management Agency of the Ministry of Internal Affairs of Georgia. The session was also attended by academicians Guram Gabrichidze and Otar Natishvili, Academic Doctor Guram Japaridze, expert of the Power Engineering Sub-commission Mr. Tengiz Maglaperidze, managers and scientific workers of the various departments of the Institute, etc.

At the session, Prof. Givi Gavardashvili talked about the hazard of the expected outcomes of flooding the area to the city of Rustavi, through Tbilisi, in case of a possible accident of Zhinvali earth dam in case of natural or technogenic catastrophes. Reports were also delivered by Ivane Noniev and

Teimuraz Melkadze. The results of the session were summarized by Mr. Irakli Jordania, the Vice-President of the Academy (*see photo 1,2; page 269*).

• On February 6, 2015, Ms. Tamar Sanikidze, the Minister of Education and Science of Georgia, aiming at rehabilitating/developing and popularizing science in Georgia, held a press-conference with famous scientists about the realized and planned novelties. The conference was attended by the directors of the scientific-research institutes of GTU, including Prof. Givi Gavardashvili, the Institute Director. The principal novelty the Minister opened the press-conference with was the approval of the long-term scientific program and increased financing for the scientists. In the words of Tamar Sanikidze, the scientists’ wages from January, 2015, has increased by 2,5 times (by 250%) on average. It was planned to strength and develop the infrastructure of the scientific-research institutes.

In connection to the program financing, Prof. Givi Gavardashvili, the Institute Director delivered a speech about the potential budgetary increase of the Institute of Water

Economy to be further approved by the Ministry of Education (*see photo 3,4; page 269*).

- On February 16, 2015, a thematic seminar and theoretical/experimental study/colloquium of doctoral students of the Institute Tamriko Supatashvili, Maka Guguchia and Giorgi Mekhrishvili regarding the scheduled review of the doctoral dissertation theses and covering the presentations of the scientific work accomplished by the students was held at the Institute (*see photo 5,6; page 270*).
- On February 17-19, 2015, on the initiative of the Emergency Management Agency of MIA of Georgia and the United Nations Office for Disaster Risk Reduction (UNISDR), an international seminar on “Review of the Guiding Principles of the National Platforms for Disaster Risk Reduction” was organized at hotel ‘Radisson Blue Iveria’ with Prof. Givi Gavardashvili, the Institute Director as an invited guest. The question of the natural disaster risk monitoring and introduction of modern technologies in Georgia was considered during the seminar (*see photo 7,8; page 270-271*).
- On March 20, 2015, the members of the Young Scientists’ Council of the Georgian National Academy of Sciences including two scientific workers of the Water Management Institute - Academic Doctors Marine Shavlakadze and Tamriko Supatashvili, met the Catholicos-Patriarch of All-Georgia, the Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Metropolitan Bishop of Abkhazia and Bichvinta, His Holiness ad Beatitude Ilia II (*see photo 9; page 271*).
- On June 1, 2015, Doctor of Technical Sciences, Prof. Givi Gavardashvili, the Institute Director met the First Deputy of the Minister of Environmental protection of Georgia, Mr. Teimuraz Murghulia. The meeting was attended by the employees of the Ministry, representatives of the Georgian National Academy of Sciences and famous branch specialists. The goal of the meeting was to identify the uses of the river drift (scum) to improve the productivity of the agricultural plots of field.
- On July 22, 2015, at GTU Action Hall, a meeting about the scientific prediction and regulation of the calamity in Tbilisi on June 13, 2015 was held. The session was opened by Deputy Rector in the Field of Science, Prof. Z. Gasitashvili. Professors M. Tsintsadze, G. Gavardashvili, Z. Gedenidze and others delivered their speeches. Z. Gedenidze proposed to establish a commission by virtue of the Rector’s decree to regulate the river Vere bed to be managed by the Ts. Mirtskhulava Water Management Institute of GTU. The proposal was supported by Z. Gasitashvili. The Commission will work on the questions of regulation of the river Vere bed.
